# ივერია

1881

№ VII, ივლისი.

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1881

# შინაარსი:


I გაზაფხულის სურათები, ეკ. გაბაშვილისა. . . . 3

II უსაფუძვლო წადილი, (ილ. ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონის“ გამო) წერილი მეორე, ნ. ხუდადოვისა . . . . . . . . . . . . 20

III *** ლექსი, უმწიფარიძისა . . . . . . . 46

IV ანდერს რუსტად, მოთხრობა ჭიამარ ჭიორთ ბოიეზისა (თარგმანი) . . . . . . . . . 48

V დათვი და ცხვრები (ლექსი) რაფ. ერისთვისა 87

VI პურის მოსავალი, (ლექსი) მისივე. . . . . 90

VII ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის კრება, (20 აპრილი—11 მაისი). . . . . . . . . 91

VIII შმეცნების ამაყობა (დასასრული), ი. გოგებაშვილისა . . . . . . . . . . . 109

IX შინაური მიმოხილვა. . . . . . . . . 130

X ახალი წიგნები, (რჩეული ლექსები დ სხვა თხზულებანი თ. მიხ. თუმანიშვილისა) . . . . . 140

XI განცხადება (ყდაზედ).

5 997

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

წელიწადი მეხუთე.

**№ VII**

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ასტამანის ქუჩაზე.
1881



Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1881 г.

# ზაფხულის სურათები.

## I

დღეს მშვენიერი დღეა. გათენებისას წვიმა იყო. კნეინა მარიამ დიდებამის კარის ბაღჩა საპატარძლოდ მორთულ უმანკო ქალსა ჰგავს. ბილიკები ამ ბაღჩისა წითელის მიწით არის მოდებული; მრავალი სხვა-და-სხვა ფეროვანი ყვავილები ამკობენ ამ პატარა მოკაზმულ ბაღჩას. სხვა-და-სხვა გაზაფხულის სტუმრები დასჭიკჭიკებენ აქ მდგომ დაბალ, ტოტებ-შეკვეცილ ხეხილის ხეებს. ბაღი ლამაზია და თითქო იმისთვის არის მოკაზმული, რომ იმის სიმშვენიერით დასტკბეს ვინმე, მაგრამ კნეინა მარიამ ისეა აღშფოთებული, რომ ბაღითა და მაისის მშვენიერ დღით დატკბობისთვის არა სცალიან. გუშინ მიშელმა უთხრა, რომ საზღვარ-გარედ მიდის ზაფხულობით და რადგანაც მარიამს ამ ჟამად უმიშელოდ ცხოვრება არ შეუძლიან, ესეც ეძიებს საშუალებას მოახერხოს იქითკენ წასვლა, საითაც ამის ახლანდელი საყვარელი მიდის.

კნეინა თორმეტ საათამდის არ აბძანდება ხოლმე, მაგრამ დღეს ისეთის მწუხარებით არის სავსე ამის გული, რომ რვა საათზე ფეხზე იყო და ძვირფას არშიით მორთულ პენუარით სიჩქარით დადის ოთახში და ჰფიქრობს:

— მე ვიცი, რომ ჩემი პატიოსანი მეუღლე უარს მეტყვის. ის თავის ჩვეულებისა-მებრ მომაგონებს, რომ ჩვენ ბევრი ვა-

ლი გვმართებს და სამზღვარ-გარედ წასასვლელად ფულს ვერ იშოვნის. როგორ თუ ვერ იშოვნის? მე რას დავდევ. საიდგანაც უნდა იშოვნოს. მე საფრანგეთში წასვლა მინდა ოთხის თვით; ჯანი გაიგდებინოს და ისე მიშოვნოს. მარ-ტო წავიდე, თუ ქმარიც წავიყვანო?... უნდა წავიყვანო, მე-ტი ღონე არ არის. რა კი ბედმა მაგ გადაყრუებულ ტუტუცს გადამკიდა, ყოველთვის ჩემსა და საზოგადოებას შუა შირმად უნდა იყოს. მაგას ჩავსვამ რომელსამე ღენერალთან ბეზიკში და მე მშვენიერ მთვარიან ღამეებში ტბებზე ვიცურავებ ჩემს ძვირფას მშვენიერ მიშელთან. ფული რომ არ მიშოვნოს ჩემმა პატიოსანმა? მერე? ხომ შეიძლება გაჯიუტდეს და არ მიშოვნოს? არ მიშოვნოს? ისეთის დღეს დავაყენებ, რომ მგო-ნი თავის ხელით ქოჩორი გაგლეჯინო. ან ეს ზაფხული მი-შელთან უნდა გავატარო, და ან ჩემ პაპაიას უნდა საუკუნოდ გავშორდე.

კნეინა მარიამმა ისეთის სისწრაფით ჩამოჰკრა ხელი კე-დელზე ჩამოკიდებულ აბრეშუმის აჭრელებულს ზარის ზო-ნარს, რომ ორ-ორი გოგო ერთად შემოცვივდა.

— პატრონი ზეზეა?

— დიახ, ბალკონზე ჩიბუხს ეწევა.

— მოახსენეთ, ამ წამსვე აქ შემობძანდეს.

სულ ხუთ წამს არ გაუვლია მარიამის სასტიკ ბძანების შემდეგ: ოთახში შემოვიდა კნ. ნიკოლოზ დიდებაძე. ეს გახ-ლავთ ორმოც-და-ათის წლის კაცი. ჭარბად ჭაღარა მორეული. ტანზე აცვია ფეხებამდის მწვანე სავერდის ხალათი, ფეხებზე ოქრომკედით ნაკერი ჩუსტები, თავზე «ვოენის» ქუდი და ხელში უჭირავს ორი ადლი ჩიბუხი ვერცხლით შეჭედილის

ტარით. ეს ნელა და დარბაისლურად შემობძანდა ცოლის ოთახში, შუაზედ შესდგა და ამაყად უთხრა გნეისას:

— რას მიბძანებთ ახალს, ჩემო სიცოცხლის მთავრობავ?

— დაბძანდით, მე თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს. მე უნდა გკითხოთ თქვენ: სად მივდივართ «დაჩად»?

— სად მივდივართ? განა თქვენ არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბორჯომში გვაქვს მშვენიერი დაჩა? მე მოვამზადებინე კიდეც. მშვენიერი ბაღი გვაქვს წრეულ: ყვავილების თესლი პარიჟიდგან დაუბარებია ჩვენს ფრანცუზს—მებაღეს.

— როგორ თუ ბორჯომს?—გველის ნაკბენივით წამოხტა გნეისა.—წრეულს ბორჯომს წასვლა რა საფიქრებელია. ბორჯომი სრულიად ცარიელი იქნება. არა თქვენ ხომ არა გნებავთ, რომ უდაბნოში გამისტუმროთ? ეხლა ბორჯომში უბრალო ხალხის მეტი ვიღა მიდის? მიიხედ-მოიხედე და ისე ილაპარაკე: მთელი დიდ-კაცობა, ჩვენი «პარტია» სულ საზღვარ-გარედ მიდის და ჩვენ ვიზედ რა უკანასკნელი ვართ!

— რას ამბობ, ქალო. როგორ თუ საზღვარ-გარედ? კაცს ყოველ დღე მზარეულის ფულის მიცემა მიჭირს და ხუთას-ექვსასი თუმანი საიდგან მოგიტანო! ან არა-და რა გინდა სხვა ქვეყანაში? განა ჩვენი სოფელი ურიგოა, ან ბორჯომი საფრანგეთის წყლებზე ნაკლებია. შარშან-წინ არ იყო, რომ სამი თვე ვაი-ვაგლახით გავატარეთ. მარტოკაობით კინაღამ გავგიჟდი. მე იმათი არა მესმოდა-რა და ჩვენებური კი არავინ იყო.

— მე ბევრი ლაპარაკი არ ვიცი; ან ერთი უნდა შესრულო, ან მეორე: ან უნდა სამგზავრო ფული მიშოვნო და ან ჩემზედ ხელი აიღო.

— ხომ არ გაგიჟდი, ქალო. ათის წლის ცოლ-ქმარი უნდა გავიყაროთ? ქვეყანა რას იტყვის? გინდა «სკანდალი» მოახდი-

ნო? კაცი გენერალ-ლეიტენანტი ვარ და ცოლს გავეყარო. ეგ შეუძლებელია. მთელი სახელმწიფო თითით საჩვენებელს გამხდის.

— მაშ ფული იშოვნე.

— ეგეც შეუძლებელია. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, რომ გაჭირვებაში ვართ. ჯამაგირი სამ თვესაც არა გვყოფნის, დანარჩენ ცხრა თვეს ვალებითა ვცხოვრობთ, ნდობაც აღარა გვაქვს. რაც მამული გვაბადია, სულ დაგირავებულია; დაგირავებულია განა ერთთან: თითო მამული სამთან, ოთხთან. სხვა არა იყოს-რა, ოთხ-ოთხი ბავშვი ვისთან უნდა დავტოვოთ უპატრონოდ.

— მე ეგები არ ვიცი, მე მხოლოდ მინდა საზღვარ-გარედ წასვლა, და ფულების შოვნა თქვენი საქმეა. ბავშვები? ბავშვებს გუვერნანტკა, ბონა, ჰყავთ. იმათი პატრონობა მე რას შემეხება, ბორჯომს ისინი გაგზავნე.

— რა საშინელი ახირებული ქალი ხარ. გზა მიჩვენე საიდგან ვიშოვნო, და ბატონი ხარ. არ გეყო მაგდენი ფულების ფლანგვა. შესდექ, თორემ ჩვენი საქმე ცუდად არის, შვილები ულუკმა-პუროდ დაგვრჩება.

— როგორ თუ შვილები, როგორ თუ შვილები! ოც-დაათის წლისა არც კი ვარ და შვილებისთვის თავი მოვიკლა. მაგისთვის შემირთეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ შვილებს ლალად გავუხდე, შემცდარი ხართ. კიდევ გეუბნებით: ან ფული მიშოვნეთ, ან არა-და ხვალ მამასთან მივდივარ. ახლა გთხოვთ გაბძანდეთ ჩემის ოთახიდგან. თავი მტკივა, მინდა პატარა ხანს მოვისვენო.

წელ-მოწყვეტილი და თავ-ჩაღუნული გამოვიდა ოთახიდგან კნ. კოსტანტინე. მთელი ორი დღე იმის ფიქრში იყო

თუ როგორ გადაეწყვიტა: გაეძრო სრულიად ტყავი და ცოლი სამზღვარ-გარედ გაესტუმრებინა, თუ სამშობლოში გაეგზავნა და სამუდამოდ მოეშორებინა ეს წრეს-გადასული, გაუმაძღარი სვავი. მთელი ორი დღე ხმა არ ამოუღია კოსტანტინეს, თავის განუშორებელი მეგობარი ჩიბუხიც კი არ აუღია ხელში. დილით სადამომდის შეკეტილი იყო თავის კაბინეტში და ბოლთასა სცემდა ძირს გაშლილ ხალიჩაზედ. ბოლოს მგლებთანა და სისხლთან შეზრდილმა «რას იტყვიანმა» დასძლია, თავის შერცხვენას თავის დამცირება არჩია და წავიდა თავის ფეხით ერთს თავის ნაცნობ სომეხთან ექვსასის თუმნის სასესხებლად. თუმცა ეს მისთვის სიკვდილზედ უარესი იყო, მაგრამ იცოდა, რომ ამის ბარათებს ფასი აღარა ჰქონდა და მუნდირს კი, ჯერ-ჯერობით ფასი თუ არა, რიდი მაინც ედო.

ქნეინაც ამ ორ დღეში დატუსაღებული იყო. ეს თავის ოთახიდგან არ გამოსულა და არც არავინ მიუღია მიშელის მეტი. კარებ-შეკეტილში იჯდა ქნ. მარიამი თავის სატრფოსთან და დასცინოდა თავის ბებრუცანა მეუღლეს. ეს დარწმუნებული იყო, რომ ფულს მიიღებდა და მიჯნურები პლანებს აწყობდნენ, როგორ გამოეყენებინათ კოსტანტინეს უგუნურობა.

— ჩვენ ნიცაში წავიდეთ და ერთმანერთს ისე გაკვირვებული შევხვდეთ, ვითომ პირველად გაგვეგოს, რომ ორნივ საფრანგეთში ვართ. შემდეგ სამ-ოთხ დღეს ჩვენსა ნუღარ გაივლი და ჩემი პატიოსანი თავის ენაზე მოსაუბრეს რომ ვერავის იშოვნის, თითონვე მოგძებნის.

— ოხ, ჩემო პირველო და უკანასკნელო საყვარელო! — (ქნეინა დარწმუნებული იყო იმ წამში, რომ ეს პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო) ეუბნებოდა მარიამ მიშელს—

რა ტკბილს და საუკუნოდ დაუვიწყარ დროებას გავატარებთ საფრანგეთის ცის-ქვეშ. შენ ბოლოს, მარტოკაობის გამო, იქნება ისეთი საჭირო გახდე ჩემის ქმრისთვის, რომ გადმოგიწვიოს ჩვენს სადგომში და მაშინ, მაშინ...

კარები დააკაკუნეს. კნეინა მარდად ჩავარდა კრესლოში და დაღვრემილი შეხედულობა მიიღო. მიშელი სკამზე დაჯდა შორი-ახლო და დაუდევრად «ფალანგის» კარიკატურებზე ოხუნჯობდა.

— Entrez! — დაწყნარებით ჰქანა მარიამმა

შემოვიდა კონსტანტინე. ორი დღის განმავლობაში ისე გამოცვლილიყო, რომ მიშელმაც კი შენიშნა ესა და ძვირ-ფას «დაიდინკას» კარგა-მყოფობა იკითხა.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო შარლატანო! ღმერთმა ქნას და აგაცილოს ის ავად-მყოფობა, შვილო, რომელიც მე უდროოდ მაბერებს. მერე ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: — მაშ, უკანასკნელი ღონისძიება ვიხმარე შენის სურვილის აასრულებლად. იცოდე, გამეორება აღარ შეიძლება, იფიქრე შვილებისთვისაც, თუ შენში ცოტა-ოდენი დედა-კაცური კიდევ მოიპოვება რამე.

— Merci, mon cher! მარიამმა მოწყალებით თავზედ აკოცა თავის ქმარსა და გულში გაიფიქრა: წრეულს ხომ გაგაბი და შემდეგისათვის ღმერთი მოწყალეაო.

## II

თიბათვე დადგა. რიგიანი სიცხეა. კნ. ლუარსაბ კუდაბზიკაძეს ჩასუქებულ ლოყებზე და კისრის ნაკეცებზე მთელი

დღე ოფლის ნაკადული ჩამოსდის. ქალაქში ცხოვრება ამის-თვის გაძნელდა. თუმცა ქალებსაც სცხელათ, მაგრამ ძლიერ უარზედ არიან სოფელში წასვლისას. გნეინა თინათინ ჩუმად ჩასჩურჩულებს თავის მეუღლეს: შე დალოცვილო, რისთვის ჩამოვედით მთელის ზამთრით ქალაქში, თუ კი რაც აზრი გვქონდა, ვერ ავასრულებთ. სამ-სამი გასათხოვარი ქალი ისევ უკან უნდა წავიყვანოთ! დაიცა, ეხლა გაიხსნა საზაფხულო «კრუჟოკი» და «საბრანია.» ქალები საზაფხულო ტანისამოსით, მოდის შლიაპებში უფრო შვენიან, ყმაწვილი-კაცები ზაფხულ-ში უფრო ხშირად ირთვენ ცოლებს. მშვენიერი, მიყუდროებუ-ლი ბაღის ადგილები კაცს როგორღაც სიყვარულს აღუძვრენ გულში. მართალია, ბევრი ვალი დაგვედო წრეულ ზაფხულში: სამის ქალის საზოგადოებაში გაყვანა ადვილი არ არის, მაგ-რამ ცოტა კიდევ მოვიცადოთ, იქნება ღმერთმა ჩვენი გან-ზრახვა აგვისრულოს.

— სულ შენი დალუპული ვარ, დედა-კაცო, მე და ჩემმა-ღმერთმა, სულ შენი. რით ვერ გაიგე, შე კაი ადამიანო, რომ «მოდნიაი» ქალები აგრე ადვილად ვეღარა თხოვდებიან. ან კი რად უნდა გათხოვდენ, ვაყო? განა კაცები ბრმები არიან? გა-ნა ისინი არა ხედვენ თქვენს უსაქმობას. დაილოცა ის დრო, როცა ჩვენი დედა-კაცები ოჯახს პატრონობდენ. აბა ახლა რა არის ჩვენი მდგომარეობა. ვალი, ვალი და ვალი! სახლი სულ ერთიანად ავაოხრეთ ამ ოხერ ქალაქში დგომით. კაცმა რომ ჩვენს სახლს შეხედოს სოფელში, ატირდება. ფანჯრები ჩამ-ტვრეული, სურაიები ჩამოყრილი, შეღებილი ბალკონზე მთელი სოფლის ქათამი და ინდაური დასეირნობს. მამა-ჩემი არ წა-მიწყდეს, ლეკი რომ დაეცემოდა ხოლმე კახეთს, ისე არ აოხ-რებდა სახლებს, როგორც ეხლანდელი ქალები ქალაქში სირ-

ბილით აოხრებენ. მე კი ადამიანო, განა არ იცი რომ მყიდველი თითონ მივა სავაჭროსთან და არა სავაჭრო მყიდველთან! დამიჯერეთ, კარგნი იყავით და იარმუკაზე არ მოგინდებათ გამოტანა, ერთის სიტყვით მითქვამს და გამითავებია: მე ქალაქში დგომა აღარ შემიძლიან. ხვალვე შინ მივალ, კვირას ტარანტასს ჩამოგიგზავნით სტანციაში; თუ გნებავთ, მობძანდით; თუ არა და მე ბრალი ამიყრია თქვენს ავ-კარგიანობაზედ.

ბევრი იწუწუნეს კნეინამ კნეიჟნებით, ბევრი ტუჩები იკვნიტეს უკანასკნელად «კრუჟოკის» საზაფხულო ბაღში ყოფნის დროს, მაგრამ განა არ მოგეხსენებათ: ძალა აღმართსა ხნავსო. ამათ კარგად იცოდნენ, რომ ლუარსაბს ხუმრობა არ უყვარდა და დამორჩილდნენ თავიანთს იღბალს.

ესენი ქალაქურის მებლით მალე მოეწყვნენ სოფელშიაც. შუშები ჩასხეს, ჩამონგრეული ბალკონი გაამაგრეს, ერთის სიტყვით მიაკერ-მოაკერეს უპატრონოდ დაგდებული სახლი. ერთს-ორ კვირას ცხვირ-დაშვებულნი ისხდნენ კნეიჟნები თავიანთ ოთახში და ოცნებობდნენ ქალაქელ კავალრებზე, მაგრამ როგორც ყოველს გვარს ამ სოფლიურს ბოლო აქვს, ამათ ოცნებებსაც მოეღო ბოლო.

ერთს მშვენიერს საღამოზე ამათ მოუვიდათ მოპატიჟე: «დღეს ვეჩერი გვაქვს,— სწერდა ამათ კნეინა სალომე, ამათი სახლის-კაცის ცოლი —გთხოვთ ვახშმად ჩვენსა მობძანდეთო.» კნეიჟნები კნეინითურთ გამოიჭიმნენ ქალაქურ «მოდნის» კაბებში და თავიანთ ქალაქურ მიხვრა-მოხვრით, მხრების ჭიმვით და თვალების კრუტვით გააოცეს სოფლელი ხამი და სადა ქალები.

უნდა მოგახსენოთ, რომ კუდაბზიკაანთ კარი ძლიერ დი-

დი სოფელია. აქ ორმოცამდის თავად-აზნაურობის სახლობა სცხოვრობს და ორასამდე გლეხ-კაცობა. აქაურ თავადების ბუ-რადობა და მშვენიერი სოფლის მდებარეობა კარგ მდინარეზე, დიდრონი კაკლის ხეები თავისის ჩრდილებით იზიდამენ ქალა-ქის სიცხისაგან გამოქცეულ სტუმრებსაც. ცოტ-ცოტათი შე-იკრიფნენ მებატონეებიც და «დაჩნიკებიც.» გაიმართა ჩვეულებ-რივი მხიარულობა. ვინ ვისზედ უფრო მდიდრულს «ვეჩერს» გააკეთებს, ამაში ეჯიბრებიან ერთმანერთს კუდაბზიკასნი კარე-ლები. ვინც სტუმრებს ვახშამზე გაათენებინებს, ის არის დიდი ვაჟ-კაცობა და ყველა ცდილობს ამ გმირობაში სხვებს არ ჩა-მორჩეს.

მშვენიერს სურათს წარმოადგენს მთელი სოფელი ზაფ-ხულში: დღისით მებატონის კარებები მოკეტილია და ღამე-ნათევი ქალ-კაცნი განსვენებაში არიან, რომ საღამოზე ისევ შეუდგნენ ქეიფს და გლეხ-კაცობა კი თავ-გადაგლეჯილი, გუ-ლის-პირ ჩამოფხრეწილი ჯაფაში წელს იწყვეტს. მაღლა ღი-ღინსაც ვერა ჰბედავს, რომ ბატონებს მოსვენება არ შეურ-ყიოს, ძილი არ დაუფრთხოს, და საღამოზედ კი, როდესაც ბა-ტონები გაიღვიძებენ და გლეხ-კაცი მოსვენებას ეძლევა, და-ირა, «ბუზიკა» და ბევრჯერ დანჯღრეული ორღანიც უშფოთებს ამას რამდენიმე საათის ძვირ-ფასს, ღონის შესაკრეფ ძილსა.

კნ. ლუარსაბის სასახლე შიგ შუა სოფელში სდგას. შუა-ღამეა, გარ-შემო გლეხ-კაცის ქოხები შავ წერტილებივით გა-მოიყურებიან სიბნელეში. ბალკონზე ტანცაობაა. ოთახებში კა-ცები ქაღალდს თამაშობენ და ქალები ლოტოს, სამთავე ასპა-რეზზე ეს კნეინები, კნეიჟნები და კნიაზები ოფლში იწურე-ბიან. მარაოების ხმარება გახშირებულია. ბალკონის ერთს კუნ-ჭულში ტახტზე მოკეცილი ზის კნ. ლუარსაბი და ჰფიქრობს:

დღევანდელი ვახშამი ოცი თუმანი მიზის. კენჭიანზე ვენახი გავყიდე. რისთვის, ნეტა მაინც ვიცოდე, რისთვის? განა განათლება და გადატაკება ერთია? მე ქალები ინსტიტუტში დავზარდე; იმედი მქონდა, ღმერთი ხელს მომიმართავს, განათლდებიან და მალე დამითხოვდებიან, უმზითვოდ მომტაცებენ მეთქი და აი განათლება თურმე რა ყოფილა? ზამთარში ქალაქი, ზაფხულში თამაში. ერთი დაუცხრომელი და დაუსვენებელი ალიაქოთი. დაუსვენებლობას კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ საქმე ფულია. ფული. მე თუ ასე ვაგირავე და ვყიდე მამულები, შენი მტერი, რომ ეს ერთად-ერთი ბიჭი მე მშიერი დამრჩება, ოჰ, დედა-კაცებო, დედა-კაცებო! ჩემი მტერიც ჩავარდნილა თქვენს ხელში. თქვენ თუ ეგრე მიჭყეთ ხელი, კაი შენს ლუარსაბს! მალე დაეცემა იმის დღემდის უვალო ოჯახი!

— რაზედ დაღონებულხარ, მამა-ჯან? — მხიარულად უთხრა ლუარსაბს უფროსმა ქალმა — იმდენი ვიტანცავე, იმდენი, მამას მზემ, ფეხზე დგომა არ შემიძლიან. ადექ, გენაცვა, წამოდი ზალაში, სტუმრები ვახშამზე სხდებიან, გაგვიმხიარულდი. გუშინ დავითთან ექვსს საათზე დავიშალენით და შენ თუ ეგრე შეიჭმუხნე, სტუმრები ორ საათზე დაგვეფანტებიან. მერე? ვინ რას იტყვის? პურა-ძვირობაში ჩამოგვართმევენ.

— ელენე, შვილო, ოც-და-ხუთის წლის ქალი ხარ, ბავშვი ხომ აღარა ხარ, რით ვერ მოგწყინდა ტლინკვა; შენ მაინც უგდე სახლს ყური, თუ დედა-შენი გადაირია. ნუ აჭყევით ამ მოდნას. ცოტათი ხელი მოუჭირეთ, თორემ მერწმუნეთ, გაუთხოვარი დაბერდებით.

— ოჰ, მამავ, რა არის მაგდენი საყვედური, შენ სრულიად სწამლავ ჩვენს სიცოცხლეს. ამისთანა სიცოცხლე ღმერთმა შეარცხვინოს, — და ელენემ მწარედ ტირილი დაიწყო.

— ეჰ! ეჰ! — ამოხვრით სთქვა ლუარსაბმა და ზეზე წამოდგა — კარგი, შვილო, თვალები დაგიწითლდება, ნუ სტირი. წავიდეთ, სტუმრებს გავუმხიარულდეთ, ქუდი ჭერსა ვკრათ. ქართულს მასპინძლობას ნუ მოვიშლით და საბოლოოდ, თუ ჩვენს პურადობას სიმშილი მოჰყვება... რა ვუყოთ! ღმერთი მოწყალეა, ის თავის გაჩენილს კაცს უმოწყალებოდ არ დააგდებს.

## III

ალექსი შრომაძე მასწავლებელია ერთს ქალაქის სკოლაში. ეს პატიოსნურად ასრულებს თავის თანამდებობას. ჰყავს დიდი სახლობა და მის საცხოვრებლად ალექსი დღეში ათს საათს მუშაობს. ღარიბს ოჯახში აღზრდილი, სემინარიაში ცუდად გამოკვებილი და საშინელის ჯაფით გატეხილი, ოც-და-თხუთმეტის წლის ალექსი მოხუცებულსა ჰგავს. მისდა საუბედუროდ ერთხელ დირექტორი დაესწრო ამის გაკვეთილზე, ვერაფრად იჭაშნიკა მეგირდების გაწრთვნა და ლაზათიანად დასტუქსა ჩვენი პედაგოგი.

შიშით გულ-შემოყრილმა ალექსიმ, ვაითუ ალაგი დავკარგოო, უაზროდ აშფოთებულმა დაიწყო სიჩქარით ქუჩებში სიარული. ეშინოდა, ამ სახით დანახოდა თავის ფართო სახლობას და ვერა გრძნობდა, რომ მარტის სუსხიანი ქარი ათრთოლებდა მის სუსტს აგებულებას. საღამოზედ მოვიდა შინ მშიერი კანკალით. ცოლს გული გაუსკდა, მაშინვე ლოგინში ჩააწვინა. ამ დღიდგან ალექსი ორი თვე იწვა ანთებით ავადმყოფი. მორჩენის შემდეგ ექიმმა ურჩია წყლებზე წასვლა. ბევ-

რი აიღეს, დაიღეს შრომამის სახლობამ თუ რომელ წყალზე წასულიყვნენ, სად უფრო იაფად დაუჯდებოდათ ცხოვრება. ბოლოს, რადგან უფრო ახლო იყო, ბ–ი. არჩიეს. ჩაილაგეს ბარგი-ბარხანა და გაემგზავრნენ.

მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია ბ-ის მაღალმა ტყეებმა და მშვენიერმა მტკვრის ხეობამ ჩვენს თბილისელ მგზავრებზედ. ესენი გაოცებით შეჰყურებდენ ბუნების მშვენიერებას და ხარბად სტკბებოდენ ამ იშვიათის ბედნიერებით. მოვიდნენ წყლებზე. დაიჭირეს ორი საცოდავი ოთახი, რომელთ ზემო სახურავიდგან მწვანე ხის ტოტი ჩამოიჭყიტებოდა და ქვემოდგან ბაყაყის მწვანე თვალები ამოსჩანდა. რის ვაი-ვაგლახით შეიკუჟნენ ამ ოთახებში მისუსტებული ალექსი და მისი სახლობა. ეს სახლი მოშორებული იყო წყლებზედაც და ექიმის ბინაზედაც და ამიტომ ძლიერ იღალებოდა ჩვენი ალექსი. დილით ცხრა საათიდგან მისული, ზევრჯერ ორამდის ძლივს ეღირსებოდა თავის «ჯერსა» და როდესაც მოისმენდა ესკულაპის დარიგებას, სიცხე პაპანაქებაში, თითქმის ერთს ვერსზე, ზლაზვნით ბრუნდებოდა შინა. ამ გვარადვე ელოდა აბანოს მიღებასაც. აქაური მოსამსახურეები მოწიწებით ეკიდებოდენ მარტო დენერალებს და მათს სახლობას და რადგანაც ბ-ის წყალი საღენერლო წყალია ჩვენს უბედურ ტიტულიარნი სოვეტნიკს ყოველთვის უკანა რიგში აყენებდენ. აბანოების გალერეებში ყოველთვის ქარი ორსავე მხრივ დასეირნობს და ამიტომ დიდის ხნის ლოდინის გამო, ჩვენი ალექსი შინ სველით ბრუნდებოდა ხოლმე. შრომამის ცოლს საშინლად უნდოდა «პარკში» გასვლა თავის ბავშვებით, მაგრამ პარკი ისე იყო დაგვილი და გასუფთავებული, იქ მსხდომი დედები ისე მოპრანჭულნი და გაჭიმულნი კორსეტებში, შვილები მორთულნი თეთრის თათმანებით ისე ნაზად და დარ-

ბაისლურად დასეირნობდენ თავიანთ გუვერნანტკებით, რომ ეს თავის შვილებით, როგორღაც ხმივით დასეტიალობდა ამ დაპეწილ ხალხში და ეს მეტად ემძიმებოდა. მრავალის არისტოკრატკას «ლორნეტი» დაამტვრდა იმის სადად შეკერილ კაბას. ბავშვებმა ხომ სრულიად შეარცხვინეს ჩვენი ნატალია. ისინი მისცვივდენ ყვავილებს, ხეხილებს, დაიწყეს სირბილი, ორიოდე მუყლუგუნი წაჰკრეს გამოჭიმულ «ბარიშნებს», ერთის სიტყვით სრული რევოლიუცია მოახდინეს ამ დაწყნარებულს პარკში. დედები, გუვერნანტკები და ბაღის მცველნი ერთბაშად მივარდნენ დაუხედნავ უმაწვილებს და ნატალიას მოუვიდა გული და საჩქაროდ გამოსწია სახლისკენ.

ამის შემდეგ შრომაძიანი დასეირნობდენ მიყრუებულ ალაგებში, დაბურულს ტყეში, მაგრამ აქაც არ ასცდათ ამ საცოდავებს უსიამოვნობა. ერთხელ სადილის მოსამზადებლად ცეცხლი დაანთეს ტყეში. ტყის მცველი დიდად გარისხდა, გაუქრო ცეცხლი და ხამები დაუმასხა. მეორედ ბავშვები ხეებზე ავიდნენ და ამისათვისაც «ვიგოვორი» მიიღეს ტყის მცველისგან კი არა, თითონ ტყის მცველების უფროსისაგან. ახლა ამას ისიც დაუმატეთ, რომ ერთის თვის წამლობის შემდეგ, როდესაც ალექსის ხველებამ უფრო მოუხშირა, ექიმმა გული გაუსინჯა და უთხრა: ბ-ის წყალი თქვენთვის საჭირო არა ყოფილაო.

— მაშ რად მაწვალეთ მთელი ერთი თვე, თქვე დალოცვილო?—ეუბნებოდა გამშრალი შრომაძე.

— თქვენ თითონა ხართ დამნაშავე, თქვენ თითონ,—გულნაწყენი ეუბნებოდა ბ-ის წყლების მოიჯარადრე ექიმი—აქ რად მოდიოდით, თუ იცოდით, რომ თქვენთვის სხვა წყლები იყო საჭირო. მე სწორე მოგახსენოთ იმდენი დრო და

მოცალეობა არა მაქვს, რომ ყველა ავად-მყოფს დაწვრილებით გამოვკითხო, რა ემიზეზება.

— აკი გითხარ, დედა-კაცო, რომ წყლებზე წასვლა ჩვენი საქმე არ არის მეთქი! — თითქო დაცინვით ეუბნებოდა ალექსი თავის ნატალიას — წყლებზე ისინი უნდა წავიდნენ, ვინც განცხრომაში არის, ვისაც პირველი ალაგი უჭირავს ცხოვრებაში და ვისთვისაც გაუჩენია ღმერთს ყოველი სიამოვნება. ჩვენ მშრომელი ხალხი ყოველთვის უნდა უკან ვიდგეთ და არა ჩავერივნეთ ბრწყინვალე ჩინიანს ხალხში!

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო, მართალს. ოღონდ შენ კარგადა მყავდე და გეყვიცებე, თუ ისინი მე არ მომნახვენ, მე იმათ თავის დღეში არ მოვნახავ.

## IV

შუადღეა. მკათათვის ცხარე მზე ალმურს ადენს თბილისს. გარ-შემო კლდეები, ქუჩის სახურავები და ქუჩაში დაგებული ქვა სიცხითა პრიალებს. არავითარი სიო არ არხევს მძიმე, სამაგელ სუნით გატენილს ჰაერს. ქუჩებში თითქმის ყოველი მოძრაობა შეჩერებულა. აქა-იქ ზლაზვნით და ოფლის წმენდით თუ გაივლის ივან მიკირტიჩი და წელ-მოწყვეტილი ცხენი ჩანჩალით მიათრევს მტვერში ამოვლებულს წელ-მოტეხილსავე დროშკას. ვისაც ბედმა გაუღიმა ცხოვრებაში, ყველა გავიდა ქალაქ-გარედ სულის მოსაბრუნებლად. ქალაქში მარტო იმისთანა ხალხი დარჩა, რომელიც ბედის უკანონო შვილია, რომელიც იბრძვის მუდამ დღიურ ლუკმის საშოვნელად და რომელსაც იშვიათად შეხვდება სიოში გვერდის გაგრილება.

მკათათვის სიცხე უმეტესად საგრძნობელია შუა-ბაზარში, სადაც ვიწროობის გამო ზამთარშიაც კი ჰაერი შეხუთულია. აი აქ, ამ ვიწრო და აგზნებულ ქუჩაში სამ-ეტაჟიანი სახლი შენდება: მრავალი მუშა და კალატოზი მუშაობს. ყველანი მძიმედ და ჩუმად მოძრაობენ, თითქო არაქათი აქვთ მოწყვეტილი. სად არის კალატოზების ჩვეულებრივი ღიღინი. პირველი საათი შესრულდა, სიცხემ უფრო და უფრო გაახურა თავშიშველა და გულ-გაღეღილი მუშები. ყველამ მუშაობას თავი დაანება და ჩავიდა ძირს, ჩრდილში შესასვენებლად და პურის საჭმელად. კედლის ხარაჩოებზე დარჩა მარტო ერთად-ერთი ყმაწვილი კალატოზი თავის პატარა ძმა-მუშით.

— ბიჭო! — უთხრა პატარამ უფროსს — მიელა ცხელა; გული მიწუხდება. ჩვენც ჩავიდეთ, დავისვენოთ, პურიცა მშიან.

— ჰაი შე ლაჩარო, შენა! რამ მოგწყვიტა წელი! წადი, ორი სამი თაბახი კირი დამიგროვე მაგ კედელზე და მერე დაიძინე. ჩოხა წაისურე, არ შეგცივდეს. მე ესე ხელად შევჭამ პურს. მინდა ეს კედელი საღამომდის გავათავო, «ფოდრათითა» მაქვს აღებული.

პატარა მუშამ საჩქაროდ მოუზიდა კირი და ქვემო ეტაჟის ერთს კუნჭულში, კარგა დიდის პურის ყუით ხელში, გაგორდა. გემრიელად გადაჭყლაპა ცუდად მოშუშული შავის პურის ნაჭერი და გემრიელადაც მიიძინა ნოტიო კედლის კუნჭულში.

უფროსი ძმა კი შეუსვენებლივ მუშაობს და მუშაობს. ეს ისეთს ტკბილს ფიქრებშია, რომ ვერა გრძნობს პაპანაქება სიცხეს და თავის გაცხარებულს მუშაობას. ამას თვალ-წინ უდგია თავისი ლიზა. ლიზა ამის ოსტატის ქალია, ამის დანიშნულია. შემოდგომაზე ჯვარი უნდა დაიწეროს. საქორწილოდ,

ახალის სახლის მოსაწყობად, ბევრი ფულია საჭირო. ერთი ოცი თუმანი კი აქვს შაქრო კალატოზს განჯინის კუნჭულში დამალული, მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა. სამი თვე დარჩენილა ქორწილამდის. ქორწილი დიდის ამბით უნდა გადიხადოს. ზურნა შარმანკა, მომღერალი რომ აგონდება შაქროს, პირზე ღიმილი მოსდის. «შავი ბუზმენტიანი ჩოხა უნდა შევიკერო, ორი თითის სიპტყე ბუზმენტით. შარშან გიორგა დურგალმა რომ სამყოფოდ იყიდა, სწორედ იმისთანა. ლიზას ხავერდის შუბკა უნდა მივუტანო, ოქროს ცაათი მეწკვით. ზოგი მღვდელს, ზოგი ოსტატს. სულ ფული უნდა, ფული! ლიზა, ჩემი სული ხარ. ბინდამდის მაინც გავათავო, რომ იმათ კარებზე ჩავიარო. ალაყაფის კარებში იჯდება: იცის, რომ გული არ მომითმენს, არ დავინახო.» ამ მშვენიერ ფიქრში გართული შაქროს ყურს არ უგდებდა იმის გარეშემო რა ამბავი იყო. მოკლედ გაკრეჭილი თავი საშინლად გაუხურდა. თვალები სისხლით აევსო. კისრის ძარღვები დაეტენა და თავმა რატრატი დაუწყო. «ვა! ეს რა მომდის!» უცებ წამოიძახა შაქრომ, ფეხებმა უმტყუნა, წაბორძიკდა და რახარუხით აქა-იქა ხარაჩოებზე წამოდებით, დაეცა ქუჩის გახურებულ ქვებზე. კარგა ხანი ეგდო შაქრუა გულ-შემოყრილი. მუშაობისაგან დაქანცული ამის ამხანაგები ისე ხვრინავდენ, რომ ამის ჩამოვარდნა იმათ ძილს ვერ შეურყევდა.

ამის პატარა ძმას უცებ გამოეღვიძა, მოაგონდა თავის მომუშავე ძმა და ფიცხლავ ფეხზე წამოხტა. გამოვიდა გარედ ხარაჩოზე ასასვლელად და ერთი საშინლად შეჰკივლა. ამ ხმაზე ყველა მუშები წამოხტნენ, დაუწყეს შაქროს წყლის სხმა, ლავიწების გლეჯა, ყურში ძახილი, შაქრო გონზედ ვერ მოიყვანეს. საიდგანღაც გაჩნდა ექიმი: «Въ больницу его!»

— როგორ თუ «ბოლნიცუ!» — დაიწივლა პატარა ბიჭმა — ბოლნიცაში არ იქნება, არა. თავს მოვიკლავ და ბოლნიცაში არ გაგატანთ. ოსტატთან წავიყვან, სოლოლაკზე. ჩამომეცალეთ. ფაეტონ! სწორედ გამმაგებულს ვეფხვს მიაგავდა თოთხმეტის წლის ბიჭი, კალატოზის ძმა.

შაქრო ფაეტონით მიაყენეს იმ ალაყაფის კარებს, სადაც ამ უბედურს საღამოზე უნდა დაენახა თავის საცოლო ლიზა. შაქრომ დაინახა ლიზა, მაგრამ ვეღარ კი იცნო. თუმცა გულშემოყრამ გადუარა, მაგრამ გონებაზე ვეღარ მოვიდა. ტვინის ანთება დაემართა დიდ ხანს მზეზე დგომით. ორი კვირა იყო სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა საწყალი სამეივო. დიდის გულმოდგინებით უვლიდენ ამას თავის სამოყვროები. დილით საღამომდის თავით უჯდა ლიზა და თვალებ-ცრემლიანი ჩასცქეროდა იმის უგონო გაჭყეტილ თვალებს. ორის კვირის შემდეგ ცოტას ხნით გონზე მოვიდა შაქრო და ეს ორიოდ სიტყვა ამოილუღლუღა. «ჩემი ძმა ვანო, ჩემ მაგიერად... ჩვენს განჯინაში ოცი თუმანი და ალასთან ათი თუმანი. ის ლიზას მზითვად.» შემდეგ თავზე ხელი გადაისვა და თვალთაგან ორი მსხვილი მარგალიტივით ცრემლი გადმოსცვივდა. «ლიზა... ერთი მაკოცე, პირველად და უკანასკნელად.» ლიზა დაეკონა იმის ლომივით განიერს მკერდსა და გაყუჩდა. ოთახში არავინ იყო და არავინ შეარყევდა საყვარელთა უკანასკნელ გამოსალმების საიდუმლოებას.

ეკ. ბაბაშვილისა.

# უსაფუძვლო წადილი.

(ზ. ილ. ჭავჭავაძის «ცხოვრება და კანონის» გამო.)

(წერილი მეორე *).

მეორე, დიდად საყურადღებო საგანი, რომელსაც შეეხება ზ. ჭავჭავაძე, გახლავთ სოფლის წყობილობა, ადგილობრივი თვით-მმართველობა. აქაც ავტორი ჯერ ცდილობს საერთოდ თვით-მმართველობის შინაარსი უჩვენოს მკითხველს, მერე განსხვავება ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციის, თვით-მმართველობის შორის; ცდილობს დაამტკიცოს, რომ როგორიც უნდა იყოს სახელმწიფო გამგეობის ფორმა, ამ ფორმასა და თვით-მმართველობას შორის არაფერი არ იპოვება საკამათო, საცილო. თვით-მმართველობას თავისი განსაზღვრული წრე აქვსო, და უმაღლეს მთავრობას თავისიო; ამ გვარი ხალხის გამგეობა ისეთი შინაგანი თვისებისა არისო, რომ ერთობ კარგად მოეწყობაო როგორც, ვთქვათ, სონთქარის მფლობელობასთან, ისე ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასთანაო.

თუმცა ამ გვარი აზრი ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, მაგრამ მის გარჩევას ახლა ვერ შევუდგებით, რადგანაც ხსენე-

---

*) «ივერია» № 6, 1881 წ.

ბულის საგნის განხილვა ბევრს დროსა და ადგილს მოითხოვს და ეხლა ჩვენი განზრახვა სხვა არის: ჩვენ გვინდა გავარჩიოთ ის კერძო მოსაზრება ავტორისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხება; ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ამისთანა საგნებზე კაცმა ან ძალიან დაწვრილებით, დალაგებით, ისტორიის და სოციოლოგიის მეოხებით უნდა ილაპარაკოს, ან უნდა სულ თავი დაანებოს; თორემ ვინ იცის, ესე გაკვრით ხსენებას იქ-ნება ზოგმა არაკი დაუძახოს.

ბ. ჭავჭავაძე თვით-მმართველობის უმთავრეს [illegible]ოვნი-ლებათა ჩამოთვლის შემდეგ ამბობს: «ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ იგი ცოტად თუ ბევრად თვით-მმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვით-მმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ?» ამის მიზეზების ახსნას ავტორი გვპირდება მეხუთე წერილში.

ახლა ის განვიხილოთ, როგორ გვისრულებს ამ პირობას:

«პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვით-მმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და რა კი თვით-მმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, იქ თვით-მმართველობას ნურავინ დაემდურება. იმიტომ რომ იქ თვით-მმართველობა არ გახლავთ და არაფერ შუაშია.» (იგ. 1879 № 1. გვ. 103). თუმცა ეს სიტყვები ავტორისა ცოტა არ არის, რომ ეწინააღმდეგება მის-განვე ზემო-მოყვანილ ციტატს — სასოფლო წესდება თვით-მმართველობის საფუძველზეა ცოტად თუ ბევრად ამოყვანი-

ლიო, — მაგრამ ამ წინააღმდეგობას თავი დავანებოთ და მარტო ის გამოვიკვლიოთ, რა ყოფილა ეს «პირველი და უდიდესი ნაკლი?»

«წესდების მეშვიდე მუხლის ძალით ხმა და არჩევანის უფლება ეკუთვნის მარტო ოჯახის იმ უფროსთ გლეხთ, რომელნიც კამერალის აღწერაში ცალკე კომლად არიან ხსენებულნი.» სხვა პირნი კი, ესე იგი: თავადნი, აზნაურნი, სოფელში მცხოვრებნი მოქალაქენი, მღვდელ-დიაკვანნი და თითონ გლეხნიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გასულნი— ეს სუყველანი ხსენებულის მუხლის ძალით გამორიცხულნი არიან სოფლის გამგეობიდგან. აი თურმე ის უდიდესი ნაკლულევანება, რომელმაც დაუმალა სოფელს „აყვავება", გაბედნიერება. ახლა ის გავიგოთ, რა სამირკველზე აშენებს ბ. ჭავჭავაძე ამ თავის დედა-აზრს? „ჩვენი აზრი ის არის, რომ თვით-მმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთ-გვარად უნდა იყოს მიჩენილი. თვით-მმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელსაც აბია წარმატების უღელი და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე გამოკლება ვისიმე თვით-მმართველობიდგან დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილ-დღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთ-გვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი." და სხვა და სხვ. (იქვე გვ. 105).

ეგ კარგი, პატიოსანი, სახარების სიტყვებია, მაგრამ რა გამოვიდა მათგან? რად მოუნდა ავტორს ამ გვარის გაპტყელებულ მოსაზრების, ასე ვთქვათ მეხანიკურ— ჭეშმარიტების დაწერა? ვინ არ იცის, რომ, მაგალითებრ, ოთხი უღელი საქონელი ორ უღელზედ მალეც და უფრო რიგიანადაც აასრულებს ერთსა და იმავე საქმეს, თუ ბ. ჭავჭავაძეს ჰგონია,

რომ საზოგადოებაში კაცი ამ ხსენებულს უღელში შებმულ საქონელსა ჰგავს, მაშინ ავტორი უნდა გარკვეულიყო და სხვისთვისაც დაემტკიცებინა ეს „ჭეშმარიტება.“ თუ არა და ამ გვარად აზრების შეფარდება ცხოვრებაში ხომ უსაფუძვლო და უგვაროა, მათში ცალიერის სიტყვების მეტი არა არის-რა. ჯერ ავტორს უნდა დაემტკიცებინა, რომ ყველა წარმატების უღელში შებმული გვამი ერთ მხარეს და ერთობ ბეჯითად გაეწევა და მერე წარმოეთქვა, რომ ამ უღლიდგან ზოგისა და ზოგის გამოშვება წარმატებისათვის სავნებელი, საზარალოა. თუ არა და, იმ წარმატების უღელში შებმულთ ის საქმე რომ დაემართოთ, რაც კრილოვის ერთს იგავში ერთად შებმულს ფრინველს, თევზს და კიბოს დაემართათ, მაშინ ხომ სულ ეხტიბარი გაუტყდა ავტორის წარმატების თეორიას. როცა ბ. ჭავჭავაძე დაგვარწმუნებდა, რომ ჩვენში მაგ-გვარად ჭაპნის წევა შეუძლებელია, როცა ის, ერთის სიტყვით, დაგვიმტკიცებდა, რომ მთელს თემობაში არ არის არა რაიმე საბუთი ცილისა, შურისა, განხეთქილებისა, მაშინ, რასაკვირველია, მისგან გამოთქმული აზრებიც შეურყეველს ჭეშმარიტებას შეადგენდა. მარტო ამ გზით შეეძლო ავტორს თავისი თეორია შეუცილებელი გახადა.

სამწუხაროდ, ბ. ჭავჭავაძე ამ გზას ასცდა და სხვა მთლად უვარგისი ამოირჩია; რის დამტკიცებაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა,—ავტორმა დაუმტკიცებლად შეურყეველ ჭეშმარიტებად, ყოვლად ცნობილ ანბანად ჩარიცხა; და ამ გვარ ვითომ-და-ჭეშმარიტებით დაიმედებული, ჩვენი ავტორი არა ზოგავს დასამდაბლებელ სახელებს იმ პირთათვის, რომელნიც ავტორის აზრს ჭეშმარიტებად არა სთვლიან, რომელნიც თხოულობენ მის დამტკიცებას: ჩვენი ავტორი ამ პირთ „თავ-თხე-

ლებს, საკუთარ ტვინ-მოკლებულებს“ უძახის; ესენი არიან თურმე ის რეგვენნი, რომელთაც ავტორის ნაწარმოები სიმართლედ არ მიაჩნიათ. ჩვენის აზრით, ცოტა მორიდება მაინც უნდა იხმაროს კაცმა იმისთანა საქმეში, რომელშიაც მტკიცე საბუთების მაგიერ ცალიერის სიტყვების მეტი არა მოჰყავს-რა.

რასაკვირველია, რომ ბ. ჭავჭავაძის მოსაზრება, ამ საეჭვო ნიადაგზე დამყარებული ბჭობაც საეჭვო, სათუო დგება. როგორც ზემოდაც იყო მოხსენებული, ავტორი იმ უმთავრესს ნაკლულევანებას ხედავს საერთო თვით-მმართველობის წესდებაში, რომ ამ უკანასკნელმა განგებ და არა ცხოვრების მოთხოვნილებით მოაკლო სოფლის წრეს თავად-აზნაურობა, ვაჭრები და სხ. თუ რუსეთში ამას რამე ხელ-მოსაჭიდი მიზეზი ჰქონდაო, ჩვენში იმის მზგავსი ხომ სულ არაფერი იბოვებოდაო.

რა ყოფილა ეს მიზეზი? „იქ (რუსეთში) მიწა სახელმწიფოა, ესე იგი, საერთოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში... და ამის გამო საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განთვითვეულობა გლეხისა და თავად-აზნაურობისა,“ რომელთაც, რასაკვირველია, მამულები განსაკუთრებული და სამუდამოდ დაჩემებული უჭირავთ.

ჯერ ერთი ეს, რომ ზემო აღწერილი მიწის მფლობელობა მარტო რუსეთის ერთს ნაწილშია, — დიდ-რუსეთში — გავრცელებული; იქაც კი სუყველგან არ არის შემოღებული. სხვა ნაწილებში ხალხი ჩვენსავით, კომლეულობით, მფლობელობს მიწას. მაშასადამე არც რუსეთისათვის გამოდგება ის „ხელ-მოსაჭიდავი“ მიზეზი, რომელსაც ბ. ჭავჭავაძე გვიჩვენებს.

მეორეც ეს, თუმცა დიდ-რუსეთში მიწის სათემოდ

მფლობელობაა გავრცელებული, მაგრამ იქაც, როგორც ჩვენში და სხვა რუსეთის იმპერიის ნაწილებში, ეკონომიური ურთი-ერთობა მებატონეთა და ნაყმევთა შორის იმავე საფუძველზეა დამყარებული, რომელზედაც ჩვენში. იქაც ჩვენ ვხედავთ იმავე გადასახადს, სახელმწიფოს, თუ საბატონოს, როგორსაც მცი-რე—რუსეთში, ჩვენში და სხვა რუსეთის ნაწილებში. არსები-თი განსხვავება ამ ორ გვარ—სათემო და საკომლო—მიწის-მფლობელობაში მარტო მათ შინაგანს მოწყობილებაშია მიწის ხმარების შესაფერ. ერთის სიტყვით, გლეხთა უფლება და მო-ვალეობა მთავრობასთან ერთი და იგივეა, როგორც დიდ-რუ-სეთის სათემო სოფლებში, ეგრეთვე ჩვენში; როგორც ერთნი არიან ჩაბმულნი—ბ. ჭავჭავაძისა არ იყოს—წარმატების უღელ-ში, ისე მეორენი; მაშასადამე გამოკლება ვისიმე, მებატონე იქნება თუ ვაჭარი, სავნებელი, ღონის დამამცირებელი უნდა იყოს. აქ, როგორც მკითხველიცა ხედავს, რუსეთისაკენ მითი-თება, უსაფუძვლო არის, რადგანაც რუსეთსა და საქართვე-ლოს შორის ამ მხრით არავითარი არსებითი განსხვავება არ არსებობს. ამიტომაც ამ უკანასკნელს განსხვავებას არას მხრით არ შეიძლება დაერქვას „ხელ-მოსაჭიდი მიზეზი,“ მეტადრე იმ კაცისაგან, რომელიც თვით-მმართველობაში ყოველ წოდების მონაწილეობის დამცველად რაცხავს თავის-თავს; თუ ჩვენში არ ვარგა ზოგიერთების გამოკლება, არც რუსეთში უნდა ივარ-გოს.

ჩვენს ავტორს, რასაკვირველია, არც რუსეთში მოსწონს ეგ წოდებათა განყოფილება, და რადგანაც მარტოობა მეტად ძნელია, ბ. ჭავჭავაძე ცდილობს იპოვოს რუსულს ლიტერა-ტურაში თავის აზრის მომხრე... და ჰპოულობს კიდეც. სამწუ-ხაროდ ჩვენი ავტორი არ ასახელებს არც თავის მოაზრეს,

არც მის ნაწარმოებს; ასე რომ ძალიან ძნელია კაცმა გაიგოს, რა საბუთები მოჰყავს უცნობს ავტორს თავის (და ბ. ჭავჭავაძის) აზრის გასამართლებლად. იმ ციტატიდგან კი, რომელიც ბ. ჭავჭავაძესა აქვს ამოწერილი, ბევრი არაფერი გაიგება. მარტო შესაძლებელია კაცი მიხვდეს და ისიც ჭაპან-წყვეტით, რომ უცნობი ავტორი იმავე აზრისაა ამ საგნის შესახებ, როგორისაც ბ. ჭავჭავაძე. მაგრამ მომხრე მოაზრის შოვნა, მაგალითის პოვნა რას ამტკიცებს? აბა ერთი დამისახელეთ იმისთანა ან საზოგადოება, ან ლიტერატურა, რომელშიაც არ გამოჩნდეს არა ერთი და ორი დამცველი უმხეცესის და ურეგვენესის აზრებისა. თვით ჩრდილოეთის ამერიკის შტატებში იპოვით ეხლაც ბევრს მახინჯს, რომელთაც სურთ ინგლისის მფლობელობის გაახლება, გიორგი მესამის დროების დაბრუნება; აღარ ვიხსენიებ აწინდელს საფრანგეთს, რომელშიაც ასი ათასობით ითვლებიან ბურბონებისა და ნაპოლეონების თაყვანისმცემელნი.

რუსულს ლიტერატურაში ამ 5—6 წლის წინად იყო ლაპარაკი, ბაასი ბ. ჭავჭავაძისაგან საქებ საყოველ-წოდებო სოფლობაზე (все-сословная волость). ამ ახალს მოგონილებას დამცველად გამოუჩნდა გრაფი ორლოვ-დავიდოვი, მაგრამ თანამგრძნობნი და თანაშემწენი თითქმის ვერავინ იპოვნა. მწერლობის უმეტესმა ნაწილმა უარ-ჰყო, განდევნა ეს წინადადება; მას აქედ ამ საგანზედ ჩაჩუმდა ლაპარაკი, დავიწყებას მიეცა. არ ვიცით, ვის ეკუთვნის ბ. ჭავჭავაძისაგან ამოწერილი ციტატი: ხსენებულს გრაფს, თუ სხვას ვისმეს; მაგრამ ვისაც უნდა ეკუთვნოდეს, მაინცა-და-მაინც თავის შინაარსით სახელს ვერავის გაუთქვამს, ჭკვიანობას ვერ მიანიჭებს. მაგრამ მკითხველმა ისევ თითონვე საჯოს; აი ის ციტატი:

„მართალია, გლეხნი, მეზობელნი (ვისი?) ნამუსზედ ხელ აღებით ჰპარვენ ტყესაო, უხდენენ მოსავალსაო, უმოებენ ყორუღებსაო, მაგრამ ამას განა იმისგან ჰსჩადიანო, რომ კერძობითს საკუთრებას უფრო ნაკლებ პატივსა სცემდენ, ვიდრე სასოფლოს, სახასოს, არამედ იმისგანაო, რომ არავითარის საკუთრების პატივის-ცემა არა აქვთო... და სლავიანურ ფართო ბუნების მიდრეკილებისა გამო არც თავისას ზოგვენ, არც სხვისასაო.“

თუმცა ეს ციტატი უცნობის ავტორისა სიტყვა-სიტყვით არ არის მოყვანილი, მაგრამ უკანასკნელს ასოს «ო»-ს ეტყობა, ეს იმის აზრი უნდა იყვეს. აქ ყოველი აზრი, ბაჯაღლო ოქროა, ყოველი სიტყვა ძვირფასი მარგალიტია. თურმე გლეხი მებატონეს ტყეს იმიტომ ჰპარავს, რომ ფართო სლავიანურის ბუნებისაა და არა იმიტომ, რომ ღატაკს გლეხს მამა-სისხლად უსმენ ყოველს ხის მასალას, რომლის სასყიდლად არავითარი სახსარი არა აქვს! თურმე სოფლელნი მეზობელნი იმიტომ უფუჭებენ მოსავალს (თუ მართლა ხანდისხან მოხდება ამისთანა შემთხვევა), რომ არავითარი საკუთრების პატივის-ცემა არა აქვთ, და არა იმიტომ რომ ისინი შევიწროებულნი არიანყოველის მხრით და არა აქვსთ თავიანთი არც საძოვარი, არც ფართო ეზო, ვერ ინახავენ ვერც საქონელს, ვერც შინაურ ფრინველს. საითაც უნდა წავიდეს გლეხის საქონელი, უსათუოდ მიატყდება სხვის მინდორს, სხვის ყანას. ან საიდგან შეიტყო უცნობმა ავტორმა, რომ რუსეთში ამ გვარი შემთხვევა ყველგან მოხდება ხოლმე. საკვირველი ის კი არ არის აქა, რომ ვიღაც უცნობი უთავ-ბოლო აზრებსა როტავს; საკვირველი ის არის, რომ ბ. ჭავჭავაძეს თავის აზრის დასამტკიცებლად ამისთანა საეჭვო მწერლისათვის მიუგნია.

თუ რუსეთშიო, სადაც სოფელი ორ-გვარ ეკონომიურ წყობას წარმოადგენს, ხსენებულ წოდებათა გაყოფას არა აქვს საფუძვლიანი საბუთიო, მაშ ჩვენში, სადაც ეგ ორ-ნაირი წყობა არსად მოიპოვებაო (აქ ცოტა შეცდომაა: ხევსურებს და თუშებს აქამდის მიწები საერთოდ უჭირავთ; სამუდამო საკუთრებად არა აქვთ დაყოფილი) თავად-აზნაურებთა და გლეხთა გათვითვეულება ხსენებაშიც არ უნდა ყოფილიყო. თუმცა სხვა-და-სხვა წოდებაში, როგორც ცალკე პირებ-შორის, მეტ-ნაკლებობა კი არ გამოილევაო, ბძანებს ბ. ჭავჭავაძე, მაგრამ ეგ მეტ-ნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქნებაო და რა არისო სამტრო, საშუღლო იმ საგნებში, რომელნიც თვით-მმართველობას მინიჭებული აქვსო? აბა რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცალიერზედ დააგდოს?... განა მეტ-ნაკლებობა ხარჯის, ბეგარის გაწერაში დღესაც არ არის მიზეზად ცხარის ბაასისა მდიდართა და ღარიბთ გლეხთა შორის? აბა ერთი მიჩვენეთ მაგალითი, რომ მაგ მიზეზს განხეთქილება რამ ჩამოეგდოს სადმე ისეთი, რომ მთავრობის მიშველება დასჭირებოდეს“

„რომ მთავრობის მიშველება დასჭირებოდესო“—რა უნდა ეთქვა ამითი ავტორს,—ძნელად გასაგებია. თუ ის, რომ მთავრობის ყურადღებამდის ვერ მიაღწევსო, ეს არა თუ მარტო „ბაასი“, არამედ ჩივილი, ტირილი, ეგ: რასაკვირველია, მართალია; და თუ ის, რომ ეგ ბაასი საერთოდ სასიამოვნოდ, ძმურად თავდება, მაშინ აშკარაა, ბ. ჭავჭავაძე შემცდარია. ხარჯისა და ბეგრის გაწერაში უწესობამ, მარტო ბეჩავების დატვირთებამ და მდიდრების განთავისუფლებამ ის მოახდინა, რომ სოფლობა ისე განადგურებულია და არასოდეს

გლეხი თავის ნებით არ წავა, არ დაესწრება სოფლობაზე, ერილობაზე; თითქმის ვერასოდეს ვერ ნახავს კაცი ამ ერილობაზე მცხოვრებთ მეათედსაც; ყველა სასოფლო საქმის დაბოლოება ხუთი-ექვსი გაქნილის კაცის ხელშია. „რად წავიდე ერილობაში და მოთავეებს ლაპარაკში შევებაო; ხო ვიცი არა გამოვა-რაო, უფრო მეტს დამაწერენო!“ ამბობს ამ შემთხვევაში ბეჩავი გლეხი. როგორც მკითხველიც ჰხედავს ეს საქმის ძმურად გათავება კი არ არის. ეს გახლავთ ძალისადმი დამორჩილება და ის შიში, რომელიც სუფევს მთელის ქვეყნის ბეჩავ კაცში, ხალხში. ესევე გახლავს მიზეზი იმ სიჩუმისა მაგნაირ უსამართლობაზე, იმ მშვიდობიანობისა, რომელზედაც ჩვენი ავტორი სიამოვნებით უთითებს, და აი ამიტომაც არა ჰსჭირდება მთავრობის მიშველება. აბა გამოჩნდეს სადმე იმისთანა ადმინისტრაციის მოხელე (თუ ეს შესაძლებელია), რომელმაც ერთგულად მიაქციოს ყურადღება მაგ გვარ საქმეებს, მაშინ დავინახავდით, რაოდენი ჩივილი მოისმოდა აწინდელ სოფლის წყობილობის უსამართლობაზე, ბეჩავის დაჩაგვრაზე.

ჩვენის სიტყვებიდამა ჰსჩანს, რომ გამრავლება სოფლის გამგეობაში მონაწილე პირთა, სხვა წოდებათა შეყვანა თვითმმართველობის წრეში არავითარი უებარი წამალი არ არის მის განსაკურნებლად. თუ ეხლაც ის გვამნი, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ სოფლის გამგეობაში მონაწილეობა, არ ერევიან საზოგადო საქმეებში, შორს უდგანან იმას, მაშ აბა რა ხეირი იქნება, რომ უნაყოფო რიცხვს სხვაც მიემატოს. ჩვენ რომ დარწმუნებული ვიყოთ, ან სხვამ რომ დაგვარწმუნოს,— ახალნი პირნი უფრო მედგრად, ბეჯითად, პატიოსნურად მოექცევიან სასოფლო საქმესაო, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ პირველნი ვინატრებდით მათს სოფლის წრეში შემოსვლას. სამწუ-

საროდ, ეს აქამდის ვერავინ დაგვარწმუნა და ჩვენ თითონ კი დავრწმუნდით, რომ სრულებით სხვაფრივ იყოს,—ის უკეთესი იქნებოდა.

თითონ ავტორის ზემოდ ამოწერილის ციტატიდამა სჩანს, რომ სოფლის გამგეობაში, გლეხთა მოვალეობაში ბევრი იმისთანა რამ არის, რომლის ერთს მხარეს გადადრეკა ერთს მალიან დაუმძიმებს და მეორეს კი გაუადვილებს ცხოვრებას. აი, სხვათა შორის, ის მიზეზი, რომელიც არ გვაძლევს ნებას მოვინდომოთ სოფლის წრეში სხვა წოდებათა შესვლა; არც თავად-აზნაურობა, არც ვაჭრები და არც სამღვდელოება არ არიან აქ სანატრელნი. ესენი ერთობ უფრო ყველაფრით შეძლებულნი, დაიარაღებულნი არიან; და თუ სოფლობაში შესდგეს ფეხი, რასაკვირველია, როგორც უფრო ძალოვანნი, ყოველის მხრით ეცდებიან კისრიდამ მოიშორონ ყველა ის უსიამოვნო, დამამძიმებელი და მათთვის გამოუდეგარი ვალდებულება, რომელიც ეხლა გლეხის კისერზე აწევს. თუ კი ეხლა მდიდარნი გლეხნი ახერხებენ ბეგრიდგან განთავისუფლებას, აბა, რასაკვირველია, თავადი და ვაჭარი მაგას უფრო ადვილად მოახერხებს? ამათ ყველგანა აქვთ ფეხი გამდგარი: მაზრის ადმინისტრაციაში ან იმათ ნათესავნი, ან კარგი ნაცნობნი სხედან, და თითონ სოფლის მოხელეებიც ამათი ყურ-მოჭრილნი ყმანი არიან; მაშასადამე გლეხს იმათზე ჩივილი ფუჭად ჩაუვლის; და თუნდ ეგეც არ იყოს, როგორ გაუბედავს გლეხი—ნაყმევი და ეტყვის თავადს—ნაბატონარს: ჩადეგ ბეგარაში და ჩემთან, ვთქვათ, ქვიშა ჰზიდეო. ჯერ-ჯერობით არ არის კიდევ დავიწყებული ძნელად დასავიწყარი ბატონ-ყმობა, ის დრო, როცა ბატონს ყმის ტყავის გაძრობა შეეძლო. ამ გვარ ურთი-ერთობის დავიწყებას და თანასწორობის გრძნობის და-

არსებას ათი და ოცი წელიწადი არ ეყოფა, როცა მეტადრე აწმყოც არ აქეზებს გლეხს, რომ წარსული დაივიწყოს. სოფლელმა კარგად იცის, რომ თუ ნაბატონარს მოწიწებით, მუხლმოდრეკით არ მოეკიდა, თუ საქმით ან სიტყვით აწყენია რამ მაშინ ვაი იმისი ბრალი: ნაბატონარს და ჯერ კიდევ «ბატონს» ბევრი საშუალება აქვს, იმის ჯავრი ამოიყაროს; ტყის, მინდვრის, საძოვრის ხმარებას ისე გაუძნელებს, ისე გაუჭირებს საქმეს, რომ უბედურს თავ-საცემად გაუხდეს მისი შეუპოვრობა, ამაყობა.

ესენი იქნებიან მომავალნი სოფლის მოთავენი, თუ ღმერთმა ოდესმე მოხედა ბ. ჭავჭავაძის პროექტს და ცხოვრებაში შემოვიდა. აშკარაა, რომ მაშინ მოხელეები არაფრით არ დაემჯობინებიან ეხლანდელებს; ერთის ღირსებით კი ბევრით ჩამოუვლენ მათ. ეხლანდელებს გლეხი უცქერის, როგორც თავის თანასწორს, თავის ყალიბის კაცს, რომელსაც ყველაფრის თქმას, და თუ გაჭირდა, გალანძღვასაც გაუბედავს; იმისთანა მოხელეებს კი, რომელნიც თავად-აზნაურობის წოდებისა იქნებიან, ამისთანას ვერას აკადრებენ; ვერც ანგარიშს მოსთხოვენ სოფლის საქმეებში, ვერც მკვახე სიტყვას ეტყვიან, როცა ისინი ამის ღირსნი იქნებიან. ერთის სიტყვით, ეს ცვლილება სოფლის გამგეობაში სრულიად მოჰკლავს გლეხში ისედაც სუსტს გაბედულობას, მოუსპობს სურვილს, თუ კი ახლა სურვილი აქვს რამე. სოფლის გამგეობაში მონაწილეობის მიღებისას, ეს ხომ, რასაკვირველია, ძალიან სამწუხარო იქნება, ამიტომ რომ მარტო ამ სურვილში — თავის საქმეებს ყური თითონ უგდოს — არის ჩვენი საშველი, ჩვენის კეთილ-დღეობის იმედი.

მაშ თუ ამ მხრით არ შეეწევიან გლეხს ეს წოდებანი,

იქნება ჭკუა-გონებით მანც გამოადგნენ; იქნება თავად-აზნაურობამ უჩვენოს მას კარგი გზა განათლებისა, ბედნიერებისა; იქნება გაჭირებაში შეამდგომლობა გაუწიოს უმაღლესს მთავრობასთან და სხ. თუმცა საზოგადო საქმეებზედ ლაპარაკის დროს «იქნება» შესაწყნარი არ არის, თუმცა ამისთანა საგნის გარჩევაში კაცმა უნდა მარტო ნამდვილი ურთი-ერთობა წოდებათა შორის მიიღოს სახეში და ამაზე დაადგინოს თავისი გადაწყვეტილი აზრი, მაგრამ პატარა ხანს ავცდეთ ამ სწორე გზას და გავარჩიოთ, მართლა შესაძლებელია ამ გვარის აზრის შესრულება?

ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ განათლების პრობლემის ასრულებას სჭირდება კაი ჭკუა, სწავლით გავითარებული, პატიოსანი წადილი და ხშირადაც პირად ინტერესების შეწირვა. მაგრამ აბა რომელს წოდებაში იპოვით ამ კარგს თვისებებს? თავად-აზნაურობაში? ისე დახშულს, დავარდნილს დიდ-კაცობას, როგორც ჩვენშია, სხვაგან ვერსად ვერა ნახავთ. ისე ყოველისფერში დაუდევნელნი, უზრუნველნი «კეთილ-შობილნი», როგორც საქართველოში, სხვაგან არსად მოიპოვებიან! მაშასადამე ამ წოდებას არ შეეძლება იკისროს ხალხის განათლების საქმე, მისი სწავლაში წინამძღომლობა და თუ ვინმე გამოდის ამ წოდებიდამ ნასწავლი, «განათლებული», ის აღარ ჰკადრულობს ,,უბრალო‘‘ ცხოვრებას, აღარა რჩება სოფელში. ამ გვარნი პირნი ქალაქებს ეტანებიან, ცდილობენ რაიმე დეპარტამენტში შეჰყონ თავი, მოხელედ, ჩინოვნიკად ჩაიწერონ. თუ სოფელში კაცი კიდევ ნახავს თავად-აზნაურობას, ეს უკანასკნელი ან ,,შტატს გარედ‘‘ დარჩენილი რაიმე სოვეტნიკი იქნება, ან გამოგდებული იუნკერი. აბა ამათ რა სწავლით განათლებული გონება მოეთხოვებათ, რა პატიოსანი წადილი?

კანცელარიებში შესწავლილი რუსულის კანონების მუხლნი, პარაგრაფები იმათ მარტო ლობე-მძვრალობისათვის, მეზობლების მოსატყუებლად, გასაქელად გამოადგებათ ხოლმე. ამ გვარ ბატონებს მარტო სადავიდარაბო არზების და განაჩენების შედგენა, ცრუ-ადვოკატობა მოჰკითხეთ და არა პატიოსანი წადილი, კაცთა სიყვარული, დაჩაგრულთ პატრონობა.

მაშასადამე თავად-აზნაურობას არას გზით არ შეუძლიან გლეხების შველა. სოფლის რიგიანი მოწყობა. დანარჩენ წოდებებზე ლაპარაკი ხომ სულ აღარა ღირს; ვაჭრების ცხოვრების მიზანი კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგება გლეხის კეთილ-დღეობას, ვიდრე თავად-აზნაურებისა და თვითონ ჩვენი ავტორიც არაფერს მნიშვნელობას არ აძლევს დანარჩენ წოდებათ. თუმცა ეს აზრი ავტორს პირ-და-პირ არა აქვს გამოთქმული, მაგრამ ამის გამოთქმის ნებას აი რა გვაძლევს: თუ მართლა ავტორის აზრით, ყველა თვით-მმართველობიდამ გამოკლებულნი წოდებანი კანონმა ერთად უნდა მიაშველოს გაჭირებულს სოფლელს, მაშინ, რასაკვირველია, ბ. ჭავჭავაძე არაფერს განსხვავებას არ უნდა ხედავდეს თავად-აზნაურობასა და სხვა წოდებათა შორის. ჩვენი ავტორი კი ამ უკანასკნელებს, ერთხელ-ორჯერ მოკლედ ხსენების შემდეგ, სრულებით აღარ იგონებს. ეტყობა, რომ ისინი მარტო თავად-აზნაურობის გვერდის დასამშვენებლად და ლოღიკის დასაკმაყოფილებლად არიან მოყვანილნი.

«ამ სახით, ბძანებს ბ. ჭავჭავაძე, არც ჩვენის სოფლის ეკონომიურს მდგომარეობაში, არც თვით-მმართველობაში და არც თვით-მმართველობის საგანთა შორის არ არის მიზეზი კაცმა იფიქროს, რომ თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანერთში ვერ მოთავსდებიან განუყოფლად.»

ამ დასკვნაში ვაჭრობა და სასულიერო პირნი სულ დავიწყებულნი არიან. — რადა? ეს ხომ არ ეთანხმება იმ აზრს, რომელიც ავტორის ფიქრით, ძედა-ბოძად უნდა იყოს ჩადებული თვით-მმართველობის წესდებაში. თუ მართლა დანარჩენ ორ წოდებას, როგორც პირველსაც, მარტო რიცხვითა აქვს მნიშვნელობა, მაშინ ავტორს ისინიც არ უნდა დავიწყებოდა, რადგანაც იმათაც იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ «წარმატების უღლის» წევაში, როგორიც «კეთილ-შობილებს.» ეტყობა რომ თავად-აზნაურობას სხვა რაღაც ღირსება ჰქონია, რომლის გამო მათი მონაწილეობა სოფლის გამგეობაში თურმე უფრო სანატრელია, ვიდრე ვაჭრებისა და სამღვდელო პირთა. ეს ღირსება თურმე იმ ნდობაში, იმ ერთობაშია, რომელიც ვითომ არსებობდა საქართველოს ისტორიაში და ეხლაც კიდევ არსებობს.

«ჩვენში, ბძანებს ავტორი, თავად-აზნაურობას დღევანდღამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენებოდა, გლეხი კი არა.» და შემდეგ: „...ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა...... ჩვენში არ არსებობდა. თავად-აზნაურობას თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან...“

რითი გვიმტკიცებს ბ. ჭავჭავაძე ამ საკვირველ, უმაგალითო მოვლენას? რა ისტორიულ ფაქტებით ჩვენის წარსულის ცხოვრებიდგან ამოწმებს თავის საოცარს შეხედულობას? სამწუხაროდ ის აქაც ჩვეულებრივ იქცევა: ამ შეხედულობის საბუთად ერთი მაგალითიც არ მოჰყავს; აქ ცალიერის სიტყვების მეტი არაფერია, და სწორედ კი აქ იყო საჭირო შესაწყნარე-

ბელ ფაქტების დასახელება. ამიტომ რომ, ვისაც კი უსწავლია სხვა ქვეყნების ნამდვილი ისტორია, იმას ისე დაუჯერებლად ეჩვენება ზ. ჭავჭავაძის აზრები, რომ თუ საფუძვლიანად, ფაქტებით არ დაუმტკიცეს, — არ დაიჯერებს. მართლაცა-და საკვირველი ქვეყანა უნდა ყოფილიყო საქართველო და სულ სხვა ცხოვრების კანონებზე დამყარებული მისი წარსული ყოფა-ცხოვრება.

ახლა ისიც განვიხილოთ, რა მოსაზრებით ამართლებს, ანამდვილებს ჩვენი ავტორი თავის დედა-აზრს: «ჯერ დავიწყოთ იქიდამაო, ამბობს ზ. ჭავჭავაძე, რომ ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა «сословіе» ნიშნავსო, ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა...» ჯერ ერთი, რომ ეს სიტყვა ისე გუშინდელი არ არის, როგორც ავტორი ბძანებს; მაგალითებრ, გადაშალეთ ძველებური ლექსიკონი (მგონი საბა ორბელიანისა), რომელიც 150 წლისა მაინც არის, და იქ იპოვით მაგ სიტყვას იმავე ეტიმოლოგიურის მნიშვნელობით. როგორც ეხლა ხმარობენ. მეორეც ესა, ეგ რა შესაწყნარებელი საბუთია, რომ ხალხში არ არის ეგ სიტყვაო. ხალხში და თუნდ ენაშიაც რომ არ იყოს მაგისთანა სიტყვა, ეგ კიდევ ვერას დაამტკიცებდა, იმიტომ, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა ენა, რომელსაც ყოველის აზრის, ცნების გამოსათქმელი სიტყვა ჰქონდეს; და აბა რომელს დაბალს ხალხს მიჩვენებთ, რომელიც მაგ-გვარს აბსტრაქტულს ცნებას ხმარობდეს საშინაოდ. ეხლა ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ გამმიჯნავი (межевыя) კომისიები; ისინი შესდგებიან უფროს და უმცროს მოხელეებისაგან. გლეხებს აბსტრაქტულის კომისიისა არა ესმის-რა; იმასა ჰგონია, რომ სიტყვა „კომისია“ მოხელეების სახელია;

ამიტომაც სოფლელნი ერთმანეთში ასე ხმარობენ ამ სიტყვას: დიდმა კომისიამ ღვინო დამაბარა (ეს ნიშნავს: კომისიის უფროსმა მოხელემ ღვინო დამაბარაო), პატარა კომისიას სძინავსო (კომისიის უმცროს მოხელეს სძინავსო) და სხ.. აგრეთვე ყველა გლეხმა-კაცმა იცის, რომ იმის მებატონე იყო თავადი, აზნაური; მაგრამ ყველა თავადების, აზნაურების ერთ წრედ, წოდებად განსაზღვრა კი არ ესმის. რუსის გლეხს რომ ჰკითხო, რა არის «კეთილ-შობილი» წოდებაო, ის გაშტერებით შემოგხედავს, მაგრამ როცა ჰკითხავ, შენს ბატონსა, баринъ-ს, და შენ შუა რა განსხვავებააო, მაშინ კი ფრიად გასაგებ პასუხს მოგიგებს. საკვირველი არ იქნება, რომ გლეხისაგან «წოდების» მნიშვნელობის უცოდინარობის გამო, კაცი ამტკიცებდეს, რუსეთში ბატონ-ყმობა არ იყოო. ჩვენი ავტორი კი სწორედ ასე იქცევა.

«ჩვენში, ბძანებს ბ. ჭავჭავაძე, ყველანი ერთ-ნაირად უხმონი და ყოვლისას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა და ამიტომაც არ იყო მიზეზი ჩვენის ერობის წოდებ-წოდებად დაყოფისაო.» (იქვე 109 & 110). ეს თავით ბოლომდე შეცდომაა. ამ ვითომ—ჭეშმარიტებას რომ მივზდიოთ, ამ ზომით რომ გავზომოთ უმთავრესი ისტორიული მოვლინებანი, მაშინ ვერც გზასა და ვერც კვალს ვერ გავიგნებთ. ავტორის აზრი ნამდვილ მიზეზად რომ ჩავთვალოთ წოდებ-წოდებად დაუყოფლობისა, მაშინ თითქმის არც ერთს ევროპიულ სახელმწიფოში არ უნდა გვეპოვნა ჩვენ ერი, დას-დასად დაყოფილი. მართლაცა და არც ძველ რომის იმპერიაში, არც გერმანიაში და, რასაკვირველია, არც რუსეთში არ უნდა ყოფილიყო ეს ხალხის დას-დასად დაყოფა, ბატონ-ყმობა. ამ სახელმწიფოებში ყველანი, დიდნიც და პატარანიც «უხ-

მონი, უფლებას მოკლებულნი იყვნენ უმაღლეს მთავრობას-
თან — ხელმწიფესთან, მაგრამ ისე სასტიკად მოდებული ბატონ-
ყმობა, მონაობა, როგორც ხსენებულ სახელმწიფოებში, არ-
სად არა ყოფილა.

საიდგან დაუსკვნია ავტორს, რომ დიდნი შეხეთქებანი
წოდებათა შორის ევროპაში პოლიტიკური უფლების გამო მომ-
ხდარა? არც ერთის დიდის ხალხის მოძრაობა ამ ნიადაგზე არ
ყოფილა იქ აღმოცენილი. ჟაქერია საფრანგეთში, გლეხთა ომე-
ბი მეთექვსმეტე საუკუნეში გერმანიაში, რაზინის და პუგაჩო-
ვის ამბოხება რუსეთში ერთისა და იმავე მიზეზიდგან წარმოსდ-
გა: ხალხის ეკონომიურად შეწუხებისაგან და არა იმ სურვი-
ლისაგან, რომ პოლიტიკური უფლება მოეპოვა. ხალხისათვი-
საც მარტო ამ გვარი ბრძოლაა გასაგები, ღირსეული, მარტო
ამისთვის ღვრის თავის სისხლს. თუ ჩვენს სამშობლოში ამ
გვარი ეკონომიური შეწუხება, დაცემულობა სუფევდა და თუ
ამის მიზეზი იყო ბატონებისაგან დიდი გადასახადი და ბე-
გარა, მაშინ რასაკვირველია, ჩვენშიაც არა ერთხელ და ორ-
ჯერ მოხდებოდა ეს უსიამოვნობა, განხეთქილება წოდებათა
შორის. და თუ ეს შემთხვევები არ მოხდებოდა ხოლმე სა-
ქართველოში, მაშინ ხომ მშვიდობიანობა, მეგობრობა იქნე-
ბოდა წოდებათა შორის. სამწუხაროდ, ავტორმა ამის დასამ-
ტკიცებლად ერთი მაგალითიც არ მოიყვანა.

მაშასადამე, თუნდ რომ მართლა ჩვენში ყველანი ერთ-
ნაირად ყმონი და უფლებას მოკლებულნი ყოფილიყვნენ,
მაინც, როგორც ზემოხსენებულიდგანა სჩანს, ხალხის ეკო-
ნომიურის მხრით დაჩაგვრა ადვილად შესაძლებელი იყო. მაგ-
რამ რადა ჰგონია ბ. ჭავჭავაძეს, რომ ჩვენში ყველანი ერთ-
ნაირად ყმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ? თუ ავ-

ტორს იმის ბმანება ჰსურს, რომ მეფე უმთავრესი და უმაღლესი მფლობელი იყო სამეფოშიო — ისე როგორც შუა-საუკუნოების გერმანიაში ხელმწიფე იყო უდიდესი მფლობელი, სიუზერენი,— მაგაზე ყველა დაეთანხმება. მაგრამ როგორც იქ ამ უკანასკნელს ჰყავდა თავისი დასხლოვებულნი პირნი, ფეოდალები, ისე ჩვენში მეფეს გარეშემო ერტყა მთავარნი, ერისთავნი, თავადნი, და როგორც იქ ვხედავთ გაუწყვეტელ განხეთქილებას, დავას, სიუზერენსა და ფეოდალთა შორის, ისე ჩვენში მოუსვენარნი მთავართ ჩამომავალნი, ერისთავნი, თავადნი უფრო სასტიკად ხანგრძლივ, საშვილიშვილოდ ებრძვიან კანონიერ მფლობელთა; ბევრჯერ გაუდევნიათ ეს უკანასკნელნი და ბევრჯერ თითონაც განდევნილნი ყოფილან. და ისეთი სასტიკობა, მხეცური დაუნდობლობა, როგორიც ამ ბატონებმა გამოუჩინეს თავიანთ სამშობლოს, არსად და არავის არ გამოუჩენია.

თუ ეს უგულო, უსიყვარულო, დაუნდობელი ფეოდალები თავის აზრს განზრახვას საკუთარის ძალით ვერ ასრულებდენ, მაშინ გულ-გრილად მიჰმართავდენ საქართველოს დაუძინარს მტერს და მათის აურიცხველ ჯარებით შემოესეოდენ თავიანთ სამშობლოს, აოხრებდენ მას, ადევნიდენ რომელსამე გერმო მტერს და იჭერდენ მის ალაგს. ახლა ეს გასწყვდა ქვეყნის მეორე მტერთან. შეჰყრიდა უფრო მეტს ჯარს და მოელაშქრებოდა ისედაც განადგურებულ ქვეყანას. იწყობოდა გაუთავებელი ომი, რომელშიაც, რასაკვირველია, ყველაზედ მეტად ზარალობდა სრულიად უბრალო გლეხი-კაცი.

გადაიკითხეთ «ქართლის-ცხოვრება» და ამის დასამტკიცებლად არა ერთსა და ათს მაგალითს იპოვით. ვინ იცის, რამდენჯერ მოუწვევიათ ამ ფეოდალებს სპარსი, ხონთქარი,

ბერძენი, ლეკი, ჭერეთი, ოსი და სხ.. საქართველოს ისტორიაშივე ვერ იპოვით თითქმის ვერც ერთს მეფობას, რომ ამ გვარი მუხანათები «შინად გამცემელნი» (როგორც მათ «ქართლის-ცხოვრება უწოდებს) აკლდეს ჩვენს სამშობლოს. საქართველოს გაძლიერების ხანებში, ბაგრატ მეფისა, გიორგი მესამისა და თვითონ თამარ მეფის დროსაც კი ვხედავთ არა ერთსა და ორს ამბოხებულ თავადიშვილს, რომელიც უსევს თავის სამშობლოს მრავალს მტერს და აოხრებინებს ქვეყანას; სხვა-და-სხვა დიმიტრებზედ, კოსტანტინებზედ, გიორგებზედ რაღა მოგახსენოთ!

თავად-აზნაურობისაგან სამშობლოს ამ გვარი დაუზოგველობა, გამცემლობა ძნელად დასავიწყარია ხალხის მეხსიერებაში და თუ მას აღარ ახსოვს «გამცემელთა» სახელი, მათი მუხანათობა, ის ჩაბეჭდილება მაინც დარჩება ერს, რომ თავად-აზნაურობას არც იმისთვის, არც ქვეყნისთვის ხეირი არა დაუყრია-რა. მაშასადამე არც ჩვენი წარსული ისტორია გვაძლევს ნებას იმ აზრის დაფუძნებისას, რომ ვითომ ჩვენთ წინა-პართ ცხოვრებაში, თავად-აზნაურობას და გლეხობას ერთი და იგივე სალხინო და სამწუხარო ჰქონდათ.

ზემოდ ჩვენ შევეხენით მარტო იმ პოლიტიკურ ურთი-ერთობას, რომელიც არსებობდა უმაღლეს მთავრობასა და თავად-აზნაურობას შორის და აგრეთვე ამ ურთი-ერთობისაგან წარმომდგარ სავნებელ შედეგს ხალხის ცხოვრებისათვის. როგორი იყო ეკონომიური ურთი-ერთობა ბატონთა და ყმათა შორის,—ამაზე საუბედუროდ ისე ცოტა მასალაა აქამდის დაბეჭდილ წიგნებში, რომ დაწვრილებით არა ითქმის-რა ამაზედ. საერთოდ იმის თქმა კი შეიძლება, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა გამოიხატა იმავე სასტიკის ფორმებით, როგორც

სხვა ქვეყნებში; რომ ბატონს თავის გლეხის ქონებაზე და თვით მის პირადობაზედაც ჰქონდა ვრცელი უფლება. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის საქვეყნოდ ცნობილი ფაკტი, რომ მას შეეძლო დაუბრკოლებლად გაეყიდა, ან ეჩუქებინა ყმა და იმისი სახლობა.

ეს ორი მაგალითიც სამყოფია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში არ ყოფილა წოდებათა შორის ის ნადიმობა, მეგობრობა, რომელიც ბ. ჭავჭავაძის სიტყვით, თურმე სუფევდა და სუფევს კიდეც თავად-აზნაურობასა და გლეხთა შორის და როგორ მირეულად არჩევდა ძველებური კანონი თავადსა და გლეხს ერთმანერთში,—ესა სჩანს მარტო იმ ერთის ფაქტიდგან, რომ მისის ძალით თავადის მომკვლელს გადახდებოდა სხვათა შორის, ორმოცი ათასი თეთრი და უბრალო მონის მომკვლელს კი მარტო ოთხასი. ეს ჯარიმა აიწევდა ათასამდის მარტო იმ შემთხვევაში, როცა მოკლულის ბატონი მიცვალებულს კაი რეკომენდაციას გაუკეთებდა, ესე იგი იტყოდა, ჩემი ერთგული, ბეჯითი ყმა იყოო. აქედამ კაცი აშკარად დაინახავს, რა პატიოსანი, კაცობრიული წყობაც ჰქონია ჩვენს წარსულს ცხოვრებას: ერთის თავადის სიცოცხლეში ასის ყმის სიცოცხლე—არ არის ურიგო? მკითხველი აქედგანვე ჰხედავს, რავდენი სიმართლეც არის ბ. ჭავჭავაძის სიტყვებში; «ჩვენში თავად-აზნაურობას მარტო ერთი უპირატესობა ჰქონდაო, წერილებში ბრწყინვალებად იხსენებოდაო.» ეს ორი მაგალითიც სამყოფია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენში არ ყოფილა წოდებათა შორის ის ერთგულება, მეგობრობა, რომელიც ბ. ჭავჭავაძის სიტყვებით, თურმე სუფევდა და სუფევს კიდევ თავად-აზნაურობასა და გლეხთა შორის.

რითი დაგვიმტკიცა ეს აზრი? აი რითი: «ათასი მაგა-

ლითია,—ამბობს ავტორი—ერთმანერთთან ნადიმობისა, შექცევისა, ლხინისა, ტირილისა და ყოველ-გვარ ერთობისა.» (იქვე, გვ. 113). ათასის მაგალითისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ შესაძლებელი კია, რომ გლეხს ზოგიერთ თავად-აზნაურთან მართლა ადამიანური, მეგობრული კავშირი ჰქონოდეს. ძალიან სამწუხარო იქნებოდა, რომ ამ ნაირი მაგალითი შეუძლებელი ყოფილიყო. ავტორის ზემოდ-ამოწერილი სიტყვები კი სულ ვერაფერს ამტკიცებენ. რომელს ქვეყანაში არ დარჩენილა იმ გვარი პატრიარქიული ჩვეულებანი? პოლშაში მიღებული იყო, რომ, მაგალითად, შობა დღეს პანი და მისი ყმები ერთად დამსხდარიყვნენ სუფრაზე და ერთად ელხინათ, მაგრამ იმას კი ვერავინ დაამტკიცებს, რომ იქ ბატონისა და ყმის ურთი-ერთობა მეგობრული, ძმური იყო. აი სწორედ ამ ხასიათისაა თავადების გლეხებთან ნადიმობა, ლხინი. ათასის საბუთის დასახელება შეიძლება ბ. ჭავჭავაძის სიტყვების გასამტყუნებლად; ჩვენ მარტო ერთს და მტკიცეს დავასახელებთ. თუ ეგ «ყოველ-გვარი ერთობა» მართალი ყოფილიყო, მაშინ ხშირად მოხდებოდა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის დანათესავება; ან თავადისაგან თუ აზნაურისაგან გლეხის ქალის შერთვა, ან თავადის თუ აზნაურის ქალის გლეხისათვის მითხოვება. მაგრამ ამისთანა მაგალითი ძალიან მცირედ მომხდარა ჩვენში. ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არა გვყავს ის პირნი, რომელთათვისაც აზნაურობა მარტო სახელია და არა სახრავი და რომელნიც თავის ქონებით, შეძლებით მუშათანა გლეხს არაფრით არა სჯობიან.

ვსთქვათ კიდევ, რომ ავტორის ზემოდ ამოწერილი სიტყვები მართალია; რომ ჩვენში ხშირად ვხედავთ თავადთა და გლეხთა ერთად ნადიმობას, ლხინს, და სხ., მაგრამ ამით რა

უნდა დაამტკიცოს ბ. ჭავჭავაძემ. ნუ თუ ის, რომ ხსენებულ წოდებათა შორის საშუღლო, სამტრო არა არის-რა. ამ გზას რომ მივყვეთ, მაშინ ხომ ვერც ერთს სახელმწიფოში წოდებათა შორის სადავიდარაბო, საბაასო არა გამოჩნდება-რა. მეთექვსმეტე საუკუნეში ხალხის ამბოხებამ ცეცხლი წაუკიდა ნახევარ გერმანიას. მთელ შვაბიაში, ფრანკონიაში, რეინის პროვინციებში, ტიროლში იწვოდა ფეოდალების კოშკები, ციხე-დარბაზნი, ქონება; მაგრამ აქაც მოიპოვებოდა ორიოდე ბატონები, რომლის მამულებს ხალხმა ხელიც არ ახლო,—იმათ არა დაუშავებიათ-რა ჩვენთვისაო,—იძახდა აჯანყებული ხალხი. თვით ყოვლად შეუნდობელ პუგაჩოვის ამბოხების დროსაც კი იპოვება ამ გვარი მაგალითები; და ვინ იქნება ისეთი ლოღიკის მტერი, რომ დამყარდეს ამ მაგალითებზე და ამტკიცებდეს, ვითომ არც გერმანიაში და არც რუსეთში არავითარი საშუღლო წოდებათა შორის არა ყოფილაო. განცალკევებულ მაგალითების დასახელება შეუცდომელი საბუთი როდია!

განა ჩვენგან ნათქვამი ჭეშმარიტება თვითონ ბ. ჭავჭავაძემ არ იცის, განა თავის დედა-აზრის მცდომილებას თითონვე არ არის მტკიცედ დარწმუნებული? სწორედ რომ არის და სხვაზე ნაკლებადაც არა! თორემ როგორ, რა რიგად და რა მიზეზით შესთხზავდა თავის «ყაჩაღს», რა გრძნობა დააწერინებდა «გლახის ნაამბობს»? იქნება მკითხველმა გვიპასუხოს, რომ ამის დაწერის აქედ დიდი ხანი გავიდაო და შესაძლებელია, რომ პოეტს წარსულ ცხოვრების შესწავლით აზრი და გრძნობა გამოსცვლოდეს. მაგრამ აჰა, ბატონო, მისივე ნაწარმოები, დაბეჭდილი ამ 1881 წელსა:

ჯაგერ უფალი და მისი მონა
თრთოლვით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
უფალი ჰინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთი-ორად ხდის.

. . . . . . . . . . .

მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება....
დგას, ევედრება მის თვალი შვებას
და გულში ჰფიქრობს: ვაჰ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვაჰ, ჩემი ოფლი მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი იმა ოფლით გაზდილი,
დღე და ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.»

«შენში კაცისას გრძნობას არ ჰხედვენ,
დედის ძუძუდგან შვილსა აგგლეჯენ,
ვინ იცის სიდამ სად გაჰყიდიან.»

«თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითომ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად.....» და სხვა ამ გვარი.

ხომ ჰხედავს მკითხველი, რომ ჩვენ მთელ სტატიაში ვერ გავბედეთ იმის მეათედის თქმაც, რასაც პოეტი ამ ერთს ფურცელზედ, პოემის ამ პატარა ნაწყვეტში ამბობს: გოდება, ჩივილი, წყევლა უფლისა, ესე იგი თავად-აზნაურობისა,—აი შინაარსი ამ ნაწყვეტისა. ერთის მხრით ესა და მეორეს მხრით «თავად-აზნაურობას მარტო ერთი უპირატესობა ჰქონდათ: იმათ წერილებში ბრწყინვალებად იხსენიებენ და გლეხს კი არაო.» აბა მკითხველო, თუ ეს საკვირველი არ არის, მაშ რაღაა საკვირველი? საკვირველი კიდევ ის არის,—ამ ლექსით როგორ უახლოვდება, უმეგობრდება პოეტი ჭავჭავაძე იმ პირთა, რომელთაც კრიტიკოსი ჭავჭავაძე წინ-დაუხედავად, დაუნდობლად, უშვერის სიტყვით ლანძღავს და ამბობს: «მაგრამ რა? ტვინ-თხელობა, რომელიც საკუთარს ტვინს-მოკლებული, სხვისთვის ცხოვრობს...» და სხვა.

ამითი ვათავებთ ამ წოდებათა ერთი-ერთობაზე ლაპარაკს და სტატიასაც. ჩვენდა უნებურად ეს ბაასი ძალიან გაგრძელდა. ჩვენის აზრით, ეს საგანი ღირდა კიდეც სალაპარაკოდ. საკვირველი სანახავია ეხლა ჩვენი ინტელიგენცია და მეტადრე ლიტერატურა: ყოველ დღე გესმის ოხვრა, წუხილი, გლოვა ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე, დაკარგულ ბედნიერებაზე, გმირობაზე. ამ მახილში ჩვენგან გარჩეულ წერილების ავტორს არ უჭირავს უკანასკნელი ადგილი. ეს წერილები არის თითქმის ერთად-ერთი შრომა, რომლიდგანაც კაცს შეუძლიან სათვალსაჩინოდ(?) გაიგოს, რა არის ამ დასის პირთა ფიქრით, აწინდელი შეცდომილება და რა არის საჭირო მის გასწორებისათვის. მარტო ბ. ჭავჭავაძე რომ ყოფილიყო გარჩეულ წერილების აზრის გამომთქმელი, მაშინ ჩვენ უჩვენებდით მკითხველს მხოლოდ იმ დაუჯერებელ წინააღმდეგობას, რომელიც სუფევს

ხსენებულ წერილებსა და ამავე ავტორის პოეტურ ნაწარმოებ-თა შორის. მაგრამ რადგან იმავე აღსარებისა არიან არა ერთი და ორი განათლებული ქართველი, არამედ ბევრნი, რომელთაც სიზმარშიაც კი ჩვენი წარსული ებლანდებათ, ამის გამო ჩვენ ჩვენისმ ხრით, ჩვენის ღონისძიების შესაფერად, ვეცადეთ აგვეხსნა მათი შეცდომილება და ცრუ-რწმუნება.

ნ. ხუდადოვი.

* * *

მე იქ შევზრდილვარ, იმ ტუროვა მხარეს,
სად ჩქეფრს რიონი ამპარტავანი;
რასაც ის დამღერს ნაპირს მძინარეს,
იმას მოვძახო, მსურს მე დღეს ბანი.

—

მიყვარდა ხოლმე მის ჩქარ ზვირთების
ზაფხულის ღამეს ალერსი ტკბილი,
მაგრამ ალერსი შვილისა მთების
იყო მდუღარი მოთქმა-ტირილი.

—

იგი დასტირის ობოლს ერობას,—
ვაჲ-ვაცთ ზნეაო ესლა გამქრალი,
და გვევედრება მაღალსა ძმობას,
თუ გვწადს, რომ გვქონდეს ჩვენ მომავალი.

—

ძმად მიმაჩნიხართ, ძმებო, თქვენ მისთვის,
რომ სისხლს გვიდუღებს ერთი წადილი,
ერთი გვწადს მრწამსი ქართველისათვის
. . . . . . . . . . . , !

—

ძმები ვართ, მაშ რა, თუ გვიძგერს გული,
ზენა—გრძნობისთვის ღია, გაშლილი,

თუ ლხინშიც გვახსოვს ბედი წარსული
და გვესმის ცხარე აწმყოს ტკივილი,

---

თუ ვგრძნობთ, რომ ჩვენთვის წუთი-სოფელი
ტახტი როდია ვარდ მოფენილი:
თუმც ვიცით ლხინი, ანდერძი ძველი—
განცხრომა გვმულდეს, იყოს დევნილი!

---

. . . . . . . . . . .

უ. წიფარიძე.

# ანდერს რუსტად.

## მოთხრობა

## ჯიამარ ჯიორთ ბოიეზენისა.

(თარგმანი).

## I

ზღვის ნაპირზედ დიდი მოძრაობა იყო. რვა დიდი ნავი, ზანდუკებითა და ყუთებით მძიმედ დატვირთული, ირყეოდა ზღვაში ამოშენებულ მიწის ზღუდის ბოლოზედ. მენავეები თავ-თავიანთ ადგილებზედ ისხდენ და მაღლა ნიჩაბ-აშვერილები ელოდენ უკან-ჩამორჩომილ ემიგრანტებს. ზღვის ყურეში უშტვენდა და ხვნეშოდა ორთქლის გემი და წმინდა ლაჟვარდს ჰაერში ჰფენდა შავს კვამლსა. შორით მოჩანდენ მთები, ძირში დიდრონნი და ჩაბნელებულნი და ზემოდ კი სხვადა-სხვა ფერად აყვავებულნი. სულ მაღლა, მათი გრანიტის წვერები თითქო გაურჩევლად ერეოდენ სხივ-მოფენილ მომწვანო მსუბუქს ჰაერს. წყლის ნაკადულები მოსჩქრიალებდენ მათს ფერდობზედ და სტოვებდენ თეთრს, ქაფ-მოდებულს კვალს მოშავო კლდეზედ; მაგრამ ამ ნაკადულებამდის ისე შორს იყო, რომ მათი ჩქრიალი თითქო იკარგებოდა სრულს სიჩუმეში, რომელსაც მოეცვა ცაცა და დედა-მიწაც.

ზღვის ყური ყოველის მხრით შემოზღუდული იყო მაღალის უზარ-მაზარ მთის წვერებით და ლაჟვარდი ცა მოსჩანდა მის სარკესავით ბრიალა ზედა-პირში: ზღვა მხოლოდ ოდნავ გაიღელვებდა ხოლმე, როდესაც რომელიმე ფრინველი შეეხებოდა თავისის ფრთებით წყალსა და მისი ნელი ზვირთი შეეხლებოდა ზღვის პირზედ თეთრს ქვიშას.

ბოლოს ყველა ნავები აივსო ემიგრანტებით. მხოლოდ ერთი ემიგრანტი-ღა იდგა წყლისკენ ჩასასვლელს კიბეზედ და ცრემლით სავსე თვალებს არ აშორებდა ერთს ახალ-გაზრდა ქალს, რომელიც ორსავე ხელებზედ მოსჭიდებოდა მას. ეს იყო მაღალი, ტანადი, ქერა გლეხ-კაცი გაშლილის, მზისაგან დამწვარის სახით და ღრმად ჩამაცქერალის ცის-ფერის თვალებით. უბრალო სახეზედ ეტყობოდა მას გამბედაობა და იქნება სიმტკიცეც, მაგრამ ამ მოუხეშავს კანის ქვეშ გამოსჩანდა ნაზი, კეთილი გამომეტყველობა და თითქო ალამაზებდა, ალაზათიანებდა ბუნების ჩქარსა და ტლანქს ნამუშავარს.

ყმაწვილი-ქალიც მაღალის ტანისა იყო, კარგად მოყვანილი და ქერა. სახე ჰქონდა პირ-რგვალი, ალაგ-ალაგ ლამაზად ჩაღრმავებული და ეტყობოდა ის ხელ-უხლებელი სიმშვენიერე, რომელიც ხშირია ნორვეგიის სოფლელ ქალებ შორის. ზურგზედ პატარა ბავშვი ეკიდა და ამ ბავშვისკენ მიიღებდა ხოლმე ყოველთვის თავსა, როდესაც იგი თავის პაწია ხელებს მოახვედრებდა ლოყაზედ, ან ყურებზედ.

— შენ უეჭველად მოსვალ მერმის ჩემს წასაყვანად; განა, ანდერს?— ეუბნებოდა ცრემლ-მორეული ყმაწვილი-ქალი — ოჰ, რა ძნელი იქნება ჩემთვის აქ მარტოკა ყოფნა, როდესაც შენ უჩემოდ ივლი ქვეყანაზედ. შენ არასდროს შენს თავს არ უფ-

თხილდები. აბა ვინ დაგიკერებს ტანისამოსს? როგორ უნდა იცხოვრო უჩემოდ, ჩემო კარგო!

— ჩემთვისაც ბარემ ძნელი იქნება, ჭუნხილდა,— უპასუხა ანდერსმა მწუხარედ — მაგრამ აბა უცხო ქვეყანაში უბინაოდ რას გავაწყობ, შენ რომ ბავშვით თან წაგიყვანო? ყველანი ამბობენ, რომ პირველი წელიწადი ამერიკაში ძნელი გასაძლისიაო და მე მინდა, რომ შენ და ჩვენი ბავშვი მზასა და თბილს სადგურში შეგიყვანოთ. მინამდის კი ტორკელი დამპირდა, რომ ყურს გიგდებს და მეც რომ არ მოვიდე წასაყვანად, ისე როგორ იქნება კეთილს ხალხს არ შეხვდე და არ გიპატრონონ მოგზაურობის დროს.

— ამას გეხვეწები, ანდერს,— არავის უთხრა, რომ თან ათასხუთასი დოლარი მიგაქვს, თორემ მოგკლევენ, მე ჩემს დღეში ქმარს ველარა ვნახავ და ამ ბავშვსაც მამა აღარ ეყოლება. იცი კიდევ რა: არ დაგავიწყდეს, ზანდუკში სულ პირზედ ჩავაწყე სუფთა საცვალი და მარჯვნივ კუნჭულში საკვირაო ტანისამოსი; ლოცვების წიგნისა და წმინდა პერანგების ქვეშ მოვაქციე.

— კარგი, არაფერს დავივიწყებ. მშვიდობით! ღმერთი იყოს შენი მფარველი. მოიყვა, მაგ ბავშვს ვაკოცო; კარგად გაუფრთხილდი და ასწავლე, «მამა» დამიძახოს ხოლმე.

ქერა ემიგრანტმა დაღუნა თავი და თავისი ტლანქი სახე დაადო ბავშვის ქორფა ლოყას. ბავშვი ხელებს აფათურებდა და თითქო ღრუტუნებდა დედის ზურგზედ.

— აი შე ეშმაკო, შენა!— სთქვა ღიმილით მამამ — ჯერ მაგას არ ესმის, რომ მამა დიდის ხნით მიდის. აბა, მოიტა ხელი და მაკოცე. გესმის, გაუფრთხილდი დედა-შენს, სანამ მოვიდოდე.

საჩქაროდ მიბრუნდა ანდერსი და ჩაიჭრა კიბეზედ. უკა-ნასკნელს საფეხურზედ შეჩერდა და ისევ ნაპირზედ ამოვიდა. სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა ეს ახალ-გაზდა ცოლ-ქმა-რი, რომელნიც მაგრად ჩაჰკონებოდენ ერთმანერთს ლაჟვარდ, სხივ-მოფენილ ცის ქვეშ და პრიალა ზღვის-ყურის წინ, რო-მელიც მათს ფეხ-ქვეშ მშვიდობიანად გარდაშლილიყო.

ორთქლის გემმა სამჯერ დაუსტვინა, მენავეები ყაყანს მოჰყვნენ და თვით ზღვის ფრინველებიც, რომელნიც ამ ყმაწ-ვილ ცოლ-ქმარს თავზედ დაჰფრენოდენ, გაჰფრინდენ შორს და აავსეს ჰაერი თავიანთ უსიამოვნო ხმით. ანდერსი ჩაიჭრა კი-ბეზედ და ჩასხდა უკანასკნელს ნავში.

## II

ანდერს გუდმუნდსონ რუსტად იყო უმცროსი შვილი შეძ-ლებულის გლეხ-კაცისა სოფელს ჰარდანგერიდამ, ნორვეგიის დასავლეთის ნაპირზედ. იმის მამას იმ თემში მდიდარის კაცის ხმა ჰქონდა და სიკვდილის შემდეგ დაუტოვა თავის სამს ვაჟი-შვილს დიდი ფერმა. ანდერძით ეს ფერმა სამს სწორე ნაწი-ლად უნდა გაეყოთ და ისეცა ჰქნეს. რამდენიმე წელიწადი ეცადნენ ძმები, — რიგიანად ეცხოვრათ იმ შემოსავლით, რაც წილად ნარგებ მამულიდამ შეხვდებოდათ. მაგრამ ეს ბრძოლა ცხოვრებისათვის მეტად სამძიმო იყო და ბოლოს მწარე გა-მოცდილებით მიხვდენ, რომ უფულობის გამო ვერას ააშე-ნებდენ, ვერ გააკეთებდენ მიწას და მუდამ უნდა სიღარიბისა და სიგლახაკის მოლოდინში ყოფილიყვნენ. ამას გარდა აღარ შეეძლოთ ის ხმა ჰქონოდათ სათემო საქმეში, რაც უწინ იმათს

ოჯახსა ჰქონდა,—და ქალიც ფრიად საგრძნობელი იყო მათთვის. ამიტომ ძმებმა შეადგინეს რჩევა იმის გადასაწყვეტად—რა გზით უნდა დაეცულიყო ძლიერება და სახელი მათის ძველადვე პატივ-ცემულის გვარისა. სამივე იყვნენ დიდ პატიოსანნი, პირში მთქმელნი, ვაჟკაცის პატივის-მცემელნი და არც ერთი მათგანი არ შეარცხვენდა თავის სახელს, და თავის გავლენას საზოგადო საქმეს ცუდად არ მოახმარებდა. ამას გარდა ისინი იყვნენ ნაქებნი თავიანთ წმინდა ზნეობით, ხასიათით, გონიერებით და კიდევ იმითი, რომ მტკიცედ მისდევდენ ერთხელვე განზრახულს აზრს.

ყოველი მათგანი გამოცხადდა საოჯახო რჩევაში წინადვე მოფიქრებულის პლანით ამ მძიმე საქმის შესასრულებლად და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თავის პლანის სიკეთის დამტკიცებას. მხოლოდ დიდის ხნის ცხარე ლაპარაკის შემდეგ მიიღეს ანდერსის პლანი და უფროსმა ძმამ—ტორკელმა, როგორც ოჯახის გონიერმა წარმომადგენელმა, გადასწყვიტა, ჩვენის ძველებურ გვარის სასიკეთოდ დაეთანხმდეთ ჩვენის უმცროსის ძმის თავ-განწირულებაზედაო. ანდერსის აზრით რიგი და სამართალი ასე იყო, რომ უმცროსი ძმა—რომელიც უშლიდა ოჯახს, თავისი ალაგი დაეჭირა სათემო საქმეებში—სხვა ქვეყანაში წასულიყო და იქ თავის შრომით გამოეჩინა თავი ახალს მოქმედების ასპარეზზე. მუდამ მამულის გაყოფით მემკვიდრეთა შორის თვით უძლიერესი გვარი ბოლოს უმიწა-წყლო და უბინადრო დღიურ მუშების გროვად გადაიქცევოდა და უზრუნველობის გამო დაჰკარგავდა გონიერ და მუშაკ წინაპართაგან მოპოვებულს მნიშვნელობას საზოგადოებაში. ანდერსს არ უნდოდა რომ თავის უფროსს ძმას გზაზედ გადაღობებოდა და დასთანხმდა მიელო ათასი დოლარი

თავის სვედრის მამულში და ცოლით ამერიკაში გადასახლებული-ყო. ცოლსაც ხუთასი დოლარი ჰქონდა თავის მზითვისა. ეს გადასახლების აზრი უცებ როდი მოსვლია თავში ანდერსს ცხა-რე ბაასის დროს; ის მთელი ორი წელიწადი სწავლობდა ინ-გლისურს ენას და გამოთქმას ეჩვეოდა ერთს ინგლისელ ლორდთან, რომელსაც დაჰყავდა იგი წინამძღოლად იმ მხარე-ში ზაფხულობით მოგზაურობის დროს.

მეორე ძმა—ბიორმაც არ მოინდომა თავის უმცროსს ძმას უკან ჩამორჩომოდა სულ-დიდობაში. იმანაც აიღო ათასი დოლარი და სე-ტყის ზიდვას შეუდგა ნორვეგიის ერთს ზღვის პირას მდებარე ქალაქში. პირობა იყო დადებული, რომ ანდერ-სის ცოლი და პატარა ბიჭი უნდა დარჩენილიყვნენ მამა-პაპე-ულს სახლში, ვიდრე ანდერსი მოეწყობოდა თავის ახალს სამ-შობლოში, ოკეანეს იქით.

186* წელს, აპრილის გასულს, მივიდა ანდერსი ნიუ-იორკში და გავიდა ნაპირზედ ცისის ბალთან. ათას ხუთასი დოლარი ტყავში ჰქონდა მაგრად გამოკერილი და პერანგის ქვეშ ატარებდა; მაინც გემის კომისარი მიხვდა, რომ ამ კაცს-თან კაი ფული უნდა ჰქონოდა, ცალკე გაიხმო და გააფრთხი-ლა, ძალიან საშიშია, თუ ემიგრანტმა თავისი ფული თავისთან შეინახაო. ურჩია, რომელსამე სანდო ბანკში მიაბარე და იქი-დამ წვრილ-წვრილად გამოიტანე, როდესაც დაგჭირდებაო; და-ნარჩენს ფულში კი სარგებელს მოგცემენო. ანდერსს არავისთან არა ჰქონდა ნათქვამი თავის ქონებაზედ და ძალიან შეაფიქრიანო-და, კომისარი როგორ მიხვდაო და მაშინვე გადასწყვიტა მიჰყოლოდა მის რჩევას. თუმცა კი ვერ გაბედა დაწვრილებით გამოეკითხა, როგორ უნდა მოქცეულიყო. უცხო ქვეყნელების დიდი ნდობა არა ჰქონდა და ყველა ნორვეგიელებსავით ეგო-

ნა, რომ ამერიკელები სულ იმაზედ ჰფიქრობენ, როგორ მოატყუონ უცხო და უბრალო ხალხი. თავისი ბარგი ორთქლის გემის აგენტს მიაბარა და თითონ არხეინად გასწია ქალაქის გასასინჯავად და ბინის საშოვნელად. გამოვიდა თუ არა ციხის ბაღის გარებიდამ, ათი, თორმეტი კაცი დაესხა თავსა: ზოგი რაღაც უცნაურ სასტუმროში იწვევდა, ზოგი ისე მიეგება, თითქო ძველი მეგობარი ყოფილიყო და ცდილობდა, სამსახური გაეწია რამე. ანდერსი შინ ყველას ჰკვიან და პატივ-საცემ კაცად მიაჩნდა და ძალიან ითაკილა, რომ ამ არამზადებმა თავის აგ კაცობის მსხვერპლად დაიგულეს იგი. იმათთვის იმისი ძველი, პატივ-ცემული გვარი რაღაც ბარბაროსული, გაუგებარი სიტყვა იყო და რად გამოადგებოდა იმას თავის სახელით ქვეხნა, ვინ რად ჩააგდებდა! ამას გარდა, ეშინოდა წაჰკიდებოდა ვისმე და ამით დაერღვია ამ ახალის ქვეყნის კანონები. ძლივს-ძლივობით დააღწია თავი ამ აბეზარ ამერიკელებს და ისევ უცნაურ ქალაქის გასასინჯავად გაემართა.

ყოველს ნაბიჯზედ იმის გარშემო უფრო მეტი სმაურობა ისმოდა: იმის ყურები შეჩვეული იყვნენ მხოლოდ ზღვის ზვირთების ხმას და არწივის ყიყინს მაღალს მთის წვერზედ და ამ ადამიანებისა და ცხენების დაუდგრომელმა ფეხის ხმამ, ეკიპაჟების ხმაურობამ ქვით-დაგებულს ქუჩებზედ და კიჟინამ სხვა-და-სხვა იმისათვის უცნობს ენაზედ ისე გამოაშტერა, რომ ხშირად უნდა შეჩერებულიყო და აზრები შემოეკრიბა. გონება ერეოდა და პირველად იგრძნო რომ აღარა ჰქონდა თავის-თავის ნდობა, როგორც გონიერის ადამიანისა. თავისი ნორვეგიული ტანისამოსი, რომელსაც იგი ბავშვობიდამვე ატარებდა და ყოველთვის რიგიანი ეგონა, ეხლა ეჩვენა უცნაურად. გამვლელ-გამომვლელნი, კაცნი თუ ქალნი, რაღაც ნაირად თით-

ქო ცნობის მოყვარეობით, თითქო ზიზღით უყურებდენ მას და ეს უფრო უღვიძებდა სურვილს, სადმე მიყრუებულს ალაგს დამალულიყო, სადაც ვერავის შეეძლო იმისი პოვნა. ეშინოდა, ვაი თუ ეს უცნაური ხალხი თავის უსიამოვნო და თითქო გამჭვრეტ თვალებით მიხვდა გემის კომისარსავით რომ თან ბევრი ფული მაქვს და მხოლოდ შემთხვევას ეძებს ჩემს გასაცარცვავადაო. ოქროს ფულებმა მეტად დაამძიმა; მუხლი ეკვეთებოდა, საფეთქლები საშინლად უცემდა და ყოველს ნაბიჯზედ ეშინოდა, არ დაცემულიყო და ამ უცხო ხალხის გროვას არ გაეჭყლიტა. სრულიად ღონე-წართმეულმა შემთხვევით დაინახა დიდს ქვით-კირის შენობაზედ ოქროს ასოებით წარწერილი: „შემნახავი ბანკი და ემიგრანტთა შემწე საზოგადოება." პირველად მარტო სიტყვა „ემიგრანტთა" გაარჩია და მასუკან სხვა სიტყვებიც გამოიცნო ლექსიკონის შემწეობით, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა. იმას სწორედ ამისთანა დაწესებულების ნახვა უნდოდა, რომლის მარტო ერთმა სახელმა სრული ნდობა აღუძრა. ცხადი იყო, თითონ განგებამ მიიყვანა იგი „შემნახავ ბანკის და ემიგრანტთა შემწე საზოგადოების" კარად.

შემკრთალი და გზა-დაბნეული ნორვეგიელი წელში გაიმართა, მოიხადა ქუდი და მოისვა ხელი თავის ქერა თმაზედ. სრულიად დარწმუნებული იყო რომ ღმერთმა იმის სამშობლო ნორვეგიისამ გამოუწვდინა ხელი საშველად ამ უცხო, გადარეულ ქვეყანაში, მოჰყვა რაღაც ლოცვის ღიღინს, საჩქაროდ გადაიარა ქუჩა და მიმართა დიდს გრანიტის შენობას. მინამ შიგ შევიდოდა, გარედამ დაათვალიერა და მოეწონა თითონ შენობა, რომელშიაც „შემნახავი ბანკი და ემიგრანტთა შემწე საზოგადოება" იმყოფებოდა, იყო მტკიცე, მა-

გარს სამირკველზედ აშენებული; მას არ ეტყობოდა უბრალო მორთულ-მოკაზმულობა, თვალისთვის გამზადებული; დარბაისლურად გადმომხედი დიდრონი ქვის შენობა არ გაძლევდათ ნებას ეჭვი შემოგეტანათ, რომ ამ სახლის აშენებელნი საანდო პირნი იქნებოდენ. მაგრამ ფულის შემტანში ყოველის უნდობლობის მოსასპობლად მშვენიერის დერეფნის ერთის გრანიტის სვეტზედ ოქროს ასოებით იყო დაწერილი: „კეთილ-შობილი რანდოლფ-მელვილი უფროსი, თავს-მჯდომარე.“ რადაც მომხიბლავი მოქმედება ჰქონდა ამ სახელს. რანდოლფ-მელვილი სწორედ „კეთილ-შობილი“ კაცი იქნებოდა,—ამაში მცირედის ეჭვის შემოტანაც ვერ გაბედა გულ-მართალმა ნორვეგიელმა. არ იცოდა, რა ადვილი იყო ამ «ხარისხის» მოპოვება და რამდენს მოგვრიდა სიცილს «კეთილ-შობილის» ხსენება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ანდერსს ეს კიდევ უფრო შესანიშნავად ეგონა, რომ რანდოლფი მთელის გვარის უფროსი იყო და წარმოდგენილი ჰქონდა—ბანკის პატივ-ცემული თავმჯდომარე ჭაღარა-თმიანი ბერიკაცი უნდა იყოს, ბურჯი და სასოება მთელის თავის გვარისა. თვალ-წინ დაიხატა ეს სასიამოვნო სურათი, მარჯვედ შევიდა კანტორაში და თავისი ქუდი მარმარილოს ფიცარზედ დასდო. მრავალ-ფანჯრებიან იაქათღოას იქით ისხდენ ათიოდ კანტორაში მოსამსახურე პირნი და საქმობდენ; გაცხარებულნი სწერდენ და თითქო ვერ ამჩნევდენ ნორვეგიელს, რომელიც მოწიწებით ხან ერთს ფანჯარასთან მიდიოდა, ხან მეორესთან რომ როგორმე მათი ყურადღება მიექცია. ბოლოს ერთმა მათგანმა, მცირე ტანისამ, ლამაზად ჩაცმულმა და შავის კოხტა ულვაშების მქონემ, ოდნავ დაღუნა თავი ფანჯრისკენ, რომელზედაც დაწერილი იყო:

«შემოსავლის კასა», სალამიც არ მიუგო ანდერსს და უზდელად ჰკითხა, რა ესაქმიანებოდა.

— მე ათას-ხუთასი დოლარი მაქვს, — წარმოსთქვა ანდერსმა დამტვრეულ ინგლისურის ენით — და მინდა ბანკში მოგაბაროთ რამდენიმე თვით, ვიდრე არ დამჭირდება.

პირველი, პასუხის მაგივრად ისევ თავის ბანკის წიგნებს ჩააცქერდა, თითქო ვერც კი რამ გაიგონა.

— მე ათას-ხუთას დოლარი მაქვს; — დაიწყო კვალად ანდერსმა, მაგრამ კანტორაში მოსამსახურე ისევ სწერდა; მხოლოდ ხანდისხან შეჩერდებოდა ხოლმე და შუბლზედ ოფლს იწმენდდა.

უეცრად მეორე ოთახის კარი გაიღო და კანტორაში შემოვიდა ერთი მაღალის ტანის დარბაისელი კაცი, ჭაღარა თმიანი, ლამაზის სახისა და სუფთად პირ-მოპარსული.

— რა უნდა? — ჰკითხა იმან მკაცრის ხმით კანტორაში მოსამსახურეს და გამოიშვირა ხელი ანდერსისაკენ.

— ფულები უნდა შემოიტანოს შესანახავად.

— რა გქვიანთ თქვენ, ბატონო? — ჰკითხა დარბაისელმა კაცმა ანდერსს ალერსიანად.

— ანდერს გუდმუნდსონ რუსტად. — უპასუხა მხიარულად ნორვეგიელმა.

ანდერსი დარწმუნებული იყო, რომ იმის წინ იდგა კეთილ-შობილი რანდოლფ-მელვილი, უფროსი, და ესიამოვნა რომ იგი ნამდვილად წააგავდა იმისაგან წინ-და-წინვე წარმოდგენილს სურათს.

— რამდენის შემოტანა გსურთ? — ჰკითხა მელვილმა და აიღო ერთი პატარა წიგნთაგანი, რომელიც ბლომად ეყარა სტოლზედ.

— ათას-ხუთასი დოლარი, ბატონო. ეგ არის რაც მე და ჩემს ცოლს სულს აქედ გვაბადია.

— კარგი, კარგი, მესმის,— სთქვა ბანკირმა მოუთმენლად— მოიტანეთ ფული.

ანდერსმა გაიხსნა წითელი ფუფაიკა, მოიხსნა ტყავის მძიმე პარკი, დანით გაარღვია და დასთვალა ბრწყინვალე ოქროები. კეთილ-შობილმა რანდოლფ-მელვილმა ზარმაცად ჩახვეტა უჯრაში და შემტანს პატარა წიგნი მისცა.

— ჩვენ ხუთს სარგებელს ვიძლევით,— უთხრა იმან— და როცა კი ისურვებთ, შეგიძლიანთ თქვენი ფული გაიტანოთ.

— მე თქვენ მხოლოდ ათას-ხუთასი დოლარი მოგეცით და თქვენ აქ ორი-ათას ასი ჩაგიწერიათ!— უთხრა ნორვეგიელმა განცვიფრებით, შემდეგ წიგნის გასინჯვისა.

— ას დოლარს ოქროზედ ას ორმოცს ვაძლევთ.

ეს რომ სთქვა, მელვილი ისევ ისე მედიდურად გაბრუნდა და შებძანდა თავის კაბინეთში. ანდერსს უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხა, როგორ ემჯობინებოდა ფულის გამოტანა და სხვაც კიდევ რამ, მაგრამ მეტი შეწუხება ვეღარ გაბედა იმ დიდებულის კაცისა და იმის ჩუმის ხელ-ქვეითებისა. ეხლა იმას უფრო აღარა გაეგებოდა-რა ამ ქვეყნისა.

## III

ანდერსი ვერ ენდო ვერც ერთის სასტუმროს გამოგზავნილს და ღამე დაბრუნდა ისევ ციხის ბაღში, დაწვა ერთის გალერეიის იატაკზედ: თავით ბალიშის მაგივრად ჯუბა დაიდო და ისე ეძინა დილამდის. იმის გარეშემო იწვნენ კაცნი და ქალ-

ნი სხვა-და-სხვა ტანისამოსებში ჩანდუკებზედ, ყუთებზედ და ერთ-ხმად ხვრინავდენ. ამ უსიამოვნო და ხამუშ-ხამუშმა ხმაურობამ დიდ ხანს არ დაამინა ანდერსი და ძნელმა ფიქრებმა მოიცვა იგი. თითქმის ნანობდა თავის სულ-დიდს გადაწყვეტილებას, რომ თავის ნებით დაანება თავი თავის გვარის ძველის-ძველ საცხოვრებელს ადგილს და გაბედვით გაემზადა უცხო და უცნობ ქვეყანაში ცხოვრებისათვის საბრძოლველად. მაგრამ თითონვე ჰფიქრობდა, რომ სწორედ სამართლიანად მოიქცა და არა სულ-დიდად. იმისი უფროსი ძმაც ეგრეთვე მოიქცეოდა, იმის ადგილს რომ ყოფილიყო. მერე მოაგონდა თავისი ლამაზი, ქერა-თმიანი ცოლი, რომელიც მზად იყო მძიმე უღელი გაეწია მისთვის ამ ქვეყანაში; თავისი პატარა შვილი, რომელიც—ვინ იცის—იქნება გაიზარდოს, გამდიდრდეს, გაძლიერდეს თავის ახალს სამშობლოში, სადაც ასპარეზი ფართოდ გადაშლილია ყოველის ჭკვიანისა და გამჭრიახის კაცისთვის. წარმოიდგინა, ვითომ ჯერ პატარა ქოხი აშენა შორს სადმე, დასავლეთში, მერე დიდი, ლამაზი სახლი, რომელშიაც იმისი ცოლი შევიდოდა ბედნიერის და მადლიერის ღიმილით სახეზედ. თვალებ-დახუჭულს სხვა-და-სხვა მშვენიერი სურათი ელანდებოდა და პატარა ხანს უკან ბურანში ყოფნა ღრმა ძილად გადექცა.

მეორე დღეს ანდერსმა გადასწყვიტა, ეყიდა რკინის გზის ბილეთი და მაშინვე დასავლეთისკენ წასულიყო. ის იყო იმ დილას, ღონიერი, მამაცი, იმედით სავსე. თითქმის რცხვენოდა რომ წინა-ღამით სასო-წარკვეთილებას მიეცა. ქუჩის ხმაურობა უფრო აქეზებდა და ისიც გრძნობდა, რომ ამ ხმაურობაში თითონაცა აქვს მონაწილეობა. ამ მარჯვე ხალხის მაჯა ძლიერად სცემდა და მძლავრმა ცხოვრებამ ისიც თავის უძ-

ლევველს მორევში ჩაითრია. დღესაც გუშინდელსავით შეამჩნა: იგი მაღალმა მოღუშულმა სახლებმა, რომელნიც სწორედ ფუტკრის სკებს მიაგავდენ, ისე შეუწყვეტლად ფუტკარსავით წამ-და-უწუმ გამოდიოდა იქიდგან ხალხი. მზე უხვად ანათებდა განიერს ქუჩას; დიდი საათი სამების ეკლესიაზედ მარდად უკრავდა წმინდა ჯვარში და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდა დილიჟანსებიდამ გაზეთით ხელში: ეტყობოდა რომ ყველანი თავის-თავზედ დაიმედებულნი იყვნენ. ამ ბრწყინვალე, შრომის-მოყვარე ქვეყანაში ღონიერი და მშრომელი ნორვეგიელი მალე იპოვიდა თავის ალაგს, ოღონდ ქვეყანას შესჩვევოდა, და შეჩვევა არ გაუჭირდებოდა და არც ბევრი წვალება დასჭირდებოდა. ძნელია კაცმა გულ-დაჯერებით სთქვას, რომ ანდერსი ამ დროს გადაწყვეტილს რასმე ჰფიქრობდა, მაგრამ გრძნობდა კი ამას, რომ თან-და-თან მოშინაურდა ამ უცხო ქვეყანაში და მალე შეეძლო ეზრუნა ცხოვრებისათვის და თავის მოცილეებს უკან არ ჩამოვარდნოდა.

ამ ფიქრებში იყო ანდერსი გართული, როდესაც მიუახლოვდა იმ ჩინებულს ბანკის შენობას, სადაც გუშინ თავისი ფულები შეიტანა. ბანკის დაკეტილ კარებთან იდგა დიდ-ძალი ხალხი, მეტადრე მუშები და უბრალოდ ჩაცმული დედა-კაცები; ოთხი პოლიციის მოხელე ამაოდ ცდილობდა, რომ ხალხს გზა არ შეეკრა და მგზავრებსაც გავლა შესძლებოდათ. ქუჩაში ექვსიოდ დიდი პოვოზკა, ბარგის ცხენებ-შებმული ერთმანერთს ედებოდა; მეპოვოზკეები იგინებოდენ, ილანძღებოდენ, მოლტებსა სცემდენ ცხენებს; აქედ-იქიდამაც ეკიპაჟები მოსწყდომოდა და იყო ერთი ალიაქოთი. ანდერსისათვის ეს უცხო და გასართობი სანახავი იყო: ის შევარდა პოვოზკებ შუა და მხრებით ერთი მათგანი განათავისუფლა. კუჩერმა მადლო-

ბა არც კი უთხრა, შეხტა ტომარაზედ, გაიქნია მოლტი და საჩქაროდ გასწია. იმას უკან სხვები გაჰყვნენ და ერთის წუთის შემდეგ ქუჩამ ისევ ჩვეულებრივი სახე მიიღო. ანდერსმა მხოლოდ ეხლა შენიშნა ხალხის გროვა და რაღაც მღელვარება; მივიდა პოლიციელთან და დამტვრეულ ინგლისურის ენით ჰკითხა, ხომ არაფერი მომხდარაო.

— ბანკმა თავი დაგიკრათ.— უპასუხა პოლიციელმა მოკლედ.

— როგორ თუ თავი დამიკრა?!— ჰკითხა ნორვეგიელმა და უცნაურმა შიშმა აავანკალა.

— გაფრინდა იქ, სადაც მერცხლები ბუდეს იკეთებენ.— წარმოსთქვა პოლიციელმა სიცილით.

ამ სიტყვებმა გზა და კვალი დაუკარგა ანდერსს, რომელსაც ინგლისური კარგად არ ესმოდა; დაჰკითხა თავის საყვარელს ლექსიკონს, მაგრამ ვერას გახდა, და გული არ აძლევდა ნებას ისე აეხსნა ეს ამბავი, როგორც ჭკუაზედ ახლო იყო. ანდერსმა თავი უეცრად მაღლა აიღო: იმის პირ-და-პირ ვიღაც ხნიერი დედა-კაცი მუშტებს უღერებდა ბანკის შენობას, რომლის ქვით-კირის კედლები თითქო დასცინოდენ მას. სხვებიც მოთმინებიდამ გამოდიოდენ, ადიოდენ კიბეზედ და მკლავებით, მუხლებით უტყაპუნებდენ მუხის დიდრონს კარებებს. ზოგი ეხსუბებოდა პოლიციელებს, რომელნიც უშლიდენ ამგვარად ძალის ხმარებას. ანდერსი ყოველის ამას ჩუმის განწირულებით უცქეროდა. ის გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი უბედურება მოხდა იმის თავს; ამ მეხსავით მოულოდნელმა ამბავმა თავი გამოულაყა: საფეთქლები საშინლად უცემდა, მთელი ტანი გაუცივდა. გარშემო მოესმოდა ყვირილი, გინება, წყევლა, მაგრამ სიზმარი ეგონა. მზე ისევ ისე ანათებდა,

მაგრამ ეს მზე ის მზე როდი იყო, რომელიც წელან გულს ისე უმხიარულებდა: ახლა მისი სხივი მძიმე ტვირთსავით დააწვა. ხალხით გაიტენა მთელი ქუჩა; ორი თუ სამი ქვა გაისროლეს ბანკის ფანჯრებისკენ; ვილაც ავიდა კიბეზედ, მიმართა ხალხს, რიღასიც თქმა დააპირა, მაგრამ ყური არავინ დაუგდო. უეცრად ამ ალიაქოთში ანდერსმა იგრძნო, რომ ხალხის გროვა სადღაც მიათრევდა მას და თავის შემაგრებას ვეღარ ახერხებდა. მოესმა მარბენალთა ფეხის-ხმა, ორჯერ თუ სამჯერ დამბაჩაც გაისროლეს და ხალხი უცებ დაიშალა აქა-იქა ქუჩებში.

როდესაც ანდერსი გონზედ მოვიდა, ის იჯდა ბაღში ქალაქის რჩევის შენობის პირ-და-პირ. რაღაც უცნაურმა დამშვიდებამ მოუარა და თვალ-წინ ცხადად წარმოუდგა, რა მოჰყვებოდა ამ უბედურებას, რომელიც იმას თავს დაატყდა. სადღა იყო ეხლა იმისი სახლი შორს დასავლეთში, იმის შვილის ბრწყინვალე მომავალი, ცოლის მხიარული განცვიფრება? პირველში ზარალის შეგნება და მწუხარება ერთად იყო არეული, მაგრამ ბოლოს პირველმა გრძნობამ სრულიად დაჰფარა დანარჩენნი. მოაგონდა ანდერსს, გუშინ ის ქურდი როგორ მედიდურად წარმოუდგა თვალ-წინ, თითონ კი როგორ მოწიწებით უკრავდა თავსა და ამ მოგონებამ გული თითქო ნაკუწნაკუწად დაუგლიჯა. წამოხტა და მრისხანედ ზეცას მუშტებით ემუქრებოდა. თუ იქ ცაში სამართლიანი ღმერთი იყო, როგორ მოითმინა ამისთანა ბოროტება; და თუ ის არ ისმენდა დაჩაგრულთა და ტანჯულთა ვედრებას, თითონ შეურაცხ-ყოფილის კაცის ვალი არ არის ხელთ იგდოს სამართალი და თავისითვე ეღირსოს გასამართლებას? კაცთა სამართალი ეფერებოდა ძლიერთ და სჩაგრავდა უძლურთ. როგორ შეეძლო

მას უფულოდ, უმეგობროდ, უნაცნობებოდ მიეცა სამართალში ის ქურდი, რომელმაც წარსტაცა მას ყოველი ბედნიერება, მომავალი, თვით ღვთის მორჩილებაც. იმას კარგად ახსოვდა, რომ პატივ-ცემული პასტორი იქ, ნორვეგიაში, ჰპირდებოდა ჯილდოს საიქიოში იმ ტანჯვისათვის, რომელსაც კაცი ამ ცხოვრებაში გამოივლიდა და ეს წესი საკმარისი ეგონა ანდერსს. ვერ წარმოედგინა, რატომ არ შეეძლო უბედურს კაცს მოეთმინა დრომდე და მერე ნეტარებაში მყოფს, აბრაამის წიაღიდამ სიხარულით ეყურა თავის მტრების ტანჯვისათვის ცეცხლის გეენაში. მაგრამ, როგორც ხშირად მოხდება ხოლმე დიდ უბედურების შემდეგ, იმან იგრძნო, რომ ეს იმედები საიქიოს ზღვევისა მეტად მკრთალი იყო. უეცრად გონების ასპარეზი გაუფართოვდა; იგრძნო, რომ ქვეყანა სულ სხვა, იმისთვის ჯერედ უცნობ კანონებს ემორჩილებოდა. ნახა და სცნა იგი, რაც ჯერ არ ენახა და არ ეცნა. მოუსვენარმა გრძნობამ უკმაყოფილებისამ მოიცვა მისი გული და მას მოსწყურდა სახელოვანი, ძლიერი მოქმედება. რაც სიავკაცე უყვეს, მთელს ქვეყანას გადააბრალა, გადააბრალა მის გარდუცდენელ ბოროტ-მოქმედებას და ღრღნა დაუწყო ძლიერმა სურვილმა, ეპოვნა ქვეყნის შემძრავი ღონე და სწორე გზაზედ დაეყენა ქვეყნიერება.

ვიდრე ეს აზრები უელავდა თავში, ანდერსი ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა ბაღში, ელაპარაკებოდა თავის-თავს და უსილავს მტრებს მუშტებით ემუქრებოდა. ამოდენა ქალაქის მოძრაობამ და ხმაურობამ თუმცა პირველში შეაფიქრიანა იგი, მაგრამ გულით ლაჩარი არ იყო და ეხლა გამოიღვიძა მასში მძინარე ძალამ ჩრდილოეთის ბუნებისამ. პირველში ყოველისფერი მკრთალად ეჩვენებოდა და ეხლა რაღაც უცნაურმა სიხარულმა აიტანა იგი, რადგან თვალები აეხილა და ყოველსავე

თავის სახითა ჰკლავდა. ითაკილა უწინდელი სისამე და ზიზღით ჰფიქრობდა, როგორ არა მრცხვენოდა რომ დღემდის კმაყოფილი ვიყავ ჩემის ბედისაო.

მზე კარგა მაღლა იყო; ბევრმა დრომ გაიარა და ანდერსი კი დადიოდა ქუჩებში, არა გრძნობდა დაღალულობას, გრძნობდა მხოლოდ რომ უნდა ევლო და ევლო. შუა-დღის უკან უცაბედად გაიარა ერთის უბრალო შენობის ახლო, რომლის კარებზედ შვეციისა და ნორვეგიის გერბი იყო. ამოიკითხა, რომ აქ ნორვეგიის კონსული იდგა; თითქო რაღაცამ მიიზიდაო, ისე შევიდა კანტორაში. თუ უნდოდა, რომ სამართალი ეპოვნა როგორმე, უნდა ყოველივე ღონისძიება ეხმარა.

კონსული იყო მაღალის ტანისა, კარგი წარმოსადეგი და სახეზედ ეტყობოდა, რომ გონიერი და კეთილის-გულის კაცი იყო. ის წამოდგა სკამიდამ და ანდერსი ისე ალერსიანად მიიღო თითქო დიდი-კაცი ყოფილიყო ვინმე. მაგრამ ანდერსის სახეში და ყოფა ქცევაში იყო ისეთი რაღაც, რომ კაცი უნებურად პატივის-ცემით უნდა მოქცეოდა.

— დაბძანდით,— უთხრა კონსულმა და მიიწვია ანდერსი იაქათილას იქით, რომელიც ჰყოფდა ერთმანერთთან კონსულის სამყოფს და მომსვლელებისათვის დანიშნულ ადგილს — მე სახეზედ გატყობთ, რომ რაღაც მძიმე საქმეზედ გნებავთ ლაპარაკი.

— დიაღ, ბატონო კონსულო, თუმცა კი არა მგონია დიდის შემწეობის მოცემა შეგეძლოთ.

ანდერსმა უბრალოდ, დაუმალავად უამბო ყოველისფერი, რაც თავს გარდახდა მოსვლის შემდეგ.

— ეგ არაფერი ამბავია!— წარმოსთქვა კონსულმა — მაგრამ დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რითაც კი შემიძლიან მე ჩემსას

ვეცდები. საუბედუროდ მაგისთანა საქმეები მთავრობათა შორის არა რიგდება და თქვენი მთავრობა ვერ გამოგესარჩლებათ.

— რას მირჩევთ, ბატონო კონსულო? — ჰკითხა ანდერსმა.

— მე გირჩევთ წერილი მისწეროთ კორპორაციას...

— ეგ რაღაა?

— კორპორაცია — მიუგო კონსულმა ღიმილით — არის რთული რამ ქმნილება; არც სხეული აქვს რომ გალახვა შეიძლებოდეს და არც სული, რომ დაიწყევლებოდეს.

— რაღა საჭიროა წერილის მიწერა.

— მაშ მე თქვენს ადგილს მივწერდი პირ-და-პირ კეთილშობილს რანდოლფ-მალვილს-უფროსს და ავუხსნიდი ჩემს სამწუხარო მდგომარეობას. ის კაცთ-მოყვარე ადამიანია და იქნება თქვენთვის განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს.

— სამწუხარო მდგომარეობა! კაცთ-მოყვარეობა! — წამოიძახა ზიზღით ანდერსმა — მე ხომ მოწყალებას არ ვითხოვ, მე ვითხოვ სამართალს. რანდოლფ-მელვილმა მომპარა ფული, თუმცა იცოდა რომ ის იყო სრული ჩემი ქონება და მეორე დღეს გაკოტრებას აპირებდა. თუ ამ ქვეყანაში სამართალია სადმე, ის უნდა სამაგალითოდ დაისაჯოს.

— თუ ეგ გინდათ, მაგაში ვერ დაგეხმარებით. — მიუგო კონსულმა — თქვენ არ უნდა დაივიწყოთ, რომ მელვილი ბანკი როდია; ის მხოლოდ ბანკის მმართველობის თავმჯდომარეა და მოქმედობს დირექტორების თანხმობით, რომელნიც იმასავით პასუხის-მგებელნი არიან. იქნება მთელის მმართველობის ციხეში ჩასმა გსურთ!

— რასაკვირველია, თუ ყველანი დამნაშავენი არიან, სამართალი მოითხოვს, რომ ყველანი დაისაჯონ.

— მე ვშიშობ, ვაი თუ სამართლიანობის სურვილმა დაგ-ღუპოთ თქვენ.

— მე მზადა ვარ ამ წმინდა სურვილს შევწირო თავი, თუ კი ჩემის თავ-შეწირვით ჩემს განზრახვას მივხვდები.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა კონსულმა — როგორი ცხარე და არა ქრისტიანობის შესაფერი გული გქონიათ. თქვენ რომ იმდენი გეცხოვრათ ამ ქვეყანაში, რამდენსაც მე ვცხოვრობ, ან გეცხოვრათ საზოგადოდ ქვეყანაზედ, გეცოდინებოდათ რომ ვინც აგრე კერპულად დაკობს თავის უფლებას — სწორედ დაიღუპება ამ სოფელშიაც და იმ სოფელშიაც. განა ყოველ-დღე ცოტ-ცოტას არ შევამოკლებთ ხოლმე ჩვენს უფლებას, როდესაც რომელიმე მიზეზით ძნელდება სამართლის მოპოება? განა ჩვენი პოლიტიკურ და განათლებულ საზოგადოების ცხოვრება კეთილისა და ბოროტის შუა მორიგებაზედ არ არის დამყარებული? ჭკუა-გონება ამას გვეუბნება და სარწმუნოებაც ამას გვირჩევს. ამ საქმეში ჩვენი ვალდებულება ცხადია; ამ ორიოდ კვირის შემდეგ გამოცხადებული იქნება, რომ დოლარზედ დოლარის მეათედი, ან მეექვსედი ერგებათ პატრონებსაო და თქვენც თქვენს წილს მიიღებთ. ჩაიწყეთ ის ფული ჯიბეში, წადით დასავლეთში და იქ ისე იცხოვრეთ და ისიამოვნეთ, როგორც გესურვებოდეთ.

ანდერსი ჩუმად უგდებდა ყურსა კონსულის ჭკვიანურს სიტყვებს. იმის თვალში ამ გვარი მორიგება კაცის დამამცირებელი იყო და ამიტომ ეზიზღებოდა. არა, იმას იმედი ჰქონდა რომ სამართალს ეღირსებოდა, თუნდ ამისათვის დასჭირებოდა სისხლის უკანასკნელ წვეთის დაქცევა.

— გთხოვთ ეგეც მიბძანოთ, ბატონო კონსულო: — უთხრა

იმან და ფიქრიანად შეჰხედა კეთილს სახეში—თქვენ იცნობთ მელვილსა?

— დიაღ, მე დიდი ხანია იმას ვიცნობ და კარგადაც ვიცნობ.

— სადა სდგას?

— მეხუთე ალეიაში, ამა-და-ამ ნომერში.

— გმადლობთ. ის თავის მშვენიერს სახლებს თავის ნივთეულობით მოვალეებს მისცემს?

— მაგას რად იზამს? მერე სახლიც იმის ცოლს ეკუთვნის.

— მაშ მდიდარი ცოლი შეურთავს?

— არა, როცა შეირთო, მაშინ ღარიბი იყო და მასუკან გამდიდრდა.

— მემკვიდრეობით მიუღია.

— არა მგონი.

— მაშ როგორ გამდიდრდა?

კონსულმა მხრები აიწია და წარმოსთქვა დამცინავ ღიმილით:

— უცხო ოჯახის საიდუმლო საქმეები კაცმა არ უნდა გაჩხრიკოს; ეგ უზდელობა იქნება.

ჩამოვარდა ხან-გრძლივი სიჩუმე. კონსული ჩაფიქრიანებული ათამაშებდა ხელში ვარაყიანს კარანდაშს.

— მე რომ თითო დოლარზე თითო დოლარის ნაკლები არ ავიღო?—ჰკითხა ბოლოს ანდერსმა.

— არ აიღოთ და ცალიერზედ დარჩებით.

— არა, მე შევასრულებ ჩემს სურვილს.

— რა სურვილს?

— სამართალს ვეღირსები.

— ეგ სამართალი ორას დოლარად არ ეღირება.

კარები გაიღო და ტროტუარზე მოისმა მძიმე და მარჯვე ნაბიჯი ანდერსისა.

— საცოდავი! — იფიქრა კონსულმა და ამოიოხრა — უეჭველია ხიფათს ვერ გადურჩება. ჩინებულის, ძვირფასის ბუნებისა კი უნდა იყოს.

## IV

ადამიანთა ცხოვრება სულ სხვა-და-სხვა ფერად გეჩვენებათ, თუ ზემოდამ ახალ-მოდურ ფრანტის სათვალებით დაჰყურებთ და ქვემოდამ ცრემლებში შესცქერით. იმ კაცს, რომელიც ყოველ დღე ძვირფასს ფრანცუზულ საჭმელებს შეექცევა და შამპანიის ღვინოსა სვამს, განგების საქმე ყოვლივე სამართლიანი ჰგონია; მაგრამ სრულებით გასაკვირველი არ არის თუ კაცობრიობის ცხოვრებას ცუდის თვალით შეჰხედავს იმისთანა კაცი, რომელსაც, მას აქედ, რაც შესცდა და დაიბადა, უსამართლო უბედურება არ ეშვება და რომელმაც არ იცის სახვალიოდ ლუკმა-პური ექნება, თუ არა. მე ზოგიერთ პირთაგან, რომელთაც თავის დღეში სხვა ტანჯვა არა გამოუცდიათრა, გარდა მეტის ჭამისაგან კუჭის დამძიმებისა, — არა ერთხელ გამიგონია ლაპარაკი მუშა-ხალხის მდგომარეობაზედ, მდაბალის ხალხის სიკერპეზედ, სხვა-და-სხვა სრულიად უვარგის საშუალებაზედ დიდ საზოგადობრივ უსამართლობის ასაცილებლად; მაგრამ ამ პირთ რომ საქმით გამოეცადათ ნამდვილი ნაკლულევანება, ამ სჯას ფრთები შემოეკვეცებოდა და ძირეულად შეიცვლებოდა მათი ფილოსოფიური სწავლა საზოგადოების შესახებ.

გავიდა ექვსი კვირა შემდეგ „შემნახავ ბანკის და ემიგრანტთა შემწე საზოგადოების" გაკოტრებისა. ანდერსი თითქმის ყოველ დღე მიდიოდა რანდოლფ-მელვილ-უფროსის სასლთან მეხუთე ალეიაზედ, მაგრამ არც ერთხელ არ მიიღეს. ბოლოს ზანგმა მოსამსახურემ რომ დაინახა, მოაჯახა კარები და გამოუცხადა — თუ კიდევ მოსულხარ, მელვილი დაგაჭერინებსო. მაგრამ ანდერსი არ შეკრთა: იმას გადაწყვეტილი ჰქონდა, ენახა როგორმე მელვილი და თუ მეტი გზა არ იყო, სიკვდილამდე არ მოშვებოდა. მთელი ის ხანი იმ ფულით [illegible]ჩინა თავი, რაც რკინის გზაზედ აღებულ ბილეთის გაყიდვით ამოიგო.

ოცზედ მეტს ადვოკატს დაეკითხა ანდერსი და ყველა უკვირდა. როგორ არ ესმის, ან არ უნდა გაიგოს, რომ ესეთი მორიგება არის საფუძველი ჩვენის სამოქალაქო და სისხლის სამართლისა და პოლიტიკურ წყობილებისაო.

საწყალი ემიგრანტი ასე სჯიდა:

ყოველი საგანი ან კარგია, ან ავი. თუ კარგია, უნდა დავიცვათ იგი, ხელი შევუწყოთ. ჲ თუ ავია — ვსდევნიდეთ, შევიზიზღოთ. კარგი და ავი, სიმართლე და სიცრუე თავის დღეში ერთად ვერ მოთავსდება. თუ მელვილმა დამტყუა ფული, რომელსაც იმის კანტორაშივე მოსამსახურე არ იღებდა, — ის ციხეში ჩასმის ღირსია, რომ სხვა საცოდავი ემიგრანტები აღარ გაებნენ იმის მახეში.

ამ საუბედურო ექვსის კვირის განმავლობაში, ანდერსის გონება უფრო გაეხსნა. იმის სულის მძინარე ძალ-ღონემ მოულოდნელად გამოიღვიძა და ანდერსმა იგრძნო რომ ყოველდღე თან-და-თან გონიერ არსებად ხდებოდა. მაგრამ ამ გვარმა გაცხარებულმა მოქმედებამ გაუხმო სხეული; ლოყებზედ ძვერი

წაერთვა, თვალები ჩაუცვივდა და ავად-მყოფსავით ენთებოდა; აბურძგნული თმა ჯღუფ-ჯღუფად ჩამოჰკიდებოდა; წვერიც აქაიქა მოგროვილიყო და ჰფარავდა მის ნიკაპს; სახე თითქო შეუფიქრიანდა, თითქო კიდეც ვერაფერსა გრძნობდა და ისე შეეცვალა, რომ ღვიძლი ძმაც კი ვეღარ იცნობდა.

საღამოზედ, 25-ს მაისს, ანდერსი ჩვეულებისა-მებრ მიდიოდა მეხუთე ალეიაზედ და ჰფიქრობდა როგორ ენახა თავისი მტერი. უეცრად ბრწყინვალე აზრმა გაურბინა თავში: მაგრად მოუჭირა ხელი თავის მსხვილ ჯოხს და გაჩერდა მელვილის სახლის წინ. ეხლა როდიღა დააწვარუნა ზარი უმთავრესის შესავლისა, აცოცდა კედელზედ, რომელიც ქუჩასა და უკანა ეზოს შუა იყო, გადახტა ფანჩატურის სახურავზედ და იქიდამ პურის საჭმლის ოთახის ფანჯარამდე ადვილად მივიდა. იყო შვიდი საათი. საღამო თბილი იყო; ნახევარზედ გაღებულ ფანჯარიდამ კაი სინათლე გამოდიოდა და ანათებდა გზასა. ანდერსმა კარგად გაარჩია, რომ სადილად დიდი საზოგადოება ისხდა და განიერი, დარბაისლური მხარ-ბეჭი მელვილისა ისე ახლო იყო იმაზედ, რომ ხელით ადვილად მისწვდებოდა. იმის გვერდით იჯდა ერთი მშვენიერი ყმაწვილიქალი მოთეთრო ფარჩის კაბით და მარცხენა მხარზედ უვითელი ვარდები ჰქონდა გაკეთებული. ის ნაზის ღიმილით შესჰქეროდა მელვილს და ამ გამოცდილს კაცს მოწიწებით ეკითებოდა რჩევას თავის ცოტა მსუბუქ აზრების შესახებ.

— მე არ მესმის,—ამბობდა ის ქალი—ეს მუშა-ხალხი რატომ კმაყოფილი არ არის და ისე ცუდად რად იქცევა. იმათ ხომ ჩვენსავით ნაზი გემოვნება არა აქვთ და თავის დღეში ვერ შეეჩვეოდენ იმაზედ უკეთესს მდგომარეობას, როგორშიაც ეხლა არიან. რატომ ისე არ ემორჩილებიან თავიანთ ბედს,

როგორც ქრისტიანებს შეეფერება, მუდამ განგებას ემდურებიან და რაღაც სულელურ პირის მიცემით აძვირებენ ტანისამოსს და სხვა სავაჭროს.

— თქვენ მართალსა ბძანებთ მის ვანპელტ. — მიუგო მელვილმა და ბრძანებლობის გამომეტყველს სახეზედ სიმშვიდე მოეფინა — მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ მუშა - ხალხის უხიაკობის მიზეზი არის ფრიად გავრცელებული ჩვენს დროში ურწმუნოება. აი რა ჰქნეს თავიანთ ურწმუნო გამოკვლევით სწავლულებმა. მე ყოველთვის მომხრე ვიყავ ძველის, კეთილის, საიმედო სარწმუნოებისა, რომელსაც თავისი განსხვავებული დედა-აზრი აქვს და საგრძნობელი ჯოჯოხეთი. ჩვენ ეხლა გვეჭირვება მქადაგებლები, რომელთაც უნდა გაავრცელონ სწავლა ჯილდოსა და სასჯელზედ, სასტიკი დისციპლინა დაგვინერგონ და გვარიგებდენ რომ ბრმად ვემორჩილებოდეთ განგების მიუწდომელ წესსა.

მელვილმა ეს მცირე სიტყვა წარმოსთქვა მაღალის ხმით, ჯაფიერად, ცხარედ და როდესაც, გათავების შემდეგ, ტუჩებთან შამპანიის ღვინით საესე სტაქანი მიიტანა, გარშემო ქების ხმა მოისმა.

ანდერსს ესმოდა ყოველი სიტყვა და აზრსაც მიხვდა. ციებისაგან ავად-მყოფსავით მთელის ტანით აკანკალდა, მიეყუდა ფანჯარას და მხოლოდ ფარდა-ღა იყო იმის და მოსადილე საზოგადოებას შუა. იმის წინ იჯდა ქურდი, ბედნიერი, ყველასაგან პატივ-ცემული და ძღებოდა თავის უქმ მეგობრებთან ერთად მშვენიერ საჭმელ-სასმელით, რომელიც ღარიბთა და დაჩაგრულთა ფულებით იყო ნაყიდი და რომელიც უუქმებდა მათ იმედს, ბედნიერებას, კეთილ-ცხოვრებას. ანდერსს ეჩვენებოდა, რომ მელვილი შამპანიის ღვინოს კი არა სვამდა, სვამდა

სისხლს იმის ცოლისას, იმის შვილისას, ყველას, რაც კი იმისთვის ძვირფასი იყო. ის მაგრად უჭერდა ჯოხს ხელსა, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იმაგრებდა.

ამ დროს ძლივს აიწია ერთი სქელი, გამძღარი კაცი, რომელიც სახლის-პატრონის ახლო იჯდა და ითხოვა ნება, მე მინდა ის გრძნობა წარმოვთქვა, რომელიც ჩემის აზრით ამ ამორჩეულ საზოგადოებას ასულდგმარებსს. ლაქიები დაფაცურდენ და სტოლებს შემოუარეს, პრობკები ამოცვივდა დ ბრწყინვალე, ქაფიან სასმლით აივსო აჭრელებული ვენეციური ბოკალები.

— ქალებო და ბატონებო! — სთქვა სქელმა კაცმა — დღეს ჩვენი პატივ-ცემული სახლის-პატრონი, რანდოლფ-მელვილი, სამოცის წლისა შესრულდა. მე მოგიწვევთ დავლიოთ სადღეგრძელო ჩვენის ყოვლად პატივ-ცემულ მეგობრისა და ნება მიბოძეთ დაგისახელოთ ზოგიერთი შესანიშნავი მისი ხასიათი, რომელმაც სანაქებოდ გახადა მისი სახელი საზოგადოებისათვის თავ-დადებულ ხანგრძლივ მოქმედების დროს. მელვილს აკვანშივე ეტყობოდა, რომ საქმის კაცი უნდა გამოსულიყო. ამ მხრივ ეს ჭეშმარიტი ამერიკელია და მაგის ხასიათსა და ნიჭში განხორციელებულია ნამდვილი სული ჩვენის დიდებულის და სახელოვანის რესპუბლიკისა. მაგისივე მამულის-შვილნი სრულს ნდობასა გრძნობდენ მაგისადმი, ირჩევდენ მრავალს საზოგადო სამსახურში და მაგანაც თავის სამაგალითო პატიოსნებით და პირუთვნელობით გაამართლა ეს საერთო ნდობა. მაგისი ცხოვრება სხივსა ჰფენდა გარშემო და ბრწყინავდა ხმოსნობის ნათელზედ და სხვ. და სხვ.

მელვილის სქელმა მეგობარმა თხუთმეტ წუთზედ მეტი ილაპარაკა ამავე სახით და არც თითონ მოლაპარაკე, არც

მსმენელები არ გრძნობდენ, რომ ამ ფერად-ფერად სიტყვებში უფრო დაცინვა იყო, ვიდრე სიმართლე. როდესაც ორატორმა გაათავა, წამოდგა მასპინძელი პასუხის მისაცემად. კაი სანახავი იყო იმისი მშვენიერი სახე და ზამბახსავით თეთრი პერანგი, რომელიც ჰფარავდა მის განიერ მკერდსა. დანა-ჩანგლის ჩხარუნი შესწყდა; დაწყნარდა კერძო ლაპარაკი. კაცები სკამების ზურგს მიეყუდენ და ქალებიც, კაბების შაში-შუშის შემდეგ, მოლოდინს მიეცნენ.

— ქალებო და ბატონებო! — დაიწყო მელვილმა — მე დიდის მადლობით მოვისმინე ჩემის პატივ-ცემულ მეგობრის ჯანტლეტის საქებური სიტყვები, თუმცა კი ვგრძნობ რომ სრულიად არა ვარ ამისი ღირსი. მაგრამ მე ჩემს თავსვე უსამართლოდ მოვექცევი თუ არ ვაღვიარებ, რომ მე ყოველთვის ვცხოვრებდი და მოვქმედობდი ისე, როგორც ზენასაგან დანიშნული მქონდა, და მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ უკანასკნელი უბედურება, რომელიც მე თავს დამატყდა, არის ძნელი განსაცდელი, განგებისაგან ჩემს თავზედ წარმოვლენილი და ესრედ სარწმუნოებით შეჭურვილი...

ამ დროს რაღაცა დაეცა იატაკზედ და სტაქნებმა ზრიალი მოიღო. ვიდრე მელვილი მობრუნდებოდა, ორმა ძლიერმა ხელმა ყელში წაუჭირა და ყურთან მოესმა:

— შენ სტყუი!

მელვილმა დაინახა ნაცრის-ფერი, წყალებული სახე, აბურძგნულის წვერით და ცის-ფერი თვალები, რომელნიც ნაკვერჩხლებსავით ბრწყინავდენ. იგრძნო, რომ სული შეეხუთა, თავის რაცრაცი მოუვიდა, ხელიდამ გავარდა ბოკალი და ნაკუწნაკუწად იქცა. კაცებს ჯერ თავ-ზარი დასცა ამ მოულოდნელმა ამბავმა; მერე წამოხტნენ სტოლიდამ და მიეშველნენ მელვილს.

იორს თუ სამს ქალს გულს შემოეყარა; სხვები კუნჭულებში შიიმალნენ, იქ ერთმანერთს ჰკრობოდენ და შიშით უცქეროდენ ამ საშინელს სანახავს. მხოლოდ ვან-პელტის ქალს არ დაეკარგა თავ-ბედი, შევარდა მაშინვე მელვილის კაბინეთში და ხელი დაადო ელექტრიულ ტელეგრაფს, რომელიც პოლიციამდე მიდიოდა.

პურის-საჭმელ ოთახის იატაკი ირყეოდა, ხვამლები აქედ-იქიდ ქანაობდა და რამდენსამე წუთს თორმეტამდე კაცი ერთმანერთს განურჩევლად ებღაუჭებოდენ და ხან სტოლს მიაწყდებოდენ. ბოლოს ყველანი ერთბაშად დაეცნენ ძირს მარმარილოს ბუხართან. გაიარა ერთმა წუთმა და ყველანი სათითაოდ წამოდგნენ სულ-შეხუთულნი, გაისწორეს თავიანთ ტანისამოსი სარკეში და თავისთვის რაღასაც იწყევლებოდენ. მხოლოდ მოჭიდავენი უძრავად იწვნენ. ანდერსი გარეშემო განცვიფრებით იცქირებოდა; კანკალებდა ისე, თითქო აცივებსო და რადგან ყელში მომდგარი სისხლი თავის ალაგას დადგა, საცოდავად ულონოდ დარჩა. მელვილიც იმის გვერდით იდვა; ძლივსღა სუნთქავდა და თითებს კლანჭავდა. ზოგიერთი სტუმრები დასწვდენ, ყილეტი გაუხსნეს, ყელსახვევი შეხსნეს და მაჯას უსინჯავდენ.

უცბად შემოვიდა სამი პოლიციელი. იმათ აიყვანეს ანდერსი და კარებთან მიათრიეს. ისიც არ გაუურჩდა მათ, თითქო ღონე სრულებით აღარა ჰქონდა; მაგრამ კარებთან მოულოდნელად გაჩერდა, წელში გაიმართა და ყრუდ წარმოსთქვა:

— მომეცით მე ჩემი ფულები, რომელიც თქვენ მომპარეთ.

## V

ანდერსი რამდენსამე თვეს ციხეში იჯდა. თავდებად არავინ დაუდგა და არც არავინ მოპასუხე გამოუჩნდა, ციხის ერთფერმა ცხოვრებამ და ქურდების და ავაზაკების დამამცირებელმა ამხანაგობამ მოუკლა მას ყოველი იმედი. მაგრამ ზღვების წადილი სთუთქავდა მთელს მის არსებას და თვალებში ალსავით უელავდა. მუხლებზედ დაყრდნობილი იჯდა ხოლმე მთელი დღე უძრავად და ჰფიქრობდა მაზედ, თუ რადა და რისთვის სცოცხლობს კაცი. მოუთმენლად მოელოდა თავის გასამართლების დღეს. მაშინა ჰქონდა იმედი ხმა აემაღლებინა და შეეგონებინა ყრუ მართლ-მსაჯულება. რამდენიმე დღე სთხზავდა იგი ძლიერს გამამტყუნებელს სიტყვას თავის ღვიძლს ენაზედ და ის კი არ იცოდა, რომ ამერიკული სამართალი მხოლოდ ინგლისურს ენაზედა რიგდება. მაშინ მწარედ იმედ-გადაწყვეტილი დადიოდა წინა და უკან თავის პატარა ოთახში, როგორც მხეცი ყაფაზაში, ხანდისხან თავს კედელს ახლიდა ხოლმე და ტკივილს კი სრულიად არა გრძნობდა. იცოდა რომ აზრები ერეოდა თავში და მხოლოდ მაშინ მოდიოდა სრულს გონებაზედ, როდესაც მწვავე ცეცხლი გადასკდის სურვილისა გულზედ ედებოდა. ერთს ამ წამთაგანში მოესმა გასაღების ხმა; კარი გაიღო და იმის ოთახში შევიდა კონსული და ერთი ციხეში მოსამსახურე.

— მე თქვენ კაი ამბავი მოგიტანეთ, რუსტად: — უთხრა კონსულმა მხიარულად და ჩამოართვა ხელი — თქვენ თავისუფალი ხართ.

— მერე გასამართლება? — ჰკითხა ნორვეგიელმა ჩუმის ხმით.

— გასამართლება აღარ იქნება.—წარმოსთქვა კონსულმა იმავე მხიარულის კილოთი და თავის-თავი ბედნიერების მომასწავებელი ეგონა—არავინ არის თქვენი მოპასუხე, თქვენ არავინ გიჩივით.

— მაშ ციხეში რაღად ჩამსვეს?

— თქვენ ეგ კარგად უნდა იცოდეთ და უნდა დააფასოთ კაცთ-მოყვარეობა ბატონის მელვილისა, რომელმაც უარი სთქვა სამართლით თქვენის დასჯისა.

— მე არ მინდა მოწყალება, მე სამართალი მინდა!—დაიყვირა ანდერსმა რიხიანის ხმით, წამოხტა ადგილიდამ და მუშტების ქნევა დაიწყო კონსულის ცხვირ-წინ—გესმით, მე სამართალი მინდა! მე მინდა შევატყობინო მთელს ქვეყანას, ღმერთს, რა სიავკაცეც გამიწიეს და რა ტანჯვაშიაც ჩამაგდეს.

— რუსტად, რუსტად, ჭკვიანად მოიქეცით; — ეუბნებოდა კონსული და ცდილობდა დაშოშმინებას— ეს იფიქრეთ, რომ ასი და ათასი ღარიბი კაცი თქვენსავე მდგომარეობაშია. განა ისინი უყაყანებენ, უწესოდ იქცევიან! ისინი დოლარზედ დოლარის მეათედს იღებენ, როგორც გუშინ იყო გამოცხადებული და იმისთვისაც მადლობენ ღმერთსა, რომ ეს მაინც არ დაეკარგათ.

— აი სწორედ ეგ მაგიჟებს მე—ზრუნვა მაგ უბედურებსა, და შეცდენილებზედ!—წამოიძახა ნორვეგიელმა ზომაზედ მეტად აღელვებულმა—მითხარით, სად არიან ისინი? მე ვიპოვი იმათ და გულში ჩავუსახავ პატიოსნურ მძულვარების ცეცხლსა, დავანახვებ მათს ლაჩრობას და შევარცხვენ, რომ ურცხვად ყაბულდებიან ათის დოლარის მაგივრად ერთის მიღებასა.

კონსულს სახეზედ გასცვითრება დაეტყო. ეს სიტყვები როდი იყო უბრალო გაუნათლებელ გლეხი-კაცის სიტყვები

რომლის გონების ვარჯიშობა, ექვსი თვის წინად მხოლოდ ჩვეულებრივს მამულის მუშაობაზედ იყო დამყარებული. ბოლოს კონსულმა უთხრა ანდერსს დამჯდარის კილოთი: მე თქვენ გევედრებით, რუსტად, როგორც თქვენი თანა-მემამულე და თქვენი კეთილის მსურველი; აიღეთ თქვენი ორასი დოლარი, რომელსაც თუნდ ხვალვე მიიღებთ და შორს სადმე დასავლეთში წადით ეხლავე.

ანდერსი ზიზღით მობრუნდა.

— მაშ გონიერს რჩევას არ გინდათ მისდიოთ?—დაუმატა კონსულმა და მხარზედ ხელი დაადო.

— არ მინდა, — დაიძახა ანდერსმა — მე აქედამ სამართლის მიუღებლად არ წავალ. მე სამართალი მინდა და სამართალს მოვითხოვ.

კონსულმა მხრები აიწია, შეხედა მსახურს, შემოიკრა შუბლზედ თითი და მსახურმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ნახევარ-საათის შემდეგ ანდერსი ძალით გამოაგდეს ციხიდამ.

## VI

ანდერსი ჯერ ერთს ალაგს გაჩერდა, რადგან უეცარმა მზის სინათლემ მხედველობა წაართვა. გარეშემო პატარა დაგლეჯილი ბიჭები შემოეხვივნენ, რომელნიც სცხოვრობენ ქუჩაში წაღების წმენდით და დაუწყეს დაცინვა, კალთების წევა, მაგრამ ანდერსი მაინც ვერას ამჩნევდა. მისი გონება ამ დროს ისე ძლიერად მუშაობდა, რომ გარეშე შთაბეჭდილება არა მოქ-

მელობდა მაზედ. ბოლოს თავი მაღლა აიღო და ჩქარის ნაბიჯით გაემართა მეხუთე ალეიასაკენ. გამვლელ-გამომვლელები იმას რომ დაინახავდნენ, განცვიფრებით უყურებდნენ: ყველას უნებურად აშინებდა მისი მეტად მაღალი ტანი, ნაცრის-ფერი სახე, რომელსაც ჰფარავდა აბურძგნული წვერ-ულვაში და მისი ნაპერწკლებსავით ბრწყინვალე თვალები. გზაზედ ანდერსი არსად გაჩერებულა და მალე მივიდა მელვილის მშვენიერს სახლთან. დიდს შესავალ კარების წინ იდგა ჩინებული კარეტა და ორი ლამაზად ჩაცმული ლაქია ისხდნენ კუჩრის გვერდით. ანდერსმა შეხედა იმათ ზიზღით და აიჭრა კიბეზედ იმ დროს, როდესაც მელვილი გამოვიდა შიგნიდამ მშვენიერს ინგლისურს ტანისამოსში და შოლტით ხელში. რომ დაინახა საზარელი ნორვეგიელი, მაშინვე შოლტი მაღლა აიღო. სახეზედ ერთბაშად გამოეხატა სიავეც და და შიშიც და უკან დაწევა დააპირა. უეცრად სიავემ დასძლია შიშსა, მოიქნია შოლტი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე დაარტყა ანდერსს. ანდერსი წაბარბაცდა, მაგრამ შემაგრდა, მივარდა თავის მოპირდაპირეს და თავისი ტყვიასავით მძიმე მუშტი დაჰკრა თავში. მელვილს თვალთ დაუბნელდა, მუხლთ მოეკვეთა, გულ-აღმა დაეცა და თავი ქვის საფეხურს დაჰკრა. ეს ყოველისფერი ერთს წუთს მოხდა. ორივ ლაქია ჩამოხდნენ კარეტიდამ და მიეშველნენ თავიანთ ბატონს. მაგრამ გვიანღა იყო: მელვილს თავი მძიმედ გაუტყდა და სისხლი უხვად გადმოსდიოდა. უცბად შეიძრა, გაიშალა წელში და უძრავად შეიქნა. მელვილს სული აღარ ედგა. ანდერსი დამშვიდებული იდგა კიბის თავში და გულ-ხელდაკრეფილი დასცქეროდა იმის წინ მდებარე უსულო გვამს. არა გრძნობდა არც სიხარულს, არც გამარჯვებას; მაგრამ გული კი ეუბნებოდა, რომ სამართალი ამას მოითხოვდა.

ის ეხლა თავის-თავზედ და თავის ბედზედ კი არა ფიქრობდა,— ჰფიქრობდა მთელს ქვეყანაზედ, იმ მილიონ ქმნილებაზედ, რომელნიც უსიტყვოდ იტანჯებიან. ამ წუთში წარბ-შეუშლელად ჯალათის კისერს წაუშვერდა. როდესაც პოლიციელები გამოცხადდენ, ანდერსი ყოვლის უარის უთქმელად გაჰყვა მათ და იმის ღირსეული, უბრალო შეხედულობა თავისითვე იზიდავდა თანაგრძნობას. მღელვარება დაუწყნარდა და სრულებით გულ-დამშვიდებული იყო ეხლა. ეს დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. როდესაც ციხის მძიმე რკინის კარები მოიხურა და ანდერსი ამყვ ბნელს და ვიწრო ოთახში მოემწყვდა, ფიქრმა ისევ ცხარე მუშაობა დაიწყო: ადამიანთა ცხოვრების მრავალს უმძიმეს საგანს ახსნა ეჭირვებოდა. საკვირველია, რომ ცოლი და შვილი თითქმის აღარ ახსოვდა ანდერსს. ამ ძვირფას ქმნილებათა სიყვარულმა გააბედვინა სამშობლოს თავის დანებება და უცხო, უწყალო ქვეყანაში ახლის ბინის ძებნა; მჯომა დარდმა უფრო დასწვა გული, როცა ის უბედურება შეემთხვა მაგრამ ეხლა ისინი ამისთვის თითქო შორეულნი იყვნენ, წარსულნი და თითქო კავშირი აღარა ჰქონდა-რა მათთან. ცოლისა და შვილის სიყვარულის მაგიერ, გულში ეხლა საზარელ ზღვევის სურვილი ედო.

გავიდა ზამთარი და დანიშნეს კიდეც გასამართლების დღე. ციხეში ჯდომის დროს ანდერსი გულ-მოდგინედ სწავლობდა ინგლისურს ენას და მოსთხზა კიდეც ინგლისურად ერთი გამამტყუნებელი ოქმი, რომელიც ნაფიც-მსაჯულებისათვის უნდა წაეკითხა. იმას ეგონა, რომ იმ ქაღალდის აზრსა და ძალას წინ ვერაფერი ვერ დაუდგებოდა და საკვეხურადაც მიაჩნდა ზოგიერთი ვითომ მჭევრ-მეტყველური აზრები, რომელთაც უნდა დიდი შთაბეჭდილება მოეხდინათ მსმენელებზედ. ის

დარწმუნებული იყო, რომ გმართლა ყველასთვის ეცნობებინა მისგან აღმოჩენილი ბოროტ-მოქმედება და ეს ბოროტ-მოქმედება მაშინვე მოისპობოდა. აზრშიაც კია არ მოსვლია, რომ თითონ იმას გაასამართლებენ და არა მოკლულს კაცს. კონსულმა მოიწვია დახელოვნებული ადვოკატი იმის დასაცავად და ცოტაოდენი ხარჯიც თავის-თავზედ იკისრა. იმათ გადასწყვიტეს რომ ანდერსი გიჟად ეცნოთ და იმით დაეფარათ; მივიდენ ანდერსთან ციხეში, რომ ზოგიერთი ცნობები გამოერთმიათ და დაერიგებინათ, სასამართლოში როგორ უნდა მოქცეულიყო. ციხეში მოსამსახურემ გაიყვანა ანდერსი მისალებს ოთახში და თითონაც კარებში იდგა გაჩერებული, ვიდრე ლაპარაკს გაათავებდენ.

— თქვენ ძალიან გამოცვლილხართ ამ ბოლოს დროს, რუსტად, — უთხრა კონსულმა და წარუდგინა ადვოკატი რულიონი — ძალიან გამოცვლილხართ და გამხდარხართ კიდეც. ის ემჯობინებოდა რომ ძილს არ იკლებდეთ და ფიქრებსა და დარდს არ ეძლეოდეთ. ნუ გეშინიანთ მალე გაგათავისუფლებთ.

— რისა უნდა მეშინოდეს, ბატონო კონსულო, — მიუგო ცხარედ ანდერსმა.

— გახსოვდეთ კი, რომ უნდა მტკიცედ შეასრულოთ ჩვენი დარიგება — ნუ დაივიწყებთ, სიკვდილ-სიცოცხლეს შუა ხართ.

— როგორია მერე თქვენი დარიგება?

— პირველი ესა რომ თუ გინდათ თავი გაიმართლოთ, უნდა გიჟად გიცნან.

— გიჟად მიცნან?!

— დიაღ.

— მერე თქვენ მიმტკიცებთ მაგას რომ მე გიჟი ვარ!

ანდერსი მივარდა ადვოკატს; ადვოკატმა ხელები მიაშ-

ველა და უკან დაიწია. მსახურმა წაავლო ანდერსს მჴრებზედ ხელი და შეაჩერა.

— რას ჩადიხართ, რუსტად?— უთხრა კონსულმა — თქვენ მეტად ცხარე ხასიათისა ყოფილხართ და უნდა თავი შეიმაგროთ ხოლმე.

ადვოკატი ისევ თავის ადგილს დაჯდა, კონსულის გვერდით, თუმცა გული გულის ადგილს კი აღარა ჰქონდა.

— მე და კონსულს გიჟად გვგონიხართ, თუ არა,— ეგ სულ ერთია.— წარმოსთქვა ადვოკატმა და აღელვებული ათამაშებდა კარანდაშს ხელში — რა თქმა უნდა რომ ჩვენ ვხედავთ, გიჟი არა ხართ, მაგრამ ნაფიც-მსაჯულებს უნდა დავაჯეროთ თქვენი სიგიჟე.

კონსულმა შენიშნა, რომ ამ სიტყვებზედ თვალები საშინლად გაუელვდა ანდერს და ჩაერია ლაპარაკში.

— თქვენ უნდა გესმოდეთ რუსტად;— უთხრა იმან ნაზის, ალერსიანის ხმით,— რომ ჩვენ ამ ქვეყნის კანონებს უნდა ვემორჩილებოდეთ და გეფიცებით, რომ თუ სიგიჟის მოგონებით არა, სხვაფრივ ვერ იხსნით თავს საღრჩობელადამ.

— თუ ღირსი ვარ ჩამოღრჩობისა, დეე ჩამომაღრჩონ;— მიუგო ანდერსმა — მაგრამ სიცრუით კი ჩემს სიცოცხლეს არ ვიყიდი.

ადვოკატი დაიხარა, რაღაც წასჩურჩლა კონსულს და კონსულმაც წარმოსთქვა:

— ჩვენ რაც კი შეგვეძლო, ვეცადეთ, გამოგვეხსენით და თუ თქვენვე თქვენი სიცოცხლე არ გენანებათ,— თქვენი ნებაა.

კონსული და ადვოკატი წამოდგნენ და კარებისკენ გაემართნენ.

ერთს წუთს მომითმინეთ კიდევ, ბატონო კონსულო;—

უთხრა ანდერსმა—მე ჩემი გამამართლებელი ოქმი დავწერე და გთხოვთ რომ თქვენ და ამ პატიოსანმა კაცმა წაიკითხოთ. ანდერსმა მისწოდა ერთი დიდი თაბახი ქაღალდი. იმათ გადაშალეს ხელ-ნაწერი და რამდენიმე სტრიქონი რომ წაიკითხეს, ადვოკატი მიბრუნდა და გადიხარხარა. კონსულიც გააკვირვა უცნაურმა ინგლისურმა ენამ ამ წერილისამ, მაგრამ იმ მალამ და გულ-წრფელობამ, რომელიც ყოველს სიტყვაში გამოსჩანდა ადტაცებაში მოიყვანა იგი და შეაბრალა ანდერსის თავი.

— რუსტად, თქვენ ამ ქაღალდს სასამართლოში ვერ წარადგენთ;—უთხრა იმან ტუსაღს.

— არა, უნდა წარვადგინოთ—მხიარულად წამოიძახა ადვოკატმა და ჩაიდო ჯიბეში ხელ-ნაწერი—ამ დოკუმენტის ძალით მე დავამტკიცებ ჩემის კლიენტის სიგიჟეს და თუნდა დავგენაძლევებით რომ ნაფიცი მსაჯულები ერთსაწუთსაც არ შეუყოყმდებიან და გაამართლებენ მაგას.

ადვოკატმა ამ სიტყვებზედ ღიმილით გაიყვანა კონსული ანდერსი და ციხის ყარაული მარტო დარჩნენ.

## VII.

მოვიდა გასამართლების დღეც. ადვოკატმა წაიკითხა გამამტყუნებელი ოქმი მთელის საზოგადოებისა და კერძოდ მელვილისა, შედგენილი ანდერსისაგან, და ამ კითხვამ სიცილი მოჰგვარა მსაჯულებს და გააცვიფრა ნაფიცები, უცნაურმა ფრაზებმა და შეცდომით ხმარებულმა ინგლისურმა სიტყვებმა მთელი სასამართლოში მყოფი საზოგადოება გაამხიარულა.

ანდერსი იჯდა ბრალდებულთა ადგილზედ ფერ-მკრთალი,

გულ-დანდობილი, მაგრამ რა ნახა, რომ სიცილი ხშირად მოისმოდა ხალხში, სახეზედ დაეტყო უიმედო განწირულება. თითონ გრძნობდა თავის სიმართლეს და თუ მთელი ქვეყანა არეულ-დარეული იყო და არაფერი გაეგებოდა, თითონ ეს ქვეყანა იყო სასაცილო და არა ანდერსი. მოუთმენლად უცქეროდა თორმეტს ნაფიცს, რომელნიც ამერიკის ხალხის წარმომადგენელნი იყვნენ და ისიც მათ წმინდად რაცხავდა. ეგონა რომ ისინი ამორჩეულნი იყვნენ მის გასასამართლებლად მთელის იმ ქვეყნისაგან და ჰფიქრობდა; ესენი უფრო ღირსეულად მოიქცევიან, ვიდრე მსაჯულები, რომელნიც ისე უზდელად სარსარობენო; ესენი მიხვდებიან ჩემს სიმართლეს და განსჯიან როგორ უმართებულოდ იქცევა ადვოკატი, რომელიც ამტკიცებს ჩემს სიგიჟესაო. ანდერსმა დაინახა, რომ ნაფიცნი გავიდნენ რჩევის ოთახში. ხუთი წუთიც არ გასულა რომ ისევ უკან დაბრუნდნენ და ერთმა მათგანმა ლამაზ-ლამაზმა და სქელსქელმა კაცმა ხმა-მაღლივ წარმოსთქვა:

— არ არის დამნაშავე.

— არ არის დამნაშავე!.. რასაკვირველია, არ იყო დამნაშავე. დამნაშავე მელვილი იყო და ის უნდა ყოფილიყო ბრალდებულთა ადგილს. მადლობა ღმერთს; სამართლის ნაპერწკალი მაინც არ გამქრალიყო ქვეყანაზედ.

ამ დროს კონსული და ადვოკატი ერთად მისცვივდნენ ანდერსს და გაუშვირეს ხელი.

— ნებას მიბოძეთ, მოგილოცოთ, რუსტად. — უთხრა კონსულმა — თქვენ ამ ბატონის მადლობელი უნდა იყოთ, რომ ისე მარჯვედ ილაპარაკა თქვენსკენ.

— ხომ ნახეთ როგორ მოვახერხეთ და დავამტკიცეთ თქვენი სიგიჟე. — წაიჩურჩულა ადვოკატმა — ჩვენ კი არა, თქვენ თითონ

დაამტკიცეთ ესა და ჩემის მხრივ დიდი შველა არ დაგჭირებიათ. მეც ამის იმედი მქონდა.

ანდერსი მართლა ეხლა მიხვდა, საქმე როგორც იყო. ნათესავებმა იგი უბრალოდ კი არ იცნეს, აპატიეს, რადგან მისი დანაშაული არ დაისჯებოდა, ე. ი. დაეთანხმნენ ადვოკატს რომ ანდერსი ჭკუაზედ შეშლილი იყო. გულ-დათუთქული გამოვიდა ანდერსი სასამართლოდამ და თან ორი პოლიციელი გამოჰყვა. საღამო ჟამი იყო, ყველა საჭირო ქაღალდების გარდაცემ-გარდმოცემას ვერ მოასწრობდნენ და ამიტომ იმ ღამეს ანდერსი წაიყვანეს უფრო დიდსა და კარგს ოთახში, სადაც იმას უნდა გაეთია ღამე, ვიდრე დანიშნულს ალაგს დააბინავებდენ.

ანდერსი დაეცა ლოგინზედ და ანიშნა პოლიციელს, მარტო დაეგდო. იგრძნო რომ გულში რაღაცა ჩასწყდა, თითქო საათის მავთული მოიშალაო. წამოდგა ზეზედ დასარწმუნებლად, შეეძლო თუ არა ფეხზე დგომა, მაგრამ ყოველი იმისი მიხვრა-მოხვრა ბერი-კაცის მიხვრა-მოხვრასა ჰგავდა. წაერთვა თავის თავისა და თავის ძალ-ღონის იმედი, თავბრუ დაეხვა, თვალთ აუჭრელდა და დაეცა ლოგინზედ.

ეს ამბავი მოხდა მაისის თვეში. ათის დღის შემდეგ ერთი ქალი ნორვეგიულ ტანისამოსში მიადგა ციხის კარებს და ანდერს რუსტადი იკითხა. ხელში წლისა და ნახევრის ბავშვი ეჭირა.

— ანდერს რუსტად, ანდერს რუსტად! — იმეორებდა იგი, უსვავდა ბავშვს თავზედ ხელსა და თვალები მწუხარედ უბრწყინავდა.

— მეკარემ მოაყვანინა ერთი ციხის მსახური, რომელმაც უთხრა უცხო-ქალს:

— ანდერს რუსტად დღეს ძლიერ უქეიფოდ არის და ვერავის ინახულებს.

ყმაწვილმა ქალმა თავი გაიქნ-გამოიქნია და ვერაფერი ვერა გაიგო-რა ამათ ლაპარაკისა. სამი დღე ზედი-ზედ ამაოდ მოდიოდა ციხესთან. ბოლოს დაჯდა კარებთან და დაუწყო მოთმინებით ლოდინი. კარები გაიღებოდა თუ არა, ის გაექანებოდა ხოლმე ყვირილით:

— ანდერს რუსტად, ანდერს რუსტად!

მაგრამ პასუხს არავინ აძლევდა.

მეოთხე დღეს, საღამოზედ, ციხესთან კარეტა გაჩერდა და იქიდამ გამოვიდნენ კონსული და დოქტორი. კონსულმა რომ ნორვეგიულ ტანისამოსში ჩაცმული ქალი დაინახა, ვინაობა ჰკითხა.

— ანდერს რუსტად მაჩვენეთ, ანდერს რუსტად! — უპასუხა ქალმა — ის ჩემი ქმარია და ეს ჩვენი შვილი.

კონსულმა მიიწვია, უკან გაჰყოლოდა და ისიც ხმა-ამოუღებლად გაჰყვა მათ ბნელს კიბეზედ და ბნელს დერეფნებში.

ისინი გაჩერდნენ ერთის პატარა ოთახის კარებთან, რომელიც მაშინვე გაიღო. ჭუჭყიანს სტოლზედ იდგა ლამპა და ოდნავ ანათებდა. ოთახში ნავთის სუნი იყო მოდებული. ანდერსი იწვა რკინის კროვატზედ ფერ-მკრთალი, მაგრამ დამშვიდებული. სახეზედ ეტყობოდა მწუხარება და მორჩილება, და ხანდისხან აზროვნების სხივიც გაურბენდა ხოლმე.

კონსულმა ყმაწვილი-ქალი კროვატთან მიიყვანა და უთხრა ანდერსს:

— აი თქვენი ცოლი და შვილი, რუსტად.

ავად-მყოფი მობრუნდა და ამღვრეული თვალები დააშტერა თავის ცოლსა და ბავშვს. წარბები შეიჭმუხვნა, თითქო

რიღასიც მოგონება უნდოდა, მაგრამ ვეღარ შესძლო. ყმაწვილ-მა-ქალმა შეშინებულმა შეჰხედა ამ ფერ-მკრთალს, ტანჯულს კაცს საშინელი თვალების მქონეს და თმებ-აწეწილს. ეს ის არ იყო, იმისი ჯან-მრთელი, მხიარული, ლამაზი ქმარი, რომე-ლიც ერთის წლის წინად წამოვიდა ნორვეგიიდამ ახალის უფ-რო საბედნიერო ბინის საშოვნელად. რამდენსამე წუთს დაფა-ციცებით ჩასცქეროდა სახეში, მერე მიიკრა ბავშვი გულში და კარებისკენ გაემართა.

— ეგ ჩემი ქმარი არ არის!— წარმოსთქვა მან თვალ-ცრემ-ლიანმა— მე წავალ იმის მოსაძებნელად.

— ეგ არის ანდერს რუსტად,— უთხრა კონსულმა— და თუ თქვენ მაგისი ცოლი ხართ, გამოესალმეთ საუკუნოდ: ამის მე-ტად ვეღარა ნახავთ.

ყმაწვილი-ქალი კიდევ მიუახლოვდა კრაოტს და თან მთელი ტანი უთრთოდა. მაგრამ ბავშვი ატირდა, დაუწყო რწევა და საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდამ.

— საწყალი ქალი! ვერ იცნო თავისი ქმარი!— წარმოსთქვა დოქტორმა, როცა ისა და კონსული მარტო დარჩნენ.

— იცით რამ მოჰკლა ეგა?— ჰკითხა კონსულმა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელმა სხივმა დასტოვა უძრავი და გაცივე-ბული გვამი ანდერსისა.

— არ ვიცი.— მიუგო დოქტორმა.

— მეტის-მეტმა სიმართლის სიყვარულმა.

# დათვი და ცხვრები.

ცხვრებს დაეხოცათ მწყემსები, ძაღლებიც მცველი ფარისა,
დარჩნენ ობლად და ტიალად, მტრისგანაც შესაწყალისა...
მოგეხსენებათ მტრადა ჰყავს მხეცები მრავალ გვარისა:
მგლები, აფთრები, ფოცხვრები მქონენი მახვილ ბჭყალისა:

ავნი და შავნი,
ცხვარნი და კრავნი,
რა დარჩნენ მარტოდ
და უპატრონოდ,
დიდ-ხანს იხტუნეს
უნავარდეს მზეს...
არ ახლდათ კაცი...
გაუძღვათ კაცი
და მიიყვანა ერთის უდაბურის ტყეს:
აქ დაბინავდენ და დაისვენეს....
უცებ შეხვდეს გამოჩნდენ მგლები
და მოცუნცულდენ პლუტი მელები,
მსურველნი დასჭრან კრავებს ყელები!
ამ დროს გადმოდგა დათვი მთაზედა,
ბღავის,
იმახის:

„ნუ გეშინიანთ, მოგეშველებით!...“
რა იცნეს იგი ბოხსა ხმაზედა,
მგლები შეცვივდენ იქვე ტყეშია,
მელები ჩამძვრენ სოროებშია...
მობძანდა დათვი...
არ იცის ხლართი,
როგორც მელიამ, —
მრუდის და მართლის პირში მთქმელია...
მოიხმო კაცი და უთხრა გულითა მტკივნეულითა:
„გავიგე, დაობლებულხართ, ამისთვის ვსწუხვარ სულითა;
ნუ გეფიქრებათ მტრისაგან, მანამ მე გეყვართ ცოცხალი, —
ჩემს კალთას ქვეშე იზრდება ბევრი ბედკრული, საწყალი“.
— «თქვენს მფარველობას ჩვენ რა ღირსნი ვართ», — მიუგო კაცმა მჩხავანის ხმითა —
«თუ გვიპატრონებ, ჩვენ რაღა გვიჭირს, მუდროდ ვიცხოვრებთ თქვენით და ღვთითა.»
ამ გვარის თქმისთვის, მორჩილებისთვის, დათვი გრძნობისგან თვალ-ცრემლიანი,
თხას ჰპირდებოდა ჯილდოდ მრავალსა და მთაც უბოძა მას თრიმლიანი...
დათვი დაბძანდა ერთის ხის ძირსა, ჰფლობს და ჰპატრონობს ცხვრისა ფარასა,
ვინ გაუბედავს კრავი მოსტაცოს, ვინ გაუბედავს ან მოპარვასა,
მაგრამ ყოველ-დღე თითო აკლდება,
თუმცა ვიცით კი რომ არ უკლდება.
თურმე ბატონი, ეს ჩვენი დათვი, ყოველ-დღე კრავებს ეთამაშება,
ხან გააგორებს, გამოაგორებს, ასე აწვალებს, არ აძლევს შვებას,

ამდენსა სჯიჯგნის, რომ მიამკვდაროს, შემდეგ დაჭბეყავს, და-
ადებს ყურსა
და ამ ნაირად თითო ბატკანსა, ყოველ-დღე ხანთქავს, როცა
კი სურსა!..

---

თ. რაფ. ერისთავი.

## პურის მოსავალი.

ბიჭო პური შემოსულა, ღელავს, ბზინავს, ოქროს-ფერად,
ღვთისა თვალი შიგ ტრიალებს, — მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!...
შიგ ნუ ჩავწვამთ, ცოდვა არი, ნუ გავსდებით ჩვენ ღვთის მტერად...
ნამგლებს პირი გავულესოთ, გადავიქცეთ მთლად სიმღერად!...

მოიმკო და გაილეწა... დაილოცა შენი ხვავი!
მარცვალი ჰგავს შინდის კურკას: სათესლე და დასაფქვავი...
ყველას ეყვის: ჯარს, ჯამაათს, ეკურთხება მკვდარს საფლავი,
ჯალაბობაც გამოძღება, — არ მოგიკვდეს ჩემი თავი!...

თ. რაფ. ერისთავი.

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრება.

(30 აპრილი — 11 მაისი.)

## I

თორმეტის დღის განმავლობაში ათას-ორასზე მეტი კაცი და ქალი დილის თორმეტიდამ ნაშუადღევის სამ-ოთხს საათამდე ერთს ალაგას იკრიბებოდა; თორმეტის დღის განმავლობაში დასავლეთის საქართველოს რვაასი თავადი და აზნაური საზოგადო, საერო საქმეს იხილავდენ შეძლებისა-დაგვარად, და მათს სჯასა და ბაასს ყურს უგდებდა ოთხასზე მეტი გარეშე მაყურებელი; თორმეტის დღის განმავლობაში ყაზმინისა და ხრესილის გმირთ შთამომავალნი 800 საუკეთესო წევრნი ერთად იყვნენ, ერთმანერთს ეცნობებოდენ, ურთიერთისა და საერთო საჭიროებას ტყობულობდენ და შესაფერის წამლის მოპოვებას ცდილობდენ. ოთხასიოდე კერძო პირთა სული და გული მათკენ იყო, მათ თანაუგრძნობდა, მათ შეჰხაროდა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კრებას ჩვენთვის, რომელთაც ოცის საუკუნის განმავლობაში თითქმის მუდამ უკუღმა ტრიალმა ბედისამ ხელიდამ გამოგვასხლიტა საბელი ჩვენის ყელისა და მხოლოდ ამისთანა ერთად თავის მოყრაღა აღგვიჩნდა ამ ბოლოს ჟამს ნუგეშად ერთი-მეორის გულის წყლულის სამ-

ხილებლად და ყოველ-გვარ საჭიროებაზედ მოსალაპარაკებლად და განსასჯელად. ეს კრებებია ის აკვანი, რომელშიაც მკვალრბილი უნდა გაიმაგროს და სათუთად, დიდის მეცადინეობით ღირსეული ფორმა მიეცეს ჩვენს ნიჭს ეროვნობისას, საზოგადოებრივის ცხოვრებისთვის მოსახმარებელს, მამულის სვებედის განკარგების მოსწრაფებასა, საერო სიმხნეს და მოქმედობრივს მამაცობას, რომ ეს თვისებანი მზა-მზარეულად დავუხვედროთ დიდებულ, მომავლის ცხოვრების მოთხოვნილებასა.

თავი დავანებოთ იმას, რომ ბანკის წყალობით ჩვენს მხარეს ეშოვნება ფული, აქვს სამართლისო კრედიტი და ღონისძიება თავის ნივთიერების ყოფა – ცხოვრების განკარგებისა; ნურც იმას ვიტყვით, რომ ამ ბანკს შეუძლიან რამოდენიმეასი თუმანი მიაშველოს მამულის საჭიროებათ და შევჩერდეთ მარტო ზემოხსენებულს მნიშვნელობაზე. მხოლოდ ეს მნიშვნელობაა საკმაო, რომ ყველას, ვისაც კი ამ ბანკთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, (თუ კი სამართლიანობა და ჭეშმარიტება ფუჭი სიტყვები არ არის)—კრძალვითა და მოწიწებით შეეხებოდეს მას, და «ასჯერ ზომდეს და ერთჯერ სჭრიდეს», როცა საბანკო საქმეზე სჯის სიტყვიერად, თუ მწერლობით. ბანკი უნდა იყოს ის «წმიდაა-წმიდათაი», რომლის წარმატებაზე ზრუნვა ყოველ ქართველის უწმიდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. იმისათვის უნდა დავიწყებული იყოს ყოველივე კერძო სარგებლობა და პირადი «მე» შეიწიროს საზოგადო «ჩვენ»-ის საკურთხეველზე.

ასე ეპყრობიან ჩვენები ბანკს?

ვნახოთ:

ეჭვი არ არის, რომ უმრავლესობა, უკეთ გსთქვათ-

$^3/_5$ დასავლეთის საქართველოსი სწორედ ზემოხსენებულისამებრ ეპყრობა ბანკსა, მაგრამ, სამწუხაროდ, გზა-დაბნეული, თავ-გამოდებული უმცირესობა კი, თითქმის თვისდა უნებლიედ მიეცა კერძოობას, «პარტიობას» და ამ შემცდარ «პარტიობის» აზრს ისე ესარჩლება რომ, ღამის ხელი შეუშალოს ბანკის საქმეთათვის პატიოსნურად და დინჯად მოღვაწე უმეტესს ნაწილს საზოგადოებისას. ეს «პარტია» და «პარტიობა» — დღეს ჩვენში შურისა და შურის-ძიების სინონიმებად გადაქცეული, — დღე-ნაკლულად დაიბადა ქუთაისის ბანკის დაფუძნებისათანავე. რა იყო ამის მიზეზი? ან რა დასაბამი აქვს თვით ამ მიზეზსა?

რამდენადაც დრო და წერილის სივრცე ნებას გვაძლევს, პასუხი ვაგოთ ამ ორს კითხვაზე: როდესაც იმერეთის თავად-აზნაურებს განთავისუფლებისათვის უნდა მიეღოთ მმართველობისაგან სამაგიეროდ სასყიდელი ფული, მათ ამ ფულებიდამ, რამდენიმე მოწინავე ახალ-გაზდების რჩევითა და თაოსნობით, $10^0/_0$ გადადვეს საადგილ-მამულო ბანკის დასაფუძნებლად. ამ დასაარსებელ ბანკისათვის საჭირო იყო წესდების შედგენა. ღვინო ნაშოვნი გახლდათ, მხოლოდ ტიკი არსაიდამ ჩნდა... სანამ ამ ტიკს შეიძენდენ, ღვინოს აღმოუჩნდენ საშიში მზრუნველები. ხელისუფლებითა (власть) და ამის-და-გვარად გავლენით შემკულთა ყოველ-გვარი ჭახრაკები აამუშავეს, რომ ზემოხსენებული ღვინო ერთ-ერთს პეტერბურღის «მადრევანში» ჩაესხათ... საზოგადოებას უნდა დაეჩქარებინა წესდების შედგენის საქმე. მიჰმართეს რამდენსამე პირთ ამ წესდების შესადგენად, მაგრამ ზოგმა დიდი ჯილდო ითხოვა ამ მოვალეობის ასასრულებლად, ზოგმა სთქვა, მოცალება არა მაქვსო და სხვ. ბოლოს მოიწვიეს ქართლიდამ საერო სკოლების დირექტო-

რად მყოფი, აწ განსვენებული ბ. ლ. ლოლობერიძე, რომელ-მაც, რასაკვირველია, იმ წამსვე არჩია სახელმწიფო სამსა-ხურს საზოგადოებრივი და შეუდგა წესდების შედგენას და შეადგინა კიდეც. შემდეგ, როცა ეს წესდება მმართებლობი-საგან დამტკიცდა, აირჩიეს ბანკის მმართველობა და გამგეო-ბის თავ-მჯდომარედ ამოირჩიეს იგივე ბ. ლ—ძე. ამ სა-ხით იმერეთი დაკმაყოფილდა და ღმერთს თაყვანი სცა, რად-განაც ამიერ მას შეეძლო ცოტათი მაინც სული მოებრუნები-ნა ყოვლად-ძლიერის კრედიტით. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი მწერალი, შემკული „მესამე სორტის" ცოდნით და «პირ-ველის სორტის» ტრაბახობისა და ლაქლაქის ნიჭით. იგი იწუ-ნებდა უსაფუძვლო საფუძვლებით წესდებას და თვით კი იმ გვარის ბანკის დაფუძნებას ჰლამოდა, რომელსაც «ავილე და აღარ მოგეცის» ბანკი უნდა დარქმეოდა. მოაყოლა ამ ვაჟ-ბა-ტონმა უთავ-ბოლო წერა და ჭორები თავის «აზრის» გა-სავრცელებლად საზოგადოებაში, მიიმხრო ორიოდე ახალ-გაზ-და და ხუთიოდე «ატესტატნი რეგისტრატორები» და აზნაუ-რი, დაუსაკუთრა მათ «ახალ-თაობის პარტიის» სახელი, და ამ სუტ-ახალ თაობის სახელით ალაშქრდა საუკეთესო ყმაწვილ-კაცობაზე, რომელსაც, დანარჩენ საზოგადოებასთან ერთად — რატომ ჩვენ-კენ არა ხარო — უწოდა «ძველი თაობა» და ლო-ლობერიძის «პარტია». რასაკვირველია, ამ სუტ-ახალ-თაო-ბის «პარტიას» თავისი კანდიდატი უნდა მოეძებნა და წამოე-ყენებინა ბანკის გამგეობის თავს-მჯდომარეობაზედ. ძებნა დი-დი ხანი არ დასჭირებიათ: ერთი მომრიგებელი მსაჯული უთ-მჰთოდაც აპირებდა «ბედის ცდას» კენჭის-ყრით და, როცა ამათაც მიჰმართეს, სიხარულით მიიღო მათი საარჩევანო მოწამ-სი, კანდიდატობა, იყარა კენჭი და გაშავდა $^2/_3$ უმრავლე-

ხობით, მაშინ, როცა ბ. ღ—ძე გათეთრდა, ამოდენივე უმრავ-ლესობითა... ამ დღიდამ დაწყებული წლევანდელ გამგეობის ფავს-მჯდომარის კენჭის-ყრამდე ამ კაცს თავი მოჰქონდა, როგორც «ახალ-თაობის კანდიდატს,» მაგრამ წრეულს კი თვით ამ «თაობამ» უარ-ჰყო იგი. ბოლოს ხანებში ამ «პარტიას» აღარ შერჩენია მის სახელის გამამართლებელი ნატამალიც: თვითონვე დარწმუნდნენ, რომ იმ გვარის ბანკის დაფუძნება ჩვენში, როგორიც უნდოდა ზემოხსენებულს მწერალს, ყოვლად-შეუძლებელია. ამის გამო ამ პარტიას ვეღარ მოჰქონდა თავი როგორც დედა-აზრისათვის მებრძოლის პარტიას, არამედ გაიმასოდა, რომ ბანკის გამგებელი (ჯერ ბ. ღ—ძე და მერე ნ. ღოღობერიძე, $^5/_6$ უმრავლესობით არჩეული 1879 წელს) უღირსი კაცია, მას ცუდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე საერთოდ და «ახალ-თაობაზე» განსაკუთრებითაო. თქმით ამას ამბობდენ, საქმით კი იმ რიგი ჭახრაკები დაატრიალეს, რომ სწორედ იეზუიტებრ თავის საგნის გაღმერთებას საჭირო ამ გვარად მოქმედებისათვის. ის ბატონი მწერალიც ხანამ საწერი ადგილი ჰქონდა თავისებურ მწერლობით ეხმარებოდა ამ პარტიას «მოწინააღმდეგეს» დამარცხებისათვის და ამისათვის არაფერი არ დაუზოგნია.

მაგრამ, სანუგეშოდ, ყოველივე მათი მეცადინეობა ფუჭად ჩაივლიდა ხოლმე, რაც კი ბუნებითს გონიერებას საზოგადოებისას შეხვდებოდა. დიდი-უმრავლესობა საზოგადოებისა, რომელმაც წრეულს ამოირჩია ისევე ნ. ღოღობერიძე, შემდეგს თხოულობს მათგან: ა) თქვენ გვეუბნებით, რომ იმ კაცს, რომელსაც ჩვენ ვირჩევთ ცუდი გავლენა აქვს თქვენზედაო. კეთილი. დაგვანახეთ რითი და როგორ და პატიოსანს სიტყვას გაძლევთ პირველ შემთხვევისათანავე გამოვცვლითო. ბ) გვეუბ-

ნებით, ბანკის საქმე ცუდად მიდისო. ჩვენ კი გვგონია, რომ
კარგად მიდის და მოგებაც თან-და-თან ემატება ბანკს. დაგ-
ვიმტკიცეთ, გვიჩვენეთ ფაქტები, რომ ბანკის საქმე მართლაც
ცუდად მიდის და გეფიცებით ჩვენგან გათეთრებულს კაცს ჩვენ-
ვე გავაშავებთ. გ) გვეუბნებით ბანკის «წესები» უნდა შეიცვა-
ლოს, არ ვარგაო. გვითხარით როგორის წესებით უნდა შე-
იცვალოს, ჩვენ ავწონავთ, დავწონავთ და თუ ღირსეულად და-
ვინახავთ თქვენგან წარმოდგენილს წესებს, იმ წამშივე მივი-
ღებთ და ნ. ღოღობერიძის მაგიერ თქვენ მოგცემთ ხელში
ბანკის სადავესა. ეს ყოვლად კანონიერი მოთხოვნილებანი
რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა... პირ-და-პირის,
ზედ-მოჭრილის პასუხის წილ ისინი უპასუხებენ ცალიერის
სიტყვებით «არ ვარგა», «ცუდია» და «უნდა შეიცვალოსო.»

ამ ნაირად ეხლანდელი «პარტიობა» იმერეთის თავად-აზ-
ნაურთა ბანკის კრებების დროს არის სულ-ჩადგმული პიროვ-
ნულის თავ-მოყვარეობითა და ინტერესებით და არა იდეებ-
რივის, პატიოსნურის დედა-აზრისა და კეთილ-შობილურის
წადილების მიმდევი. ამას ამტკიცებს «ივერიის» შინაურ მი-
მოხილვის (1879 წ. № 4) შემდეგი ჭეშმარიტი სიტყვები
ჩვენგან მოხსენებულს პარტიობაზე იმერეთის საზოგადოება-
შივე:

„... დაეწყო დასები. ერთი იკითხეთ, ან ერთმა დასმა რა
წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარ-ჰყო? რისთვის იბრ-
ძვიან? რად აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რა-
ზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? ჰსწერენ კიდეც მრავალს, ჰქა-
დაგობენ კიდეც და აბა თუ კაცები ხართ გარკვევით მეტყვით
რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი გარდა იმი-
სა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა....“

უპირატესი ყურადღებას საზოგადოებას — უმრავლესს ნაწილს უნებლიეთად და დანარჩენს კი ჯიბისთვის — ამ პარტიობაზე ჰქონდა ყოველ კრებების დროს მიქცეული, და მეტადრე წრეულს მიაჩერდა ამ საგნის მხარეს, რადგანაც ახლა უნდა ეყარათ კენჭი ბანკის გამგებლის ასარჩევად. ამ ნაირად, არ ასრულებულა «ივერიის» ნატვრა (1881 წ. № 5, «შინაური მიმოხილვა»), რომ «ის ენერგია, სიცხოველე და გამჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ, კეთილისა და საზოგადო საქმისათვის მოეხმარებინოთ....»

## II

პირველი საგანი, რომელიც 30 აპრილს შემდგარს კრებას უნდა განეხილა, იყო წარსულის წლის ანგარიში. პირველ სხდომაზე, რამდენიმე პირთ ითხოვეს, რომ მეორე სხდომამდე გადიდვას ეს განხილვა და, ზედამხედველ კომიტეტის თავს-მჯდომარე, რომელიც კრებაშიაც თავს-მჯდომარეობდა — ა. ფ—შვილი — დაეკითხა კრებას და მათის სურვილისა-მებრ გადადვა ანგარიშის განხილვა შემდეგ დღისათვის. დადგა ეს დღეც — პირველი მაისი. ანგარიშის «განხილვა» გადიქცა თითქმის დაუბოლოებელ ბაასად კირ. ლორთქიფანიძისა და გამგეობის თავს-მჯდომარის ნ. ღოღობერიძის შორის. პირველი ამბობდა, რომ ის 13,113 მან. და 8 კაპ., რომელიც ბანკს აუღია $^0/_0{}^0/_0$-ად მსესხებლებისათვის ავანსად მიცემულ ფულებიდამ, «არის ტყავი მსესხებლებისა ბანკისაგან უსამართლოდ გახდილი.» გირაოს ფურცლები თუ ბლომად გასაღდა, გასაღდა თვით მსესხებლებისაგანო. როცა ბანკი თვითონ უხურდა-

კებდა გირაოს ფურცლებს მსესხებლებსა, თითო 100 მან. ფურცელში ის 70 მან. იძლეოდაო. ამაზედ გამგეობის თავს-მჯდომარემ უპასუხა, რომ მსესხებლებისათვის ავანსად მიცემულ ფურცლებიდამ აღებული 6% ყოვლად კანონიერია, ამას მოითხოვდა რიგი და სამართლიანობა, და მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ რომელსამე ბანკს — რა ქვეყნისაც იყოს — ამისთანა შემთხვევაში არ გამოერთმიოს მსესხებლებისათვის %%? გირაოს ფურცლები თვით ბანკმა გაასაღა და არა მსესხებლებმა, და ამას ბანკის საქმეებიდამაც დაგანახვებთ თუ გსურთო. რაც შეეხება იმას, რომ ვითომც ბანკს 100 მან. გირაოს ფურცლებში მსესხებელთათვის 70-70 მან. ეძლიოს — ეს უსაფუძვლო მოგონება არის; ჩვენ არც ერთის მსესხებლებისათვის არ მიგვიცია 70 მან. 100 მან. გირაოს ფურცელში. ორასამდე მსესხებელია ამ სხდომაზე და ერთზე მაინც მიგვითითეთ, რომელსაც ბანკი ასე ეპყრობოდესო. თითქმის საათ-ნახევარი მეტი მოანდომეს ამ პატივ-ცემულ პირებმა თავიანთს ლაპარაკს. სისხლ-მჩქეფარე იმერლებს არ მოეწონათ, რომ ლაპარაკი, შეიძლება ვსთქვათ ბაასი, ამდენს ხანს გაგრძელდა, და უფრო კი ის, რომ ამისთანა წვრილმანებს შეეხო თავის უხვ-სიტყვაობით გ. ლ—ძე, გაზვიადა მათი მნიშვნელობა, სთქვა ასე არ უნდაო, ან ეს ასე იყოსო და როცა დამტკიცებას და მაგალითები მოსთხოვეს, ისევ იმავე განმეორებას მიჰყო ხელი. ასტყდა ხმაურობა კრებაში. თხოულობდენ მოისპოს «ლაპარაკი» ანგარიშზე. ვენდობით ზედამხედველ-კომიტეტის დამტკიცებას, რომ ნამდვილად და კარგად არის შემდგარიო. ამ დროს სიტყვის ნებას თხოულობს დ. ნ. ბ—ძე და უეცრად აყვედრის ბანკის გამგეობას, რომ წინად, წარსულს საანგარიშო წლებში, რატომ არ იყიდებოდა უფრო ბევრი გირაოს ფურცლებიო... ქსდა

აკლდა უამისოდაც ბაასის გაჭიანურებით უკმაყოფილო კრებას. დაიწყეს ყვირილი «დავამტკიცოთ ანგარიში.» თავს-მჯდომარე ძლივს ასერხებს, რომ ლოლობერიძეს პასუხის თქმა აცალონ ბ—ძისადმი. ამის შემდეგ დგება მ. დარახველიძე და აცხადებს უმრავლესობის აზრს, რომ «ზოგიერთი ვაჟ-ბატონები ნუ სცდილობენ იმისთანა უწესოების აღმოჩენას, რომელიც არ ჰსუფევს ჩვენის ბანკის საქმეებშიო.» ამას კოსტ. მაჭავარიანი უმატებს, რომ მათი ცდა, ვითომ უწესოებათა აღმოჩენა, მხოლოდ პარტიული ხრიკებია, მეტი არაფერიო. ისინი ჩვენ მარტო დროს გვაკარგვინებენ და უწესოებას კი ვერ დაგვანახვებენ, რადგანაც იმის დანახვა შეუძლებელია, რაც არ არისო. მართალს ამბობდენ, თუ არა ეს ორი პირი — იქიდამ დაინახეთ, რომ მთელმა კრებამ ტაშითა და ბრავოთი მიიღო მათი სიტყვები და როცა თავს-მჯდომარემ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე იკითხა, დავამტკიცოთ თუ არაო, ერთ-ხმად დაამტკიცა ანგარიში...

ამის შემდეგ წარმოდგენილი იქმნა ახალი ხარჯთა-აღრიცხვა (СМѢТА) დასამტკიცებლად. ამასთანავე ზედამხედველ კომიტეტის უმრავლესობამ წარმოადგინა თავისი აზრი ერთის თავის წევრის პირით, რომ კომიტეტი თავის დროზედ მოახსენებს კრებას ბანკში მოსამსახურე პირთათვის ბანკის მოგებიდამ (გამგეობისა და დამფ. კომისიის წევრთათვის) %% მიცემის მოსპობას, და ეს იქონიოს კრებამ ახლა მხედველობაში, თუ ვინიცობაა ჯამაგირებზე ჩამოვარდა ლაპარაკიო.

აკაკი წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, მიხეილ დარახველიძე, დ. ნაზარიშვილი და პ. თუმანიშვილი მჭევრ-მეტყველურად (მეტადრე აკაკი) და გონივრულის საბუთებით ამტკიცებენ გამგეობის ჯამაგირთა შემცირების საჭიროებას. მათ

შორის კ. ლ—ძე. მარტო გამგეობის თავს-მჯდომარის ჯამაგირის შემცირებას თხოულობს 3500-მდე (—500 მ.). ამდენივე ჯამით ამავ ჯამაგირს ამცირებს აგრეთვე მ. დ—მეც. სამი დღე მოანდომეს მარტო გამგეობის ჯამაგირის შემცირებაზედ ბაასს და ერთი დღეც მასზედ კენჭის-ყრას... ორი დღე ხუთი დარბაისელნი მჭევრ-მეტყველობდენ გამგეობის (საკუთარივ გამგებლის) ჯამაგირის შემცირების თაობაზედ და როცა კენჭით მოუთხოვა კრებას აზრი, მან 346 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 170-ისა უარ-ჰყო მათი საფუძვლიანი მოსაზრებანი... რატომღა ამ საქმის ახსნა დავანებოთ, ერთს მოხუცს დარბაისელს, რომელმაც ავტორს უთხრა დასხლეოვებით შემდეგი: „თუ საქმით ვერ დამიმტკიცებ იმას, რასაც სიტყვით ჰქადაგებ, რაც უნდა სახარება და ლოცვებს წამიკითხო, მაინც ვერ დამაჯერებ: ასეა და რა ვქნა ახლა?! ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო, ნათქვამია, მაგრამ თუ მართლის მთქმელი საქმით არ დაამსგავსებს სიმართლეს. მის სიტყვებსაც ტყუილს დავარქმევ და თქვენ ახალ-გაზრდებმა რაც გერჩიოსთ ის დამიმახსოვრეთ...

მეორე მუხლს ხარჯთ-აღრიცხვისას, ქ. ბ. ბანკის აგენტების (თბილისში და პეტერბურღში) ჯამაგირებს ზოგიერთებმა სრულიად ამოჰხვრა მოუნდომეს ხარჯთ-აღრიცხვიდამ. მათის აზრით პეტერბურღში ისე ცოტა საქმეები აქვს ბანკს, რომ ადვილად შეუძლია აგენტობის მაგივრობა თვით იმ სავაჭრო სახლმა იკისროს, რომელთანაც ბანკს საქმე უჭირავს და თბილისში კი სრულიად არა არის აგენტი საჭირო, რადგანაც იქაურს სადგილ-მამულო ბანკს უფლება აქვს მოკლე ვადიანი სესხი $27\frac{1}{2}$ წლის ვადით გასცეს და ქუთაისისას კი მხოლოდ $18\frac{1}{2}$ წ. შეუძ[illegible] სესხის გაცემა. მაშასადამე პირ-

ველ გვარ სესხს უფრო ადვილად გაისტუმრებს მსესხებელი ვიდრე მეორესას; გარდა ამისა, იქ იხსნება „საკრედიტო საზოგადოება,“ რომელიც აგრეთვე გადიბირებს მსესხებლებს და ამიტომაც ეჭვი არ არის (?) რომ თბილისიდამ მსესხებლები ამიერ აღარ ეყოლება ჩვენს ბანკს, და თუ მსესხებლები აღარ იქნებიან, აგენტმა რაღა გააკეთოს?

გამგეობის თავს-მჯდომარემ ამაზე ფაქტებით უპასუხა. სთქვა თუ რამდენს ალაგასა აქვს საქმე პეტერბურღში ბანკს, რა სამსახური გაუწია ბანკს ქსლანდელმა აგენტმა (თ. მაჩაბელმა) პეტერბურღში, სახელმწიფო ბანკში კუპონების დახურდავებით და მოიხსენა ისიც, რომ ბანკი ცდილობს აქციონერებისა აგენტის საჭიროება პეტერბურღში და აგენტობის მაგიერობა სავაჭრო სახლისთვის მიენდო, მაგრამ ეს მაგიერობა უფრო ძვირადაც დაჯდომია და საქმეც ბევრად ნაკლებად გაკეთებულა. რაც შეეხება იმას, რომ თბილისში საჭირო არ იყოს ვითომ აგენტი, რადგანაც იქაური სადგილ-მამულო ბანკი $27\,^1/_2$ წლით იძლევა მოკლე ვადიან სესხსა და ჩვენ ჯერ ვერა, და გარდა ამისა თბილისშივე იხსნება «საკრედიტო საზოგადოებაო», რომელიც აგრეთვე გადაიბირებს ჩვენს თბილისელ მსესხებლებს, და მის გამო მოსალოდნელია რომ ამიერიდამ აქიდამ აღარ მოგვივლენ მსესხებლებიო, — ამაზედ უნდა მოგახსენოთ მართალია ტფილისის სადგილ-მამულო ბანკი $27\,^1/_2$ წლით იძლევა მოკლე ვადიან სესხს და ჩვენ არა გვაქვს ჯერ ეს უფლება ქალაქის მამულების დასაგირავებლად, მაგრამ, მაგიერად ჩვენ ყოველ-გვარ ხანგრძლივს სესხზე $^1/_2\%$ ნაკლებ ვიღებთ, ვიდრე თბილ. სააზნაურო ბანკი. ის მეორე ბანკი, რომელიც უნდა დაარსდეს თბილისში და დაერქმევა «თბილისის საკრედიტო საზოგადოებაო» — თუ კი დაარსდა, თავ-და-

პირველად მაინც ცილაობას ვერ გაგვიწევს: იმან უნდა გამოსცეს 5% ობლიგაციები, რომელნიც 70—75%% მეტად არ გაიყიდება. გარდა ამისა ამ ბანკს არც ძირეული კაპიტალი ექნება და არც სათადარიგო თანხა. პირველშივე დასაწყებლად მან ფულებიც უნდა ისესხოს. ამ ნაირად უალაგოა ის შიში, ვითომც თბილისის გუბერნიიდამ შემდეგში არ გვეყოლება მსესხებლები. სხვა რომ არა იყოს-რა ისიც კმარა ამ შიშის მისატოვებლად, რომ რამდენიმე ასი-ათასის მან. მთხოვნელნი ახლაც გვყვანან. მაშასადამე თბილისიდამ მსესხებლები გვეყოლება და ამისათვის საჭიროა იქ აგენტი.

კრებამ ხმის უმრავლესობით დაამტკიცა აგენტების ჯამაგირები. (პეტერბურღში — 600 მან. და თბილისში 1,800 მან.). დანარჩენი მუხლები ხარჯთა-აღრიცხვისა უდავიდარაბოდ დაამტკიცეს ისე, როგორც ზედ. კომიტეტისაგან იყო წარმოდგენილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის 2500 მან. რომლითაც წლევანდელი ხარჯთა-აღრიცხვა გარდამეტებს შარშანდელს (26,580 მან. 94 კაპ.) შუაზე გაიყოს და ნახევარი მოემატოს წლევანდელსა. მმართველობას, თუ მაინც დასჭირდება ფული იმ 2000 მანეთიდამ შეიძლება ხარჯოსო, რომელიც ზედამ. კომიტეტს ყოველ შემთხვევისათვისა აქვსო. წლევანდელ ხარჯთა-აღრიცხვის მომატება იმას მიეწერება, რომ გილდიის გადასახადმა აიწია და ბანკის მოქმედების გავრცელების გამო, კანცელარიის ხარჯმა მოიმატა.

## III

დაიწყეს საზოგადო საჭიროებათათვის გადადებულ ფულების (18,006 მან. 8 კაპ.) განაწილება.

ჩვენის აზრით ამ განაწილების გამო ატეხილი ბაასი იყო სარკე უტყუარად გამომხატველი ჩვენის საზოგადოების გონებითის და ზნეობითის მდგომარეობისა. ბევრს სანუგეშოს, გულის გამათბობელს დაინახავდით ამ სარკეში და მხოლოდ ერთს სამწუხარო მოვლენას შეამჩნევდით. ერთის მხრით მღვიერი წადილი, უგულითადესი და ერთობრივი სურვილი შვილთა აღზრდისა და განათლებისა, და მეორეს მხრით—ღრმა, თითქმის ამოუვსებელი ხევი უმეცრებისა, რომელიც მავნე, ჯადოსნურ ძალსავით ხელ-ფეხს უკრავს ჩვენს საზოგადო, საერო მოღვაწეობასა... «სკოლა და შვილების აღზრდა!» ეს იყო ერთად-ერთი დევიზი, მტკიცე, უძრავი ასოებით აღბეჭდილი საზოგადოების რვაასიოდე მეკენჭე წარმომადგენელთ გულის ფიცარზე... რაც სკოლებზე და მოსწავლეთათვის იყო გადადებული, მთელი კრება ერთ-ხმად ამტკიცებდა, და სიხარულით იძლეოდა თავის გულ-წრფელს და სანუგეშო დასტურს. მაგრამ რასაც არ ეხება პირ-და-პირ «სკოლას» ან «ღარიბ-მოსწავლეთა» დახმარება საზოგადოების უმრავლესობა მას გროშსაც არ აწევდა, „კარგია, მაგრამ ჯერ მაგისთვის არა გვცალიაო“ ამბობდა. ამ გვარად უარი ეთქვა ამ ხანად დახმარებისათვის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ აგრეთვე ბროსეს პრემიისათვის ზედამხ. კომიტეტისაგან გარდაწყვეტილ ფულზედაც უარი ეთქვა (5 წლის განმავლობაში ყოველ წელს ხუთასი მან.). უმეცრების გარდა ამ ორს სასარგებლო საქმისათვის დახმარების უარის თქმაზე გავლენა ჰქონდა აგრეთვე იმერულ სიფიცხეს, ფხიკიანობას, გურულებისა არ იყოს. როცა სიის კითხვის დროს მათ ყური მოჰკრეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, „ბროსეს პრემიას“ და ვერ გაიგეს რა საზოგადოებაა და რა არის „პრემია“, ვინაა „ბრო-

სე“ და უარი თქვეს მათდა ფულით დახმარებაზე—რამდენიმე პატივ-ცემულ პირთ ივისრეს საზოგადოებისათვის განემარტებინათ მათი მნიშვნელობა, მაგრამ აბეზარს მოსული კრება ყურს არ უგდებდა, ხმაურობდა. „არ გვინდაო!...“ მეტადრე თავი გამოიდო აკაკიმ ბროსეს პრემიისათვის და წარმოსთქვა ჩინებული, საგანგებოდ ჩვენი საზოგადოების ჭკუა-გონების ზომაზე მოთავსებული სიტყვა, (იხ. „დროება“ № 97), რომელმაც კინაღამ გასჭრა და თავისი გაიტანა. მისის მჭევრ-მეტყველურის ახსნითა და სასმურის ენით გატაცებულმა კრების უმრავლესობამ თანხმობა გამოაცხადა პრემიის დაფუძნებაზე. სამწუხაროდ თავის-მჯდომარემ ვერ იხელთა ეს წამი და რამდენიმე სუტ-განათლებულებმა კუდა-ბზიკურის—თავ-მოყვარეობის გამო დაიწყეს წინააღმდეგის მტკიცება. ამით უმეცრების ჭანგზე დაწყობილ სიტყვებმა გადააჭარბა აკაკისაგან დარწმუნებული უმრავლესობა და... პრემიის საქმემ წლევანდელს წელს უქმად ჩაიარა. თუმცა ეჭვი არ არის რომ, როგორც ამ პრემიას, ისე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ მერმის ესევე წევრნი მისცემენ მას, რაც წრეულს მათდა უნებლიეთად დააკლეს...

ამ ფულების განაწილების დროს ბ-ნმა ს. დ. ყიფიანმა შემოიტანა ჩინებული, ლამაზად განმარტებული წინადადება, რომ საქალებო გიმნაზიას იმ პირობით შეეწიოთო, რომ ქართულს ენას ჯეროვანი ყურადღება მიექციოს და მესაფერი ადგილი მიეცეს ამ გიმნაზიაშიო. თ. მამია გურიელმა ამას დაართო, რომ თუ კინიცობაა ეს პირობა კრებისა არ იქნება შეწყნარებული, ბანკი მაშინვე მოსპობს იმ ფულების მლევას, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ეძლეოდეს საქალებო გიმნაზიას, სიამოვნებითა და ერთ-ხმად მიიღო კრებამ ეს

წინადადებანი. ბ. კ. აბულაძემ წარმოსთქვა გონივრული სიტყვა, კრებისაგან რამდენჯერმე ტაშით მიღებული: იმან აღიარა მეცნიერებისაგან დამტკიცებული და ჩვენის ქვეყნის გარდა თითქმის ყოველგან სასნაანო ჭეშმარიტებად მიღებული ჭეშმარიტება, რომ ყოველივე და ყოველ-გვარი სწავლება, მხოლოდ მაშინ ასრულებს რიგიანად თავის დანიშნულებას, როცა ის სწარმოებს დედა-ენაზედ. ჩვენ ისიც გვეყოფა სავალალოდ, რომ სწავლება ჩვენში ამ გვარად, ე. ი. ბუნების კანონის თანახმად არ მიდის... ამ მდგომარეობაში დარჩენილნი იმედი მაინც ვეცადოთ, რომ ჩვენს დედა-ენას გიმნაზიებში (საქალებო და სავაჟოში) ისე ასწავლიდენ, როგორც სხვა ენებს და საგნებს, და ქართულის მასწავლებელსაც სხვა მასწავლებელთა თანაბარი უფლება ჰქონდეს მინიჭებული. ამ თხოვნით მმართებლობას ერთხელ კიდევ მიჰმართოს ჩვენმა თავად-აზნაურთა კრებამ და თუ მაინცა-და-მაინც საჭირო აღმოჩნდა, ქართულის ენის მასწავლებელს ჯამაგირი შეძლებისა-დაგვარად, ბანკმა მისცეს. ამ საქმეზე ზრუნვა კრებამ, თანახმად ა— მის წინადადებისა, ერთხმად მიანდო ზედამხედველ კომიტეტს. მაშ, მკითხველო, ახლა მაინც უნდა გვქონდეს იმედი, რომ ჩვენს გიმნაზიებში შესაფერი ადგილი მიეცემა დედა-ენას...

აქ მოვიყვანოთ ისიც, თუ როგორ გაანაწილეს საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული ფული წლეულს: სააზნაურო სკოლას — 8,000 მან. წმ. ნინოს საქალებო გიმნაზიას — 1,200 მან. (18 წლის განმავლობაში ყოველ წლობით აძლევენ), ორის სტიპენდიის (ბეს. ლოლობერიძის და დ. მთ. ოლგა [illegible] ასულის სახელობაზე) 1,000 მან. სტუდენტებს — 1000 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას — 1,000 მან. სააზნაურო სკოლის ღარიბებს — 500 მან. კონცერტებს (ადრინ-

დელ სამხედრო შაგირდებს აწ ქუთ. სავაჟო გიმნაზიაში მოსწავლეთ) 350, ქუთაისის გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხ. საზოგადოებას 300 სულ 13,350 მან. დანარჩენი 4,656 და 8 კ. მიემატა საზოგადო საჭიროებათა თანხას.

IV

ხუთი სხდომა მოუნდა იმას, რაც აქამდის შესრულდა. მეექვსე სხდომაზე გადასწყვიტეს 18 პარაგრაფის შეცვლა ბანკის წესდებიდამ. ამ შეცვლით არავითარი ძირითადი ან საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა; და ამის გამო არავითარი ბაასი ამაზედ კრებაში არა ყოფილა. მაგრამ რამდენადაც ამ ცვლილების დროს იყო სიჩუმე და თანხმობა, იმდენი ყაყანი და უთანხმოება გამოიწვია ზედამხედველის კომიტეტის უმრავლესობისაგან წარმოდგენილმა აზრმა, რომ ბანკის გამგეობისა და დამფ. კომისიის წევრთ მოსპობოდათ ბანკის მოგებიდამ $^{0}/_{0}{}^{0}/_{0}$ ძლევა, ე. ი. შეცვლილიყო 94 §-ის მეხუთე და მეექვსე პუნქტი. ნ. ყიფიანი და აკაკი იცავენ ამ აზრს, პირველი როგორც წევრი ზედამხედველ. კომიტეტისა (იხილე «დროება» № 100) და კრება თითქმის უმრავლესობით ეთანხმება მათ. თავს-მჯდომარე აცხადებს, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა კენჭის-უყრელად არ შეიძლებაო. ერთ წილს კრებისას კი ჰსურს რომ უკენჭოდ გადასწყდეს. თავს-მჯდომარე არ დათანხმდა, ატყდა შფოთი და გაიმართა მუქარა კრებაში, ასე რომ თ—შვილი იძულებული იყო კრება შეეწყვიტა მეორე დღემდის. მეორე დღეს უყარეს კენჭი ზემოხსენებულს საგანს, ე. ი. 94 §-ის მეხუთე და მეექვსე პუნქტის შეცვლას და ამოვიდა

426 კენჭი შეცვლის წინააღმდეგი და 464 მომხრე. მოხსე-
ნებული პარაგრაფი შეუცვლელი დარჩა, რადგანაც დამსწრეთა
$^2/_3$-ის აზრი იყო საჭირო მის შესაცვლელად.

ჯერი მიდგა გამგეობის თავს-მჯდომარის ამორჩევაზედ.
უწინდელი თავს-მჯდომარე ნ. ღოღობერიძე ჰყრილობს კენჭს.
მისი მოწინააღმდეგენი ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ მის
„გასაშავებლად" და ამიტომაც წამოაყენეს მთელი რაზმი მეტ-
ნაკლებად ცნობილ პირებისა: დ. თ. ბაქრაძე, ნ. ტ. დადიანი,
კირილე ლორთქიფანიძე და დიმ. დადიანი. დიდი აყალ-მაყა-
ლი გამოიწვია მართლაც ყველასაგან პატივ-ცემულის და დარ-
ბაისელის პირის—ნ. ტ. დადიანის კანდიდატად წამოყენებამ.
ამ კაცს ბევრი პატივის-მცემელი და ნათესავები ჰყვანდა ღო-
ღობერიძის დასში, რომელნიც აცხადებენ, რომ ნ. ტ. დადია-
ნი ახლა თბილისშია; ამით ისარგებლეს ღ—ძის მტრებმა და
მოატყუეს იგი, ვითომც მთელ საზოგადოებას სურდეს მისი
კანდიდატობა და გამოსტყუეს თანხმობა კენჭის ყრაზედ.
ნამდვილი განზრახვა ამ ვაჟ-ბატონებისა ის არის, რომ ღ—
ძეს კენჭები გადაჰბირონ, გააშავონ ნ. დ—ის საშუალებით
და თავს-მჯდომარედ ერთ-ერთი სხვა კანდიდატთაგანი გაიყვა-
ნონ. უფრო სიცხარით ესარჩლება ამ აზრს ნ. დადიანის
ნათესავი თ. მერაბ ლორთქიფანიძე, რომელსაც ნ. დადიანი-
სადმი მტრობას ანუ უცნობლობას ვერვინ დასწამებს, ამაოდ
დარჩა გაცხარებული პროტესტი ამ პირთა და დადიანსაც უყა-
რეს კენჭი და თუმცა სხვა სამ კანდიდატებსავით არა, მაგრამ
მაინც გააშავეს.

როგორც „დროებიდამ" ქმნება მკითხველს გაგებული,
ამორჩეულ იქმნა დიდის უმრავლესობით (711 წინააღმდეგ
400-სა) ნ. ღოღობერიძე, რომლის არჩევით მისი ამომრჩე-

ველნი ხელმძღვანელობდენ ამ წერილის I თავში მოხსენებულ აზრით...

ზედამხედველის კომიტეტიდამ გამოვიდა სამი წევრი: დ. ჩ. აბდუშელიშვილი, კირ. და ანტონ ლორთქიფანიძენი. უკანასკნელს სთხოვეს დარჩენილიყო, მაგრამ თბილისში სამსახურის გამო (რეჟისორობა ქართ. ტრუპისა) ვერ შესძლო დათანხმება. ამ გამოსულთ მაგიერ აირჩიეს: მიხ. ბეჟიძე, მიხ. დარახველიძე და ივ. მესხი — სამნივე ღირსეულნი პირნი და ღირსეულად არჩეულნი საპატიო თანამდებობაზე... მერმისამდის, მკითხველო!

ქუთაისი.

## უმეცრების ამაყობა.

(ვუძღვნი სახალხო მასწავლებლებს.)

(დასასრული *).

გადაღმიელის წერილი გამოდგა ისეთი უგემური მაზნა, თვითონ ის აღმოჩნდა ისეთი მოსაწყენი და უინტერესო მობაასე, რომ პასუხის გაგრძელება ჩვენის მხრივ უსიამოვნო ტვირთად შეიქნა. მაგრამ აღთქმა წამოგვცდა, სიტყვა დავსდეთ და მეტი გზა არ არის ეს უსიამოვნო მოვალეობა უნდა შევასრულოთ. ვეცდებით კი, რომ საუბარი ძალიან მოკლედ მოვსჭრათ.

„ღმერთმა შენს მტერს ნუ მოაკლოს იმისთანა არეულ-დარეული და აფუშულ-დაფუშული სიმდიდრე, როგორიც არის დედა-ენის პირველ-საკითხავი წიგნით“ მამაცურად ისვრის ბ. გადაღმიელი. ამაზედ თავ-აღებული გაკიცხვა ძნელადღა შეიძლება, განა? ამისთანა გაკიცხვის წარმომთქმელს მთელი დასაბუთებისა უნდა ჰქონდეს ხელში და მწკრივად წარუდგინოს მკითხველს მის გასამართლებლად, განა? მაგრამ გადაღმიელს ეს არ ესმის. მას ჰგონია, რომ კაცს მარტო სურვილი უნდა ჰქონდეს ცუდის თქმისა და საბუთები სრულიადაც არ არის

---

*) «ივერია» № 6, 1884 წ.

საჭირო. ამიტომ თავის მამაცურს მსჯელობას ერთის ფაქ-ტით, ერთის მაგალითით, კენტის სიტყვითაც არ ამართლებს,— მისის წამოსროლის უმალვე სტოვებს მათ და მიდრიგინებს ქვევით.

მაგრამ, თუ საბუთები არ აბადია გადაღმიელსა, მიზეზი კი აქვს გაკილვისა დ მალიან შესაწუნარებელიც. დიდი ხანია შენიშ-ნულია, რომ ყოველ კაცსა, მეტადრე რეგვენსა დ უმეცარს, მიდ-რეკილება აქვს თავისი მზგავსებელი ეძებნოს სხვაში, თავისი სენი დასწამოს სხვასა, თავის ალაბით ზომოს ყველა და ყვე-ლაფერი. თუ კაცს სიყვითლე სჭირს თვალებისა, ყველაფერი ყვითლად ეჩვენება, თუ თავის სიცალიერე, სივუქსავატე სენად შეჭყრია, ან დაბადებით დაჭყოლია, ყოველ წამს ენაზედ სისუ-ლელე ადგია, თუ მისი ტვინი აქოთებულს უჯრას წარმოად-გენს, არეულობას ხედავს იქაც, სადაც სრული წესიერება არ-სებობს. გადაღმიელის გაკილვა ცხადად ამტკიცებს, რომ მის გონებას სიზმრადაც არ მოსჩვენებია დალაგებულობა აზრები-სა, მათი წესიერება. გაკილვას იგი იწყობს მთელის წიგნის გაკიცხვით, მერე საკითხავ წიგნს თავს ანებებს, ანბანს გამოჭ-კიდებია, შემდეგ ისევ პირველ-საკითხავს წიგნს უბრუნდება, მაგრამ მას ისევ მალე სტოვებს და ანბანის გაკიცხვას ხელ-ახლად შეუდგება; ბოლოს პირველ-საკითხავს წიგნს აუხირდე-ბა, მაგრამ ნახევარ გაკილვამდის რომ მიდის, ავიწყდება, რომ პირველ-საკითხავ წიგნზედ ლაპარაკობს და არა ანბანზედ, სწყვეტავს სიტყვას, ახალს სათაურს უკეთებს თავის წერილს და ამბობს: ახლა პირველ-საკითხავ წიგნზედ ვილაპარაკოთო. ერთის სიტყვით, გადაღმიელის გაკილვა არის ნამდვილი ბრან-ძების არევ-დარეულობა, და ამისთანა დალაგებულ ტვინის პატ-რონი მოდი და დასძრახე, რომ დედა-ენა ეჩვენა არეულ-და-

რეულ სიმდიდრედ. დაძრახვა ამ შემთხვევაში ისეთივე უსამართლობა იქნება, როგორიც მოსდის კაცსა, როდესაც იგი ჰკიცხავს თვალების სიყვითლით ავად-მყოფს, ყვითლად რად გეჩვენება ყველა საგანიო.

ჩვენს პირველ-საკითხავს წიგნში ისეთი აშკარა წესი არსებობს, რომ კაცი ორივ თვალით და მთელის გონებით უსინათლო უნდა იყოს, რომ ეს წესი ვერ შენიშნოს. წიგნს შეადგენს ოც-და-ოთხი რიცხვი ვარჯიშობათა. ყოველი რიგი ერთისა და იმავე წესზეა დალაგებული: რიგი იწყება ზღაპრით, რომელსაც მისდევენ პატარ-პატარა იგავ-არაკნი, ლექსები, საბავშო მოთხრობანი, შემდეგ არის დაბეჭდილი სასაუბრო, მის შემდეგ ანდაზები, გამოცანები, საწერი და ენა-გასატეხი გამოთქმანი. ყველა სასაუბროს, ანდაზებს, გამოცანებსა და საწერებს შუა არსებობს სრული, პირ-და-პირი კავშირი; ამ გვარისავე კავშირით არიან შეკრულნი სასაუბრონი და უმეტესი ნაწილი სტატიებისა, რომელნიც სასაუბროებს წინ უძღვიან...

შეიძლება კაცმა წუნი გამოადევნოს ამ რიგსა და წესსა, შეიძლება მოსწონდეს სხვა გვარი დალაგებულება შინაარსისა, სხვა ნაირი პლანი მიაჩნდეს უკეთესად, მაგრამ უპლანობას, უწესოებას, არეულ-დარეულობას მხოლოდ ის დასწამებს დედა-ენას, რომელსაც სურს თავისი საკუთარი საგანი, თავისი გონების ჭირი მასაც შეჰყაროს მკითხველების თვალში. სადამდის მიდის გადაღმიელის სურვილი ცუდის თქმისა დედა-ენაზედ, სჩანს იქიდგან, რომ იგი ცოცხალ-ტყუილის თქმას არ ერიდება და ამბობს: სასაუბრონი ხან თავში არიან მოქცეულნი, ხან შუაში და ხან ბოლოშიო. მან კარგად იცის, რომ ეს ტყუილია, სიცრუეა; აშკარად ჰხედავს, რომ სასაუბროს ყველა სავარჯიშოთა რიგში ერთი და იგივე ადგილი უჭირავს, მის-

დევს საკითხავ სტატიებსა და წინ უძღვის ანდაზებსა, გამოცანებსა და ლექსწერსა; მაგრამ რა ჰქნას, რომ ტყუილის იქით გზა აღარ გაახსნია; სიმართლის ბოლო თავის მსჯელობისათვის მას არ აბადია და უნდა სიცრუის ხსირი მაინც მისცეს ქვევიდგან, რომ ცოტას ძნობით მაინც მოატყუოს ზოგიერთა დანდობილი მკითხველი; თვითონ შინაარსის გაკილვას წიგნისას გადამთიელი სასაუბროებიდგან იწყობს: აქ ის ორს ნაკლულევანებასა ჰხედავს; მეორე ადგილი, რომელიც სასაუბროებს უჭირავთ წიგნში, შეუსაბამოდ მიაჩნია და შინაარსის მხრივ მათ სთვლის მეტად რთულად და ძნელად. პირველი მსჯელობა მტკნარის უმეცრების ნაყოფია, მეორე მოუაზრებლობისა, გაუგებრობისა.

რაში მდგომარეობს უმთავრესი დანიშნულება პირველსაკითხავის წიგნისა? იმაში, რომ ბავშვს მეტყველი, კაფიო და გონიერი კითხვა ასწავლოს. რას უნდა უჭიროს პირველი და ფართო ადგილი ამ გვარს წიგნში? რასაკვირველია, საკითხავ სტატიებსა. ეს უბრალო აქსიომაა, რომელიც ყოველის ეჭვის გარეშე ითვლება. მაგრამ გადამთიელი სრულიად სხვა ნაირად ჰფიქრობს: იმის აზრით საკითხავ წიგნში საქმე სასაუბროებია და არა სტატიები, უმთავრესი ყურადღება პირველებზედ უნდა იყოს მიქცეული, პირველი და ფართო ადგილი მათ უნდა ჰქონდეთ დათმობილი. „საყმაწვილო წიგნში ჯერ პირველად სასაუბრონი საჭირო, ბძანებს გადამთიელი, მერე კი ამაზედ დამოკიდებული სტატიები.“ „უფალი გოგებაშვილი კი ამ პედაგოგიის უმთავრესს მოთხოვნილებას ეწინააღმდეგება. რისთვის? ვინ იცის, უფ. გოგებაშვილის მეტმა.“ იცის ყველამ, დიდმა და პატარამ, ერგვენმა და განათლებულმა, ქალმა და კაცმა, მხოლოდ გადამთიელს არა სცოდნია ეს უბრალო ჭეშ-

მარიტება, ყველასათვის აშკარა აქსიომა; მხოლოდ ის ვერ მიმხვდარა აქამდის, რომ სასაუბრონი წიგნის ორგანიულს ნაწილს არ შეადგენენ და შეიძლება სრულიადაც არ იყვნენ და არც არიან ბევრს პირველ-საკითხავ წიგნში. ჩვენც თვითონ მათ წიგნში არ მოვაქცევდით და სამასწავლებლო წიგნისათვის გადავდებდით, თუ რომ ჩვენის დედა-ენის ბედი მტკიცე კალაპოტში მიმდინარეობდეს, თუ რომ ყველა და ყველაფერი არა ცდილობდეს ფართო გზის მაგიერად ვიწრო ბილიკზედ ატაროს იგი და სასწავლებლებში მისი მნიშვნელობა უკანასკნელს სიმცირემდის მიიყვანოს. ყველა სხვა ქვეყნებში საუბარნი საგნებზედ (предметные уроки) მიუცილებელს საჭიროებად მიაჩნიათ, ყველგან მჭიდროდ დაკავშირებული აქვთ წერა-კითხვასთან და ყველგან შეადგენენ მიუცილებელს ნაწილს ღვიძლის ენის სწავლებისას. ჩვენში კი დედა-ენის გამოცემამდის ქართული სკოლა წერა-კითხვის გარდა საჭიროდ არასოდეს სთვლიდა, მოკლებული იყო საგნურს, რეალურს ელემენტსა და სხვა ვარჯიშობათა, და აქამომდისაც მოკლებული იქნებოდა, თუ თვითონ საკითხავ წიგნში არ ჩაგვერთო სასაუბრონი. ამ ჩართვით ჩვენ იძულებული გავხადეთ ყველა მასწავლებელი წერა-კითხვასთან შეეერთებინა საგნების შესწავლა და პროგრამმა ქართულის ენისა გაეფართოებინა ჯეროვან საზღვრამდე. მთელს საქართველოში ახლა ვერ მოსძებნით ვერც ერთს ქართულს სასწავლებელს, სადაც ღვიძლს ენას უწინდელი, ვიწრო პროგრამმით ასწავლიდენ. მხოლოდ ამ განსაკუთრებითმა გარემოებამ, ჩვენის ენის სწავლების არა ნორმალურმა მდგომარეობამ, იძულებული გაგვხადა შიგ საკითხავ წიგნში მოგვექცია სასაუბრონი. თუ ეს მიზეზი არა, ჩვენ წიგნიდგან ან სრულიად გამოვაკლებდით სასაუბროებსა, ან ბევრად შევამოკლებდით

მცოდნე პირნი იმას კი არ გვისაყვედურებდენ, სასაუბროები უკან რად ჩამოაყენეთ და მეორე ადგილი მიეცით წიგნშიო; ესინი შესაძლებელად ჰხედავდენ, სრულიადაც გამოგვეტოვებინა წიგნიდგან. თეორიით მათ თითქმის ვეთანხმებით, მაგრამ, როცა ჩვენის ენის მდგომარეობას ვხედავთ, ვრწმუნდებით, რომ პრაქტიკულად მოვიქეცით და სასაუბროების ჩართვით სრულად მოვეწიენით ჩვენს წადილსა — ჯეროვანი სიფართოვე მივეცით ქართულის ენის სწავლებასა. მანამ ამ საგნისბედი არ შეიცვლება, მანამ მისი შევიწროება უმთავრეს წადილად ექნებათ გავლენიან პირებსა, მანამ მას არ მიენიჭება კანონით და ფაქტიურად ფართო და მტკიცე უფლებანი, იმ დრომდის იმისთანა ხერხები, როგორც სასაუბროების ჩართვა შიგ საკითხავ წიგნში, საჭიროც იქნება და სასარგებლოცა.

გადაღმიელის დაწუნება იმისა, რომ სასაუბროებს პირველი ადგილი არ უჭირავთ დედა-ენაშიაო, ემსგავსება სწორედ იმას, რომ ვინმე უკმაყოფილობა გამოაცხადოს, ადამიანის სხეულში პირველი ადგილი თავს რად უჭირავს და არა ფეხებსაო.

ვერც იმაში დავეთანხმებით გადაღმიელსა, ვითომც სასაუბრონი იყვნენ რთულნი და ბევრს დროს ითხოვდენ შესასწავლად. პირველი ნახევარი ყოველის სასაუბროსი შესდგება მარტივის კითხვებიდგან, რომელთაც აზრად აქვთ ბავშვის ნაცნობ საგნების კლასიფიკაცია, რიგ-რიგად დაწყობა. მეორე ნახევარი სასაუბროსი შეაჩერებს ბავშვის გონებას საგნების ნაწილებზედ, გაარკვევინებს მათ და ბოლოს შეადარებინებს მსგავს საგნებსა. ბავშმა, რასაკვირველია, უნდა დაასახელოს მხოლოდ უმთავრესი, მსხვილი ნაწილები საგნისა და წვრილმან ნაწილებს კი თავი დაანებოს; შედარების დროსაც უნდა

უჩვენოს მხოლოდ სამიოდე მზგავსება და განსხვავება საგნე-
ბისა. რაც უნდა მარტივი იყოს საუბარი, მან ბავშვს სამის
მხრით უთუოდ უნდა გააცნოს საგანი: რომელ რიგს საგნები-
სას ეკუთვნის, რა ნაწილებიდგან შესდგება, რითი ჰგავს თა-
ვის გვარს საგნებსა და რითი განსხვავდება მათგან. ამაზედ
ვიწრო და მოკლე პროგრამა სასაუბროებისათვის შეუძლებელია.
სასაუბრო ან სრულად არ უნდა იყოს მოქცეული წიგნში, ან
ზემოხსენებულს სამს მხარეს საგნისას უნდა შეეხებოდეს. ჩვე-
ნი სასაუბრონი მხოლოდ ამ სამის მხრივ სინჯვენ საგნებს
და ამიტომ უნდა ჩაითვალოს მარტივად და არა რთულად.

გადამღიელის აზრი, ვითომც ხუთი საათი უნდა მოან-
დომოს მასწავლებელმა ყველა საუბარსა, ყოვლად უსაფუძვლოა.
საშუალო რიცხვით რომ ვსთქვათ, ორი საათი კვირაში საკმა-
რისია თვითოეულ სასაუბროს შესწავლისათვის: საგნების კლა-
სიფიკაციას და მათ ნაწილების გარკვევას მოანდომებს ერთ
საათსა, საგნების შედარებას მეორე საათსა. ოც-და-ოთხი სა-
საუბრო სულ წელიწადში მოინდომებს ორმოც-და-რვა საათსა.
წელიწადში ოც-და-ათს კვირას მაინც არის სწავლა სასოფლო
სკოლებში; ქართული ენა უნდა ისწავლებოდეს და კიდეც ის
წავლება ყოველ-დღე; მაშასადამე ქართულს ენას წელიწადში
მოსდის 180 საათი; ამას რომ სასაუბროთათვის ორმოც-და-
რვა საათი გამოვაკლოთ სტატიების საკითხავად, ანდაზების
და გამოცანების ასახსნელად და საწერების შესასრულებლად
რჩება 132 საათი და ეს დრო სრულად საკმარისია თავის და-
ნიშნულების ასასრულებლად. თუ რომელსამე მძიმე მასწავლე-
ბელს გაუძნელდება თითო სასაუბროს შესწავლა ორის საათის
მოხმარებით კვირაში, მას ადვილად შეუძლიან შეამოკლოს
ყოველი სასაუბრო: მაგალითად: ექვსი-შვიდი წყვილის საგნების

შედარების მაგივრად, ორი-სამი წყვილის შედარება აკმაროს რთული და ვრცელი რამიდგან, ამბობს რუსის პედაგოგი ვოდავოზოვი, ყველა მასწავლებელს შეუძლიან მარტივი და მოკლე რამე გამოიყვანოს; მაგრამ მოკლეს გავრცელებას, მარტივის ქცევას რთულად მხოლოდ კარგად მომზადებული და გვარიანად გახსნილი მასწავლებელი შესძლებს. ამიტომ სივრცე და რთულობა სასაუბროებისა ნაკლულევანებად არ უნდა ჩაითვალოს მეტადრე ჩვენში, სადაც მომზადებულნი და განვითარებულნი მასწავლებელნი ნაკლებად არიან; ამ გვარი სასაუბრო მარჯვე მასწავლებელს აძლევს ღონისძიებას ბავშვებს ცოდნა ბლომად შესძინოს და მოუმზადებელს მასწავლებელს არასფერს დაუშლის, რადგანაც რთულის შინაარსიდგან იმდენს ამოიღებს, რამდენსაც დაძლევა შეუძლიან თავის მოწაფეებით.

სივრცის გარდა სასაუბროებს წუნსა სდებს გადამჭრელი სხვა მხრითაც. მას ზოგიერთა კითხვები ისე ძნელად მიაჩნია, რომ მამაცურად ამბობს: „ამათი სერიოზად გაგებინება არა თუ ჩვენს დაუმზადებელს ოსტატებს არ შეუძლიანთ, არამედ თვით ჩვენს სახელოვანს პედაგოგს გოგებაშვილსაცაო“. რა კითხვების წინაშე გაშტერებულა ასე უძლურად გონება ჩვენის მკილავისა! აი ეს კითხვები: როგორა ჩნდება ბალახი? რომელი ბალახი იხმარება წამლად? რომელი ბალახია შხამიანი? რომელმა ჯარნახულმა უფრო დიდი გამოსავალი იცის? სადაც ბევრი ხეები სდგას, იმ ადგილს რა ჰქვიან? როდის იციან ხეხილებმა აყვავება? ტყუილად კი არ არის ნათქვამი: მრქენავს ძროხას ღმერთი რქებს როდი მისცემსო; გადამჭრელს უნდა, სულ-წასულობით სურს, რომ გამოძებნოს ძნელი კითხვები, მაგრამ, დახე ხიფათსა, მაგალითად მოჰყავს იმისთანა მარტივ-

ნი და ადგილნი, რომელზედაც ბავშვები მასწავლებლის დაუხმა-რებლივაც მისცემენ პასუხსა. განა რვა-ცხრა წლის სოფლის ბავ-შვმა არ იცის, რომ ბალახი ჩნდება, ამოდის ან მიწაში ჩაფლულის თესლიდგან ან ძველის ფესვებზედ ამოხეთქავს ხოლმე? განა სოფლად ბევრი ბავში მოიძებნება რომელსაც ხველების დროს ძირტკბილა არ ეხმაროს წამლად, ვარდკაჭაჭის წვენი არ დაე-ლიოს, გაციების დროს პიტნის და აბზინდის ჩაი არ ესვას და არ იცოდეს, რომ ხაშხაში ძილის წამალია? თვითონ ბავ-შვებს შეუძლიან მასწავლებლის კითხვაზედ ხუთიოდ ექვსი სამკურნალო ბალახი დაასახელონ, და თუ მასწავლებელი თა-ვის მხრივ ორიოდ-სამს სამკურნალო ბალახს დაუმატებს, სრულიად საკმარისი იქნება. მაგრამ გადამღებს, როგორც ეტყო-ბა, სრულიად არ ესმის ამ გვარ კითხვების მნიშვნელობა და ჰგონია, რომ კითხვა — რომელი ბალახი იხმარება წამლად — ბავშვებისაგან ითხოვს ყველა სამკურნალო ბალახების ჩამოთ-ვლასა და ამიტომ ღაღადებს: ჯალინოზ ექიმსაც არ შეეძლო ამ კითხვებზედ პასუხის გება და გოგებაშვილი პატარა ბავშვებს ვალად სდებს ჯეროვანი პასუხი გასცენო. ამ გვარს გაუგებ-რობაზედ ბრძენები ამბობენ, რომ მისი განკურნა ღმერთებსაც არ შეუძლიანთო.

ესეთივე გაუგებრობა ამოიჩინა სხვა კითხვების შესახე-ბაც. საქართველოს ყველა კუთხეს თავისი შხამიანი ბალახება აქვს და ესენი სოფლის ბავშვს კიდეც უნახავს, კიდეც გაუ-სინჯნია, ზოგს იქნება მათი მოქმედებაც გამოუცდია თავის თავზედ და საზოგადოდ გაცნობილი აქვს ცოტად თუ ბევ-რად; მათი დასახელება მისთვის არც საძნელოა, არც გასაჭირი. რაც შეეხება მეოთხე კითხვას, ოთხი-ხუთის წლის ბავშვმაც კარგად იცის, რომ სიმინდი ისხამს რამდენსამე ტაროსა და

ამიტომ უფრო დიდი გამოსავალი იცის, მანამ პურმა, ფეტვმა და სხვა საპურე მცენარეებმა, და როგორ უნდა გაუჭირდეს რვა-ცხრა წლის ბავშვსა ამ კითხვაზედ პასუხის გება? ყველაზედ სასაცილო ის გახლავთ, რომ მეხუთე კითხვაც, უმარტივესი და უადვილესი, გადამთიელს ძნელად მოსჩვენებია. სხვა-და-სხვა ხეების ჩამოთვლის შემდეგ, მასწავლებელი ჰკითხავს ბავშვსა: სადაც ბევრი ხეები სდგას, იმ ადგილს რა ჰქვიან? არა მგონია, რომ სკოლის მოწაფეებში ისეთი მიუხდომელი და მოუაზრებელი ბავშვი ერიოს, რომ ცოტაოდენის დაფიქრების შემდეგ არ უპასუხოს: იმ ადგილს, სადაც ბევრი ხეებია ამოსული, ჰქვიან ტყე. გადამთიელის აზრით კი ეს კითხვა ისეთი ძნელი რამ არის, რომ არც მე და არც სოფლის მასწავლებლებს მასზედ პასუხის გება არ შეგვიძლიან. ჩვენ გვსურდა ცოტაოდენი ნუგეში გვეცა გადამთიელისათვის, გაგვეხარებინა და გვეთქვა, რომ უკანასკნელი კითხვა — როდის იციან ხესილებმა აყვავება? — ძნელია, მაგრამ მის აშკარა სიადვილემ წადილი შეგვიშალა. მართლაც ნუ თუ რვა-ცხრა წლის ბავშვს გაუძნელდება კითხვაზედ აგოს ეს პასუხი: როცა თოვლი დადნება და სითბო დადგება, ხეხილი მაშინ აყვავდება ხოლმე? არა გვგონია, რომ გადამთიელის მეტმა ეს პასუხი გასაჭირად ჩასთვალოს ვინმე სკოლის მოწაფეებისათვის. ამის შემდეგ მკითხველს შეუძლიან გაზომოს სივრცე იმ უმეცრებისა და გაუგებრობისა, რომელსაც გადამთიელი იჩენს შემდეგს სიტყვებში: დედა-ენის შემადგენელი ისეთს კითხვებსა სწერს სასაუბროში, რომ მთელი თავისი სიცოცხლე რომ ამას მოანდომოს შეგირდმა, მაინც ვერ გაიგებს."

ჩვენ მაინც-და-მაინც არ გვინდა ვსთქვათ, რომ დედა-ენაში ყველა კითხვა სასაუბროსი ადვილი საპასუხოა ბავშვე-

ბისათვის. შეიძლება ზოგიერთნი მართლა ძნელნიც იყვნენ და მასწავლებლისაგან მოითხოვდნენ ან გამოტოვებას, ან განმარტებას, მაგრამ ამ გვარი კითხვები გადაღმიელს ვერ უპოვნია, თუმცა მათ ძებნაში, როგორც ეტყობა, არა ერთი სტაქანი ოფლი დაუღვრია. სასაუბროების შემდეგ გადაღმელი ზოგიერთა სტატიებს აწყობს შინაარსის მხრით და არც მათი დალაგება მოსწონს.

ჩვენი პირველი საკითხავი წიგნი იწყება სახალხო ლექსით: „მოდი ვნახოთ ვენახი". თვითონ ლექსისათვის ულმობელს გადაღმიელს წყალობის თვალით შეუხედნია, მთლად უსარგებლოდ არა სთვლის მას, მაგრამ ამაზედ კი წყრება, პირველი ადგილი რად მიეცით ამ ლექსს საკითხავ წიგნშიო,— უკეთესი იქნებოდა ჩართულიყო იქ, სადაც ცხოველებზედ არის საუბარიო". საბუთს ელით, მაგრამ მოლოდინი არა სრულდება: საბუთები გადაღმელს საჭიროდ არ მიაჩნია და მათის მოსაზრებით თავს არ შეიწუხებს. თუ მკითხველს წაუკითხნია ეს ლექსი, დამეთანხმება, რომ იგი თითქო სწორედ პირველის წიგნის დასაწყისისათვის შეუთხზავს ჩვენს ხალხს. ეს ლექსი მარტივია, უკანასკნელ ხარისხამდე: ყოველი მუხლი მეტად მოკლეა, შესდგება მხოლოდ სამის სიტყვისაგან, ნიშნავს მთავარ წინადადებასა და სრულს აზრსა ხატავს, ასე რომ აზრის გასაგებად ბავშვისათვის საჭირო არ არის შემდეგის მუხლის ამოკითხვას დაუცადოს. ლექსი ცოტა გრძელია, მაგრამ ერთი და იგივე სიტყვების გადაბ-გადმობმით არის შემდგარი. პირველ ოთხ მუხლიან ხანაში ბავშვი შეხვდება მხოლოდ ექვს სხვა-და-სხვა სიტყვასა; ყველა შემდეგი ხანები ამავე სიტყვებიდგან არის შემდგარი მხოლოდ თითო-თითო სიტყვის მომატებით. ამიტომ საკითხავად მეტად ადვილია ბავშვებისა

თვის, ისე ადვილია, რომ მათ თვითონვე უკვირთ (ჩვენ ამას გამოცდილებით ვამბობთ), თუ როგორ კითხულობენ ასე ადვილად პირველსავე დასაწყისში, და ძალიან ხალისით ეძლევათ. რაც შეეხება შინაარსს, ლექსში იხატება საგნების და ცხოველების ერთმანერთზედ დამოკიდებულება იმისთანა მარტივის მახვილობით, რომ ბავშვი სრულს აღტაცებაში მოდის. ამას დაუმატეთ მარტივი საბავშო ჰანგი, რომელზედაც იმღერება ეს ლექსი და თქვენ ადვილად მიხვდებით, რა ძვირფასი რამ არის ეს ჩვენის ხალხის ნაწარმოები წიგნის დასაწყისისათვის. ამ ლექსის პირველმა გაცნობამ სიპატარავის დროს ისეთი ღრმა სიხარული დაჰბადა ჩემში, რომ ამ ჟამის ყველა გარემოება მტკიცედ ჩამრჩა აქამდის გონებაში. შვიდის წლისა ვიქნებოდი, როდესაც მე ეს ლექსი პირველად გავიგონე ერთის მოხუცისაგან, ღვთის მშობლის დღესასწაულის ჟამსა, სადაც იგი უცხო-სოფლიდგან სალოცავად იყო მოსული. რავდენიმე წამისშემდეგ მთელი ლექსიც ზეპირად ვიცოდი და თვითონ ჰანგიც, რომელზედაც ეს ბერი-კაცი მღეროდა ამ ლექსსა. ამ ლექსის გაცნობა ჩემთვის შეიქნა ნამდვილ დღესასწაულად, რომელმაც დიდ ხანს გასტანა. გადაღმიელი რომ ცოტათი მაინც ჩაჰკვირვებოდა ამ ლექსის სიადვილეს, სამაგალითო სიმარტივეს და მიმზიდველობას ბავშვებისათვის, არას დროს არ იტყოდა, რომ იგი წიგნის შუა წელში უნდა იქმნას გადატანილიო. პირველის ლექსის შემდეგ გადაღმიელი უარ-ჰყოფს ყველა პირველ-წიგნს პაწაწინა მოთხრობებსა და ლექსებსა, ერთის გარდა, და გულადად ამბობს: «გარდა ლექსისა «მოსიყვარულე ამხანაგი» სულ ყველანი უნდა ჩავაბაროთ წერა-კითხვის საზოგადოების არხივსა.» რა საბუთით? ჩვენის მგონავის აზრით ამ სტატიებში ისმის ტენდენციური ქადაგება, რომლითაც ჩვენ

გვსურს შევაყვაროთ ბავშვს სწავლა. მაგრამ აქაც იგი მოტყუებულია, უფრო, ვგონებთ, ნებით, ვიდრე უნებლიედ. განა სენტენციური ქადაგება ისმის პატარა ქალის შემდეგს ნატვრაში: „ნეტავი რამდმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია; ბულბულის ენა მასწავლა, ამ ბაღებს შემამაჩვია." ამ გვარს სტატიებს გადამთიელი სენტენციურად სთვლის იმის გამო, რომ მათში სწავლა იხსენება. ვაყო, თუ ყველა სტატიას, სადაც სწავლა არის ნახსენები, სენტენციურად ჩავთვლით, მაშინ მტერი გალარიბდეს ისე, როგორც კაცობრიობა გალარიბდება უსენტენციო სტატიებითა: ას სტატიაში სამი არ ამოჩნდება უსენტენციო. მართალია, სწავლას თითქმის ყველა პირველის რიგის სტატიები შეეხებიან, მაგრამ მხოლოდ ორ სახალხო ლექსში: „ყაყაჩო და ყმაწვილი" და «პეპლითობა» ისმის სენტენცია, ისიც პოეტურად გამოთქმული, სალი და მიმზიდველი ბავშვის გონებისათვის, და ამ გვარს სენტენციას არც ერთი გონიერი კაცი არც ერთი პედაგოგი ნაკლულევანებად არ ჩასთვლის. ჩვენ განძრახ მოვძებნეთ სტატიები, რომლებშიაც სწავლა იხსენება, რადგანაც გვსურდა დაგვეხავშირებინა ერთმანერთთან ყოველი ვარჯიშობანი პირველის რიგისა, რომელშიაც სასაუბროს საგნად აქვს სასწავლო ნივთები და ანდაზა-გამოცანები. აგრეთვე შეეხებიან სწავლასა, იქნება მოთხრობანი და ლექსნი ყველა ჩინებულნი არ იყვნენ, მაგრამ თავისი ღირსება კი მათ უეჭველად აქვთ: არიან პაწაწკინანი, ორ სტრიქონიანნი, რაც ბავშვს კითხვას ძალიან უადვილებს პირველ ხანებში, აზრს არც ერთი არ არის მოკლებული და მიმზიდველი ძალაც აქვთ, რაშიაც ჩვენ დავრწმუნდით სკოლებში თვალ-ყურის დევნით. მართალია, გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ბავშვებს უძნელდებათ თვითონვე, მასწავლებლის შეუწევნელად გაიგონ აზრი ორის სტა-

ტიისა: „ურიგო ამხანაგი“ და „სწავლაზედ ზარმაცი“, ჭამაზედ მამაცი», მაგრამ როცა ჯერ თვითონ მასწავლებელი წაუკითხავს გაბეიოდ ამ სტატიებსა, მათ სახეზედ ისახება სასიამოვნო გამომეტყველება, რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მათი შინაარსი გონებას ხვდება და საინტერესო რასმეს შეადგენს. მასწავლებლის წაკითხვის შემდეგ ბავშვები ამ სტატიებს კითხულობენ ნამდვილის ხალისით.

დედა-ენის 25-ე გვერდზედ დაბეჭდილია შემდეგი ორ სტრიქონიანი ხალხური ლექსი: «მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა, კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა.» გადამთიელს თვითონ ლექსის დაწუნება ვერ მოუხერხებია, მაგრამ იმაზედ კი წუხილს აცხადებს, ასე ადრე, წიგნის თავში, რად დაგიბეჭდიათო: «ნუ თუ შეიძლება ეს ლექსი ანბანის შემდეგ წავაკითხოთ ბავშვსა?» გულადად ჰკითხულობს მამაცი გადამთიელი. რატომაო? იკითხავთ. «სამი-ოთხი სიტყვაა აქ გაუგებარი ბავშვისათვისაო, მაგალითად: ჯავახეთი, კალმახი, ქერის პური და კიდევ სხვანიო. ესენი ისე იციან ბავშვებმა, როგორც მე და შენ, მკითხველო, ჩინური ენაო» სწორედ ამისთანა მსჯელობაზედ იტყვიან: ქათამსაც კი გაეცინებსო. ვაჰო, თუ გადამთიელმა და მკითხველებმა ისე იციან ჩინური ენა, როგორც სოფლის ბავშვებმა ქერის პური და კალმახი, მაშ ქართველობა რაღაც უცნაურის მანქანებით გაჩინებულა მთლად და პაჭუა მონღოლების ენა უფრო კარგად შეუსწავლია, ვიდრე თავისი ღვიძლი ქართული ენა... ქერი ჩვენში მოდის მთებშიაც და ბარშიაც, კალმახი ბუდობს ბევრს მდინარეებში, განსაკუთრებით მთიურ წყლებში. სოფელში ბავშვს ძნელად მოსძებნი, რომელსაც ერთიც კარგად არა ჰქონდეს გაცნობილი და მეორეც. რაც შეეხება ჯავახეთსა, მასწავლებელი

ლი ადვილად აუხსნის, რომ ერთს მაღალ კუთხეს საქართვე-
ლოსას ჰქვიან ეს სახელი და ხელის გაშვერით უჩვენებს იმ
მხარესა, საითკენაც მდებარეობს ეს კუთხე. თუ სახეში მივი-
ღებთ, რომ მხოლოდ ერთი სიტყვაა ასახსნელი ამ ლექსში
და თვითონ ლექსიც მეტად პატარაა, ადვილად წასაკითხი და
ზეპირად ადვილი დასასწავლი, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით,
რომ ეს ლექსი ადრე არ არის დაბეჭდილი...

გადაღმიელის მსჯელობაში უეჭველად სასაცილო ის არის,
რომ ვითომც უცნობ სამის სიტყვის ჩამოთვლის შემდეგ ამ-
ბობს და სხვანიო. სხვანი რომელნიღა? განცვიფრებით იკით-
ხავთ, არც რომელნი. გადაღმიელმა თვითონაც, რასაკვირველია,
კარგად იცის, რომ ყველა სხვა სიტყვები ამ ლექსისა სამის
წლის ბაღანასაც ესმის, მაგრამ, რა ჰქნას, რომ კილვის მადას
ისე გაუტაცნია, რომ სასაცილო რამეებს აროშინებს.

მაგრამ ვსთქვათ, რომ რომელსამე საქართველოს კუთ-
ხეში არა სთესენ ქერსა და კალმახიც არ ბუდობს იქაურს
მდინარეებში და ბავშვებისათვის უცნობნი არიან. განა მასწავ-
ლებელი ორი–სამის სიტყვით ვერ აუხსნის მათ ამ საგნებსა და
ახალს ცოდნას ვერ შესძინებს? ძალიან ადვილად. ქერზედ ის
იტყვის: ქერი არის პურივით მცენარე. პურზედ უფრო დიდი
თავ-თავი აბია, მარცვლები აქვს პურის. ხორბალზედ მოზდი-
ლი და გძელი, სინოყივრე პურზედ ბევრად ნაკლები აქვს და
გემოთაც მას ვერ შეედრება. კალმახზედ იტყვის: კალმახი არის
შუალა თევზი, ტანზედ აყრია წითელი წინწკლები, ცხოვრება
უყვარს წმინდა და ცივ-წყალში, უფრო მთიურს ჩქარს მდინა-
რეებში, შესანიშნავია სიფაქიზით, სიმარდით და თავისუფლე-
ბის მოყვარეობით და ამის გამო დაჭერის შემდეგ სხვა თევ-
ზებზედ მალე კვდება. განა ეს ცნობები იმ გვარნი არიან, რომ

რვა-ცხრა წლის ბავშვს ნახევარ წლის სწავლის შემდეგ გაუ-ჭირდება მათი შეთვისება?

გადაღმიელი უფრო მომეტებულს გაუგებრობას იჩენს, რომელსაც ამბობს, რომ ორ-სტრიქონიანი ლექსი ირემი 28-ე გვერდზედ დაბეჭდილი, წიგნში ქვემოდ უნდა მოქცეულიყოო, რადგანაც, თუმცა თვითონ ლექსი მშვენიერიაო (ჩხირი კე-დელს) და გაუგებარი სიტყვებიც არ მოიძებნებაო, მაგრამ ირემი უცნობი ნადირია ბავშვებისათვის და ამიტომ მასზედ ლექ-სის წაკითხვა ბავშვების ნორჩს ტვინს ზიანს მოუტანსო. თუ უცნობ საგნის გაცნობით ტვინი კი არ იხსნება, ზიანდება, მაში სწავლა, რომელიც მდგომარეობს უცნობის გაცნობაში, საშინ-ლად მავნებელი რამე ყოფილა, ტვინის გამფუჭებელი, დამა-ზიანებელი და მასზედ უნდა ხელი აიღოს დიდმაცა და პატარა-მაცა. დიაღ, მართებს რომ ხელი სრულიად აიღოს... გადაღმი-ელმა კილვაზედ და წიგნების გარჩევაზედ.

სტატიების დაწყობილობის გარდა გადაღმიელი შინაარ-სის მხრითაც იწუნებს ზოგიერთა ლექსებსა და მოთხრობებსაც. იმ სიბრიყვით, რომელიც მტკნარს უმეცრებას შეჰფერის, ის ზელიბერდას ქმნის შემდეგ ლექსებს და მოთხრობებსა: ნა-დირობა, მშიერი კაცის ნატვრა, საბრალო დედა-ბრისასა; უსუ-ნო ყვავილი, თავის-თავის დასჯა, თამარ-მეფე, ედემი, ქალე-ბის მუშაობა და ქართველები.

ხალხური ლექსი «ნადირობა», როგორც ეს სჩანს პეტრე უმიკაშვილის ვარიანტებიდგან, გავრცელებულია თითქმის მთელს საქართველოში, რაჭიდგან დაწყებული დაღესტნის საზღვრებამ-დე. ეს გავრცელება ამტკიცებს, რომ ლექსს რაიმე განსაკუთ-რებითი ღირსება აქვს. ეს ღირსება მდგომარეობს ლექსის სა-მაგალითო ჰარმონიაში. სრულის მუზიკალურის რითმის გარდა,

ყველა მუხლი ამ ლექსისა განიყოფება ოთხს ნაწილად და თითო ნაწილი შეიცავს ოთხს მარცვალსა. ამ გვარი ხშირი ცეზურა თავიდგან ბოლომდის დაცულია და აძლევს ლექსს იშვიათს კეთილ-ხმოვანებას. ამ გვარის ჰარმონიის ლექსი ორი-სამი არ მოიძებნება არც ჩვენის ხალხის ნაწარმოებში, არც ჩვენის პოეტების ნაწერებში. ამიტომაც უყვართ ბავშვებს ეს ლექსი, ზედ ელალებიან და ადვილად სწავლობენ ზეპირად. ხოროთი საკითხავადაც ეს ლექსი მეტად მოხერხებულია, რადგანაც ხშირი, ერთი ზომის ცეზურა ძლიერს შემძლებას აძლევს კლასსა კითხვა ისე აჰყოლოს ტაქტსა, რომ თითქმის სიმღერის კეთილ-ხმოვანება მისცეს მას და ამ ლექსზედ კარგად შეესწავლოს ხოროთი კითხვის ხელობა.

მოთხრობა უსუნო ყვავილი შეიცავს ჯერ აღწერას საინტერესო შემთხვევისას და მერმე სალს სენტენციას, რომელიც პირ-და-პირ გამოდის შემთხვევიდგან და რომელსაც შეუძლიან კეთილ-ნაყოფიერი კვალი დასტოვოს ბავშვის გონებაში და მის ზნეობის დაუზინებლობას დაეხმაროს... სენტენციური მოთხრობანი მხოლოდ მაშინ არიან მავნებელნი, როდესაც მათით მთელი წიგნია გავსებული, როგორც, მაგალითად, მაქსიმოვიჩისა და პაულსონისა და როდესაც სენტენცია მიკონკილია ძალად მოგონილს შემთხვევაზედ, ძნელად შესაძლო ფაქტზედ. თუ წიგნში მხოლოდ რამდენიმე სენტენციური მოთხრობაა მოქცეული და ეს მოთხრობანი მარჯვედ არიან შედგენილნი და ინტერესით სავსენი, მაშინ ამ გვარი მოთხრობანი ნაკლულევანებად კი არ ითვლებიან, წიგნის ღირსებას შეადგენენ. მაგალითად; ძველთაგან ძველი მოთხრობა, მეფე და იმისი ოცდაათი ვაჟი სენტენციურია, მაგრამ ერთს საუკეთესო საკითხავად ითვლება ბავშვებისათვის, რადგანაც სა-

დი სენტენციის საინტერესო შემთხვევიდგან თავის-თავად ისკვნება.

სახალხო ლექსში ქალების მუშაობა ისეთ პოეტურის, მომხიბვლელ ძალით არის გამოხატული თიბვა ჩურჩქვზე ბატონიშვილის ქალებისა და ისეთს მარჯვე შემთხვევას აძლევს მასწავლებელს ჩაავონოს ბავშვებს მნიშვნელობა, სახელოვნება და ღირსება საყოველთაო შრომისა, რომ ადამიანი სწორედ გადამიელის ჟამეცრებით უნდა იყოს სავსე, რომ ამ მშვენიერ ლექსს ბელიბერდა დაარქვას.

თუ სხვა დაწუნებულს მოთხრობებს და ლექსებს გადასინჯავს მკითხველი, აშკარად დარწმუნდება, რომ გადამიელმა მათის დაწუნებითაც მტკნარი უგემურობა და გაუგებრობა გამოიჩინა.

უკანასკნელი ნაკლოვანება, რომელსაც ჰხედავს გადამიელი დედა-ენაში, გახლავთ ვითომც რუსული ხასიათი წიგნისა. „წიგნში ბევრი ისეთი ამბებია, გამოცანები, ლექსები და ანდაზები, რუსულიდგან გადმოთარგმნილი, რომელთაც წმინდა რუსული ხასიათი აქვთო.“ ყველა კრიტიკოსი ამ მსჯელობის შემდეგ მოიყვანდა რაიმე მაგალითს გასამართლებლად თავის სიტყვებისა, მაგრამ გადამიელს არც ერთი მაგალითი არ დაუსახელებია, თავისებურად გამოისროლა სიტყვები და უკანონო შეღლივით ყოველივე ზრუნვა მათზედ ფიცხლავ მიატოვა. რად მოიქცა ასე? იმიტომ რომ დასახელება არ შეეძლო, რადგანაც ის მოთხრობანი, ლექსები, ანდაზები და გამოცანები, რომელნიც ჩვენ რუსულიდგან გადმოვიღეთ, ყველანი მოკლებულნი არიან რუსულს განსაკუთრებულს ხასიათსა და აქვთ საზოგადო კაცობრიული თვისება, რის გამოც თითქმის იმდენადვე საინტერესონი და გასაგებნი არიან ჩვენის ბავშვე-

ბისათვის, რამდენადაც წმინდა ქართულ გონების ნაწარმოებნი.

მტკნარი სიცრუეა აგრეთვე, ვითომც რუსულიდგან ნათარგმნი ბევრი იყოს და შეადგენდეს უმეტეს ნაწილს წიგნისასა. თუ მკითხველი არ დაიზარებს და ჩაათვალიერებს წიგნის შინაარსსა, რომელიც დაბეჭდილია დედა-ენის უკანასკნელ ფურცელზედ, აშკარად დარწმუნდება, რომ დედა-ენა იმდენად უნდა ჩაითვალოს წმინდა ქართულ წიგნად, რამდენადაც რუსულ წიგნად ითვლება „როდნოე სლოვო“ უშინსკისა. სამოც-და-ათს ლექსში ოთხმოც-და-თექვსმეტი წმინდა ქართულია, რვა ნაზამი და მხოლოდ შვიდი რუსულიდგან გადმოკეთებული. ეს უკანასკნელი ლექსები, რასაკვირველია, ვერ შეედრებიან საუკეთესო ნაწარმოებს ხალხისას და ჩვენის პოეტებისას, მაგრამ თავის საკუთარს ღირსებას არ არიან მოკლებულნი. ერთი უმთავრესი მათი ღირსება ის არის, რომ მათში საგნები სურათულად არიან აწერილნი, რეალურს ცნობებს შესძინავენ ყმაწვილებს და მოხერხებულს ტემას აძლევენ მასწავლებელს მეორე წელიწადს პროზით დააწერინოს ის აწერა საგნებისა, რომელიც მათში ლექსით არის გამოთქმული. ას ოთხმოც-და-ხუთს ანდაზაში ას სამოც-და-თხუთმეტი წმინდა ქართულია და მხოლოდ ათი რუსული, საუკეთესოთაგანი. გამოცანებში ოთხმოცი ქართულია და თხუთმეტი რუსულიდგან გადმოკეთებული. ზღაპრებში ურევია მხოლოდ შვიდი საუკეთესო რუსული ზღაპარი, მოკლებული განსაკუთრებულს რუსულს თვისებებს და ქართულს ზღაპრებზედ არა ნაკლებ საინტერესო ბავშვებისათვის. გადამთიელს იმდენად არა სცოდნია ჩვენის ხალხის გონების ნაწარმოები, რომ წმინდა ხალხურს ზღაპარს მელია და ჩიტი რუსულს ზღაპრადა სთვლის. მართალია, ერთს რუსულს არაკ-

ში რუსულის სახლის სურათია მოქცეული და არა ქართულისა; მაგრამ ამას თავისი სასარგებლო მხარე აქვს: სურათის შემწეობით ბავშვი რუსულ სახლს გაიცნობს და შეადარებს ქართულს სახლსა, რომელსაც თვალ-წინ ყოველ დღე ჰხედავს და რომლის დახატვა წიგნში საჭირო სრულიადაც არ არის. არაკები და მოთხრობანი უმეტესობით ან წმინდა ქართულია და ან ეზოპოსისაგან გადმოკეთებული, მხოლოდ მცირე ნაწილი გადმოთარგმნილია გამოჩენილ რუსის პედაგოგების ნაწარმოებიდგან. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენის ხალხის გონების ნაწარმოები ისე მდიდარი ყოფილიყო ჩინებულ საბავშვო მასალითა, რომ სხვა ხალხებისაგან სესხი აღარ დაგვჭირებოდა; მაგრამ ამ გვარს სიმდიდრეს ვერც ერთი ვერ დაიკვეხებს, ვერც აზიელი და ვერც ევროპიელი. ამიტომ ყველაგან საბავშვო წიგნებში ნახავთ უცხო ენიდგან ნასესხს მასალასა. რუსის პედაგოგებს ბლომად აქვთ ნათარგმნი ევროპიულის ენებიდგან და ჩართული საყმაწვილო წიგნებში. უშინსკის როდნოე სლოვოს შინაარსი მესამედობით ნემეცურიდგან არის გადმოღებული და გადმოკეთებული. ევროპიული საბავშვო წიგნები შეიცავენ არა ერთს მოთხრობას ეზოპოსისას და სხვა ძველის დროის მწერლებისასა. მაგრამ ეს სესხება სრულიადაც არ უშლის საზოგადოებას, მათი ნაღვაწი წიგნები ნაციონალურ ნაწარმოებად ჩათვალონ. თუ ამ გვარი სესხი ნაკლულევანებად არ ითვლება ევროპაში და რუსეთში, სადაც მრავალი ტომი ხალხის გონების ნაწარმოებისა ყოველს პედაგოგს წინ უძევს და მდიდარს მასალას აძლევს ხელში, ჩვენში რად უნდა შეიქნას საყვედურის საგნად, რომელსაც ჩვენის ერის პროზული და პოეტური ნაწარმოებნი არავის დაუბეჭდია. ჯერ

რედ და არც არავის შეუკრებნია საკმაოდ და როდესაც კაცმა წიგნი არარაისაგან უნდა დაბადოს!

ყოველ ზემოხსენებულით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ დედა-ენა უნაკლულო წიგნია. სრულიადაც არა. მასში არა ერთი ნაკლულევანება მოიძებნება; მაგრამ ეს წიგნი ყოველ შემთხვევაში თავის დანიშნულებას ურიგოდ არ ასრულებს და უკეთესი იქნებოდა ჩვენთვისაც და საქმისათვისაც, რომ ჩვენი დღენი არ გამოგველამებინა მის ჩხრეკაში, კილვაში და გაკიცხვაში, არამედ ვცდილიყავით აგვევსო ის მრავალი ცარიელი ადგილები, რომელიც «დედა-ენის» და «ბუნების კარის» გარეშემო არის და აქამდის ტყუილად ელის მცოდნე და სინიდისიან მომქმედს პირებსა.

ჩვენ დავპირდით მკითხველს დედა-ენის სხვა მკილავებისათვისაც პასუხი გაგვეცა, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ, რაც გვითქვამს, მათაც პასუხს უგებს და ამიტომ აღარავის მოსვენებას არ გავუფთხობთ ძველის შეცოდების მოგონებით და გამოაშკარავებით.

უკანასკნელი სიტყვა გადამთიელს: იქნება იგი მთლად სავსე იყოს ბევრის სხვა გვარის ნიჭიერებით, ბევრის სხვა ნაირის ტალანტით, მაგრამ კრიტიკოსობაში კი ულმობელს ბედს მისთვის კერძი არ უწილადებია. ამიტომ თავის თავსაც და საქმესაც კაი სიკეთეს უზამს, თუ ამ თანამდებობაზედ ახლავე ხელს აიღებს. ჰკითხოს თავის მეგობრებს, მართალს ვამბობთ, და კარგს ვურჩევთ, თუ არა.

ი. გოგებაშვილი.

## შინაური მიმოხილვა.

სახელმწიფო მამულების გაცემის თაობაზედ — საჭიროა ამის წესების შეცვლა — სახელმწიფო ქონებათა მინისტრის პროექტი — სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი — ჩვენი მწვავი ტკივილი — მიზეზნი ჩვენის სწავლა-განათლების უხეიროდ მსვლელობისა — ქართველები ცოტანი რად არიან სასწავლებლებში — ჩვენი სამღვდელოება არა შველის სწავლა-განათლების საქმეს — ზოგიერთი რამ ჩვენს სამღვდელოებაზედ — დეპუტატთა კრება — სასაცილო ამბავი ამ კრებისა.

---

«ივერიაში» ამ ორის-სამის წლის წინად ნათქვამი იყო, რომ ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად ისე დახლართულია და დახვლანჩული, ისე გაზმული და გამოზმული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უხშობს ცხვირწინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირ-და-პირი მწარმოებელია და მიწის მომქმედი. ეგ წესები თითქო იმისათვის არიან დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგოს-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ ამოქმედებს მიწას და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულებს მარტო იმისათვის, რომ მიწის პირ-და-პირ მომქმედს მოგებით და გადამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სულით ქმებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერას გზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა

წესები დარჩება და საწყალი მიწის მომქმედი ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება. მაგ წესების უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ როცა იჯარით გაცემის ვაჭრობასა ხოლმე დანიშნული, გლეხ-კაცობა ვერ იტყობს. თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე, მაგრამ სად გლეხ-კაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხ-კაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა. ამითი ორ-ნაირი ვნება გამოდის. ერთი ის რომ მამულები ჩალის ფასად ჰრჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხ-კაცობა, ესე იგი, ისინი, ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირ-და-პირი მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ-მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს. მეორე ისა, რომ გლეხ-კაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხ-კაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათადაც მეტი გამოჰგლიჯოს. ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს ჯერ-ხანობით მაინც გლეხი აცხოვრებს. გარდა ამისა თვით ვაჭრობის წესები მეტად რთულია, გადაბმულ-გადმობმული, მათს შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხ-კაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს-საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხ-კაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს.

რასაკვირველია, თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა

საქმეს საქმის თვალით უყურებს, სანატრელი უნდა იყოს, რომ იჯარით გაცემა მამულებისა ადვილად შესასრულებელ წესებით მოეწყოს და მერე ისე რომ უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც პირ-და-პირი მუშაა მიწისა. მაშინ მამულის იჯარის ფასიც აიწევს და გლეხ-კაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხაზინის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს.

ამ ბოლოს ხანებში რუსეთში ჰსცნეს მაგ წესების უხეირობა და უვარგისობა. ეხლა-ხანს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა კომიტეტში იმის შესახებ, რომ გლეხ-კაცობას როგორმე გაუადვილოს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება. ეხლანდელს პროექტს მინისტრისას უმთავრეს აზრად ისა აქვს, რომ გლეხ-კაცობას მიეცეს ღონისძიება და გზა იჯარით აიღოს სახელმწიფო მამული პირ-და-პირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან და მათ შუა არ ჩაერიოს სხვა კაცი გლეხ-კაცის საწყენად. ჩვენ ჯერ დარწმუნებით არ ვიცით, რა ღონისძიებაა და გზა ნაჩვენები, რომ ეს ფრიად საკეთილო აზრი განხორციელდეს საქმით. ჩვენ თუ ამ საგანზედ მოვიტანეთ სიტყვა, იმიტომ მოვიტანეთ, რომ აქაურმა მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება და აქაურობის საჭიროების მიხედვით შეჰსცვალოს უხეირო და დახლართული წესები სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემისა. დედა-აზრად ის უნდა წაიმძღვარონ, რომ გლეხ-კაცობას საკუთრივ და მიწათ მომქმედს საერთოდ გზა და ღონისძიება მიჰსცენ სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა პირ-და-პირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან.

ახალმა მინისტრმა განათლებისამ ბარონმა ნიკოლაიმ გამოაცხადა ცირკულიარი სამოსწავლო მაზრების მზრუნველთა

მიმართ. ეს ცირკულიარი თუმცა დაწვრილებით არას ამბობს საერო განათლების შესახებ, მაგრამ შიგ ზოგიერთი ზოგადი აზრია ისეთი, რომ მეტი არ იქნება საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ და გულში კარგად ჩავინარჩუნოთ. იქნებ როდისმე ჩვენც გამოგვადგეს. ბ-ნი მინისტრი აუწყებს მზრუნველებს, რომ გარდა იმისა, რომ თქვენ უპირატესნი წარმომადგენელნი ხართ თავ-თავის ადგილას მთავრობის მზრუნველობისა საერო განათლების საქმეშიო, თქვენ სხვა მოვალეობაც კისრად გდევთო. ადგილობრივ მოხელეობასთან და საზოგადოებასთან გაუწყვეტელი კავშირი უნდა იქონიოთ და ადგილობრივის საჭიროებისა და უმაღლესის მთავრობის შორის შუამავალნი თქვენ უნდა იყოთო. თუ ეს აზრი ჩვენშიაც გადმოვიდა, მაშინ აქაური მოხელენი განათლებისა ისე აღმაცერად აღარ დაუწყებენ ყურებას აქაურის საზოგადოების მოთხოვნილებას და საჭიროებას და ერთსაც და მეორესაც მალაუნებურად ფასს რასმეს დასდებენ, მაინც-და-მაინც ყურსაც არის ათხოვებენ და დაცინებით გვერდით აღარ ჩაუვლიან, როგორც აქამომდე შვრებოდენ.

სკოლამ არ უნდა დაშოროს მოწაფე შინაურობას, ოჯახობასო, ამბობს მეორე ადგილას ბ-ნი მინისტრი. ძალიან არ ასრულდება ეს ყოვლად საქები დ̃ გონიერი სურვილი მინისტრისა ჩვენებურ პედაგოგების ხელში, რომელნიც დღეს აქამომდე ესე წინ-დაუხედავად ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შველის. ძალიან არ დამკვიდრდება ეს კავშირი, როცა ჩვენებური ბავშვი შინიდამ გარედ ფეხს გამოადგამს თუ არა და სკოლის დირეს გადაბიჯებს, თავისას აღარაფერს არც ნახავს, არც გაიგონებს!...

დირექტორები და ინსპექტორები საერო სკოლებისა,

როგორც პირ-და-პირნი მოხელენი საერო განათლების სამინისტროსი, უნდა იყვნენ მოხელეებად მთავრობის მზრუნველობისა და არა საზოგადოების თვით-მოქმედების შემავიწროებელადაო, ამბობს აგრეთვე ბ-ნი მინისტრი. თვით-მოქმედება საზოგადოებისა მათგან პატივ-ცემულ და წახალისებულ უნდა იყოსო. სასურველია გულში ჩანერგული ჰქონდეთო, რომ ისინი საზოგადო საქმის მსახურნი არიან და არა მბძანებლებიო.—ძალიან დიდი პატივისცემა და წახალისება არ არის საზოგადოების თვით-მოქმედებისა, რომ წელიწად-ნახევარია რამდენიმე სოფლის საზოგადოების განჩინება სკოლის გამართვის შესახებ ჰყრია დღეს აქამომდე გუბერნიის სამართველოში დასამტკიცებლად და არ იქნა ეგ დამტკიცება არ ეღირსა. ღმერთმანი ან ერთმა დირექტორმა და ინსპექტორმა ამისათვის თითი დაჰსძრა და! შენც არ მომიკვდე!... საწყალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რაც შეუძლიან თავისის მხრით ცდილობს და არამც თუ დაამტკიცებინა, ადგილიდამაც ვერ დაამძვრევინა ვერც ერთი განჩინება.

თუ ღმერთმა ჰქნა და ბ-ნ მინისტრის ცირკულიარმა კავკასიის მთებს გადმოაბიჯა, გარდა ამისა თვალ-ყური ადევნა ვინმემ, რომ თქმული ქმნულად იქცეს, მაშინ იქნება ჩვენებურ პედაგოგების ხელით ამოქოლვილი კარი განათლებისა ჩვენს ერსაც გაეღოს. იქნება მაშინ ჩვენც გვეშველოს რამე; იმ დრომდე კი დეე ინავარდონ, ვინც აქამდის ნავარდობდა ჩვენის ერის განათლების მოედანზედ.

ჩვენი ჯერ-ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან მწვავი ტკივილიც ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება, შეჰსცვა-

ლონ და გაასწორონ. ნაკლულევანებას ამ მოწყობილობისას ჩქა-რად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურს მწერლობაში, მაგ-რამ მითამ კედელზედ ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია. ან რად უნდოდათ რომ ყური გაებერტყნათ? სწავლა-განათლების საქმე განა იმისთანა დიდი რამ არის, რომ ამისათვის თავი გაიცხელონ, ვისიც ჯერ არს. იქნებიან ერთი ათი-თხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: „უკაცრავად, თქვენ-თან დანაშაული მაქვსო," დაჰკვრენ ფეხსა და წავლენ. ვინ არის პატრონი? ვინ არის გამჩხრეკი? ერთი შიგ ჩახედონ აქაურს პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ რა ღვარ-ძლი აქვთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად ჰგვესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს. ერთი იკითხონ სწავლა-განათლების მეტს სხვას რას ემებენ და რად ემებენ ჩვენებური პედაგოგები? რას იზამ? გამკითხველი ვინ არის? არიან და ფარფაშობენ.

აქაურის სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიშში რომ გადაათვალიეროთ, ნახამთ რომ სწავლა-განათ-ლება ჩვენში ტაატით მიდის და გულ-აცრუებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ; ნახავთ, რომ აქ ჩვენში სწავლა-განათლებას ყველანი ძალიან ნაკლებად ეწაფებიან და ქართველები ხომ ნაკლებ და ნაკლებ. კურს-შესრულებულები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სულ 52 კაცია. ამათში რუ-სი 24, სომეხი 15, ქართველი 4, თათარი 1, მთის მცხოვრე-ბი 1, ევროპიელნი 7. მცხოვრებთა ჯგალობაზედ ერთი გიმნა-ზიელი რუსებს მოსდით 833 კაცზედ, სომხებს 1111 კაცზედ, ქართველებს 1666-ზედ, მთის ხალხს 10,000-ზედ და თათ-რებს 12,500-ზედ. გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში შვიდმეტ-ზედ მეტი მოსწავლე არ მოდის ქართველი, მაშინ როდესაც რუ-

სი ორმოც-და-ცხრაზედ მეტია და სომეხი ოც-და-ერთზედ მეტი. თვითონ თბილისის გიმნაზიაში ასში 41 რუსია, 31 სომეხი, ქართველი კი მარტო 16. საზოგადოდ ასს შაგირდში რუსია 35, თათარი 18, სომეხი 18, ლეკები და სხვა მთის ხალხი 11 და ქართველნი კი 10.

რას უნდა მივაწეროთ ესრედი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლოობა და უმგზავსობა, იმიტომ-რომ ის პროგრამები არ ეშესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშვის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული. თვითონ სასწავლებელნი ცოტანი არიან და რაც არიან ისიც ერთს ალაგას ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვა-და-სხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მიჰსწვდომიან. გარდა მაგისა სწავლა-განათლების საქმისათვის მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული,—სულ მთელს კავკასიაზედ 822,246 მანეთია, თვითო სულზედ $15^1/_3$ კაპეიკი მოდის. ეს ჩვენის ფიქრით საზოგადო მიზეზია, საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია, მაშასადამე სასწავლებელზედ ქართველები შორს არიან და მაშასადამე მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისას. რუსები, როგორც მოხელეობის მქონენი და სომხები როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში სცხოვრებენ, ესე იგი, სასწავლებ-

ლებზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზდა და შენახვა. მეორე მიზეზი, რომ სომხებისა და სხვა რჯულის ხალხნი ქართველებზედ მეტნი სწავლობენ ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმეს დიდს ხელს უწყობენ სომხისა, თუ სხვა რჯულის ხალხის სამღვდელოება. ძნელად იპოვით სომხის მღვდელს და ან მაჭმადიანების მოლას, რომ თავის სამწყსოში სკოლა არა ჰქონდეს. კარგნი არიან ეს სასწავლებლები, თუ ცუდნი, იმით მაინც შველიან სწავლა-განათლების საქმეს, რომ პირველ ხანებში ბავშვს დედა-ენის შემწეობით ცდილობენ გაუხსნან გონება, დედა-ენას ასწავლიან და წერა-კითხვას ავრცელებენ. ამ მიზეზით, რასაკვირველია, რიცხვი მოსწავლეთა სომხისა, თუ სხვა რჯულის ხალხისა, მეტი იქნება ქართველებზედ. ქართველები ამ შემწეობას მოკლებულნი არიან, იმიტომ-რომ ჩვენი სამღვდელოება ამ გვარ საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალა-უნებურად გულ-ხელდაკრეფილია. ეგრეც იქნება დიდ-ხანს, იმიტომ-რომ ჩვენი სამღვდელოება თვითონ იწვრთება იმისთანა სემინარიაში, სადაც დედა-ენას იმ ერისას, რომელ შორისაც ჩვენმა სემინარიელმა უნდა იმოძღვროს, სემინარიაში ისე ასწავლიან რომ არ-სწავლება ჰსჯობიან. ამისათვის ჩვენი უენო სამღვდელოება ძალა-უნებურად უქმია იქ, სადაც დიდი შემწეობა ეგრე ადვილი და შესაძლებელია. უქმია არამც თუ ერის სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ერის მოძღვრების საქმეშიაც. დამუნჯდა ამის გამო ჩვენის ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოვლად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ არის. თუ სემინარიის მმართველებმა ამ საგანს ასე ყური მოუყრუეს და სემინარიის პროგრამას არა უხერხეს-რა დედა-ენის სწავლების შესახებ, არამც თუ ჩვენს საქმეს სწავლა-გა-

ნათლებისას გზა წარემართება, არამედ თვითონ მოძღვრობის საქმეც იქამდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებულ შეიქმნება «პერევოჩიკის» შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა. თუ ეს მოსალოდნელი არ არის, აი თვალ-წინ აბხაზების მაგალითი გვიდგა. იქ იმისთანა მღვდლები თურმე დაუნიშნავთ, რომელთაც პირის დასახელებაც არ იციან თურმე აბხაზურად. აბა აბხაზები ამათ როგორ უნდა გაენდნენ თუ არ „პერევოჩიკის“ შემწეობითა? თუ თვითონ ერი არ გებრალებათ, ხაზინას მაინც გაუფთხილდით, თორემ „პერევოჩიკების“ დაჭერა მოგინდებათ და მაშასადამე ჯამაგირების ძლევაცა.

ეხლა-ხან აქაურ საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატები მოწვეულ იყვნენ ქალაქში. იმათ წარმოჰსთქვეს, რომ საჭიროა სასულიერო სასწავლებელში ქართული ენა რიგიანად ისწავლებოდეს. რადგანაც უენო მოძღვარი, მოძღვრობას ვერ იზამსო. პასუხად უთხრეს, აბა ჯიბეს ხელი გაიკარითო, ქისებს პირი მოხსენითო და მერე გიფიქრებთო. პასუხი თუ გინდათ ეს არის. ამისთანა პასუხი ასე მძიმე საგანზედ მარტო იმის პირისაგან თუ ამოვა, რომელსაც საქმისათვის გული არ უცემს. განა თუ მღვდლებმა — ამისათვის ფული არ გამოიღეს, მთავრობამ ამ საგნისათვის ხელი არ უნდა გაჰსძრას?! ნუ თუ მთავრობის უუწმინდესს მოვალეობას არ შეადგენს მზრუნველობა, რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოს გააგებინონ რამე და თვითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვარის ფარ-ხმალი ენაა, თუ ენა არ ეცოდინება უქმია იმისი თანამდებობა. ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თითონაც არ ინდომოს, მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს და თუ მაგისათვის საჭიროა ხარჯი თვითონ მთავრობამ უნდა

იკისროს. ნუ თუ აქაური მმართველობა სამღვდელოებისა ჰფიქრობს, რომ თუ თვითონ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, საქმე ამით უნდა გათავდეს! ნუ თუ ამ მიზეზით უნდა ამოიკვეთოს ქართულის ენის სახსენებელი საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა შორის! ნუ თუ ჰგონიათ, რომ სარწმუნოების საქმეს ამით არა დაუშავდება-რა ჩვენში! ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი...

სასაცილო იყო ამ დეპუტატების მოწვევა. ყველგან და ყოველთვის, სადაც კი კრებაა ხოლმე დანიშნული, აუცილებელ წესად მიღებულია, რომ კრებისაგან გასარჩევი საგნები წინად დანიშნული და გამოცხადებული უნდა იყოს, ნამეტნავად მაშინ, როცა კრება ამორჩეულ პირთაგან უნდა შესდგეს. ეგ წესი იმიტომ არის, რომ ამომრჩევლებმა საქმის სიდიდეს და სიმძიმეს შეურჩიონ შესაფერი კაცები და თვითონ წევრთაც დრო და ღონისძიება ჰქონდეთ ყოველ-მხრივ მოიფიქრონ და მოისაზრონ კრებისათვის დანიშნული საგნები. ჩვენმა დეპუტატებმა კი არამც თუ არ იცოდენ რისთვის იყვნენ მოწვეულნი, ისიც არ იცოდენ ამოდენა ქალაქში სად უნდა მოეყარათ თავი. საწყლები ჩამოვიდენ, ხან სად მიაწყდენ, ხან სად და ბოლოს ძლივს იშოვეს ერთი ოთახი და როგორც იყო კრება გამართეს. ყველაფერი გაგვიგონია ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში და ამისთანა სასაცილო ამბავი კი პირველია. ეჰ, კურთხეულო რუსთაველო! შენ რამდენი ხნია გითქვამს:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,
ავი რა საკვირველია?“

# ახალი წიგნები.

თ. მიხ. თუმანიშვილის რჩეული ლექსები და თხზულებანი. თბილისი 1881 წ.

მეოც-და-ათე და მეორმოცე წლები ამ საუკუნისა დაუვიწყარნი იქნებიან ჩვენის ღარიბის ლიტერატურისათვის. ამ დროს ალექსანდრე ჭავჭავაძის გრძნობით სავსე და წმინდა ხანთელსავით მოქნილს ლექსებს, რომელთ საგანი იყო ქალები, სიყვარული, ვარდი, წითელი კახური ღვინო, გაერია აგრეთვე გრძნობით სავსე, მაგრამ ხანდისხან სხვა საგნებზედაც მომთქმელი ლექსები ნიკ. ბარათაშვილისა.

მართალია ჯერ ზოგს არ ესმოდა, რა მნიშვნელობა აქვს «მერანს», «მთაწმინდაზედ შემოღამებასა» და ბარათაშვილის სხვა საუკეთესო ლექსებს. საზანდრები ერთ-გვარის გრძნობითა მღეროდენ ალ. ჭავჭავაძის „სმგერს გლახ გულო“-ს და ბარათაშვილის „სულო ბოროტო“-ს და მსმენელნიც ვერ არჩევდენ რა დიდი განსხვავებაა ამ ორის ლექსის ჩამგონებელ გრძნობათა შორის, თუმცა კი კილოს სიმშვენიერით და ენის ძლიერებით ერთმანერთს არ დაუვარდებიან.

ბევრი ვერ არჩევდა ჩვენის ლიტერატურის იმ ახალ ხანას, რომელიც ბარათაშვილის ლექსებით დაიწყო, მაგრამ ზოგიერთებმა კი შეამჩნიეს ესა, მისცეს მხარი და თავის ნიჭისა და ცოდნის შესაფერი ღვაწლი დასდეს მას.

ნიკ. ბარათაშვილის ერთი ამ მხარის მიმცემთაგანი და «მხარის დამამშვენებელი» ყოფილა თ. მიხეილ თუმანიშვილიც. ამას უწერია თავისი ლექსები ნიკ. ბარათაშვილის დროს და ბევრი უფრო ადრეც. ბევრსა ჰგონია, რომ ლიტერატურისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს-რა ამისთანა მომცრო პოეტების თხზულებების გამოცემას, როგორიც არის მიხ. თუმანიშვილიო, მაგრამ ჩვენის აზრით ეს ისეთი შეცდომაა, რომ ამის თქმა არ მიეტევება არავის, ვინც კი ლიტერატურის ისტორიას დაჰკვირვებია. მაგრამ საზოგადოდ ლაპარაკს მაგალითების დასახელება სჯობს:

ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნიკ. ბარათაშვილი მარტოდ მარტო ჰგონია; ბევრსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენილიო. ვინც ამას ამბობს, წაიკითხოს გრიგოლ ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოვლად-შემცდარს აზრს აღარ იტყვის. არა, მეოც-და-ათე და მეორმოცე წლებში რაღაცა აწუხებდა ჩვენს საზოგადოებას, გული რაღასაც ეუბნებოდა, რაც ჩვენთვის ჯერედ უცნობია სხვა-და-სხვა გარემოების გამო, რაც ბინდ-ბუნდად არის გამოთქმული ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში და რასაც მხოლოდ მაშინ გამოვარკვევთ და შევიტყობთ, როდესაც ყოველსავე ღირს-შესანიშნავს, რაც კი დაწერილა მაშინ, ან თქმულა, დავიწყებას სუდარა გადაეშლება და დაუბრკოლებლივ შეგვეძლება ამოკითხვა და გაგონება.

ერთი ამ დოკუმენტთაგანი არის თ. მიხ. თუმანიშვილის თხზულებათა კრება. თუმცა ამ ავტორს ბევრი არ უწერია, მაგრამ ამის თხზულებებში თითქმის იგივე აზრი და გრძნო-

ბაა გამოთქმული, რაც ბარათაშვილის ლექსებში და შესანიშნავი ეს არის, რომ მიხ. თუმანიშვილი, თუ ლექსების ქვეშ მოწერილი წელთა რიცხვი არ გვატყუებს, მონებრივი მიმბაძავი კი არ არის, იმას თითქმის წინ-და-წინვე აქვს გამოთქმული, იგი, რაც ბარათაშვილს თავის საუკეთესო ლექსების წერის დროს უგრძვნია.

წაიკითხეთ მაგალითად ეს ადგილი მიხ. თუმანიშვილის საუკეთესო ლექსისა „სალამური“:

«იყო დრო... მაგრამ, ჰე მაცთურო ამაოებავ,
«რად დამილეწე ოქროვანი ხატი ოცნების?
«რად დამდე ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ
«აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის,
«სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,
«სადაც სჭკნებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი,
«სად სალამური მექმნა ჟღერით დაყრუებული
«და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი.»

წაიკითხეთ ეს ადგილი და შეადარეთ „სულო ბოროტო“-ს, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა თითქმის ზეპირად იცის და მაშინვე მიხვდებით, რომ ორთავეს რაღაც იმედები უღვივოდათ გულში, რაღაც რწმენა ჰქონდათ, მაგრამ «დაუდგრომელმა სოფელმა» გაუცრუა ყოველი იმედი, მოუკლა რწმენა და დასტოვა უნუგეშოდ, „უსაგნოდ.“

ნუ დავივიწყებთ ამას, რომ «სალამური» დაწერილია 1838 წელს და «სულო ბოროტო» 1843 წ.. თუმცა ნ. ბარათაშვილს უფრო ადრე ჰქონდა დაწერილი «მთაწმინდაზედ შემოღამება» (1836 წ.) «ფიქრი მტკვრის პირზედ» (1837 წ.), რომლებშიაც იგივე მწუხარება და წუთის სოფლის სამდურავია გამოხატული, როგორც «სულო ბოროტო»-ში.

მიხ. თუმანიშვილის თორმეტს წვრილს ლექსში მხოლოდ

ორი თუ სამია ისეთი, რომელშიაც ამ გვარი სამდურავი მოისმის. ამ პოეტს მხოლოდ ცალი ხელი გამოუშვერია ნიკ. ბარათაშვილისაკენ, მეორე ხელი ჩაუჭიდნა ალექს. ჭავჭავაძესთვის და ამსავით მღერის ფიალაზედ, ღვინოზედ, ლამაზ ქალებზედ და კუბნება თავის საყვარელს ამისთანა პეპელასავით მფრინავ ლექსით:

«მახსოვს, მახსოვს დრო ნეტარი,
«როს ალუჩნდი თვალთა ჩემთა,
«ვით ჩვენება მოღიმარი,
«ვით მაშვენი ეშხის ღმერთა.»

დიდის ხნის ბრძოლისა და წუხილის თავი არა აქვს მიხ. თუმანიშვილის ლექსს. ის მზად არის თავი დაანებოს ამ უგემურს სოფელს და გაჰფრინდეს იქ,

«სად სიტკბოება არს უსყიდელი
«და სიყვარული სულს ათბობს მარად.»

თუმცა კი ორიოდ სტრიქონს შემდეგ ამბობს:

«ამა სოფელსაც არ დავივიწყებ:
«ზოგჯერ ვით ცრემლი სიბრალულისა
«მოვევლინები და ვანუგეშებ
«ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა.
«მაგრამ ეს მოსვლა იქნება წამი:
«ვითა ყვავილზე დილისა ნამი,
«შევეთვისები მზისა სხივებსა
«და მივიქცევი კვლავაც ედემსა.»

აი ამ უკანასკნელს ლექსის ნაწყვეტშია გამოთქმული მიხ. თუმანიშვილის პოეზიის ხასიათი. მისი ლექსი ყოველთვის იმისთანა საგნებს დაჰხარის, რომელთადმიც ტრფობა ცენზურისაგან არსად არ ყოფილა აღკრძალული და არც აღკრძალული იქნება და მხოლოდ ხანდისხან გაიტაცებს ხოლმე დროთა

მღელვარება და ლექსობს იმაზედ, რასაც ჭვინე ქვეყნის ტკივილს ჰმახის.

მიხ. თუმანიშვილის ლექსის ძლიერებაზედ და სიმშვენიერეზედ აქ ლაპარაკი მეტი იქნება. «ივერიის» მკითხველებს წაუკითხებათ მისი თარგმანი «ბაღჩისარაიის შადრევანისა» და ამ ნიმუშითაც კარგად გაიცნობდენ ამ მწერალის ლექსთა-წყობას.

ეს წიგნი ჩვენის ლიტერატურის ისტორიისათვის ფრიად შესანიშნავია, რადგან იმისთანა მწერალს ეკუთვნის, რომელიც ალ. ჭავჭავაძისა და ნიკ. ბარათაშვილის შუა სდგას დროთი და არა ღირსებით.

ამავე ავტორის სამს ფელტონს—სალაყბო ფურცლებს—რომელნიც აგრეთვე ამ წიგნში არიან ჩართულნი, მხოლოდ მკრთალი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, როგორც პირველს ფელტონებს. ყოველსავე «პირველს» ჩვეულებრივ სათუთად ექცევიან და ხშირად იმისთანა პირმშო შვილსაც კი აძლევენ საუფროსოს, რომელიც საუმცროსოს ღირსიც კი არ არის...

წიგნის ბოლოში ჩართულია რუსულად დაწერილი სტატია ავტორისა ქართულის თეატრის დასაწყისზედ.

---

P: S. მეორე წერილში «უმეცრების ამაყობა» ორი უმთავრესი კორრექტურული შეცდომილება შეგვეპარა: 111-ე გვერდზედ დაბეჭდილია: «რომელსაც სურს თავისი საკუთარი საგანი»; უნდა ყოფილიყო: «რომელსაც სურს თავისი საკუთარი სენი». 128 გვერდზედ დაბეჭდილია: «ამ გვარს სიმდიდრეს ვერც ერთი ვერ დაიკვეხებს»; უნდა იყოს: «ამ გვარს სიმდიდრეს ვერც ერთი ერი ვერ დაიკვეხებს».

*Открыта полугодовая подписка на*

**еженедѣльный журналъ**

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

**(издаваемый въ г. Тифлисѣ)**

Съ 1 Іюля 1881 года по 1 Января 1882 года.

## Цѣна за полъ года 6 руб.

**Кромѣ того можно подписаться на 3 мѣс.—3 руб. 20 коп., на 1 мѣс.—1 руб. 20 коп. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.**

*Разсрочка во взносѣ денегъ допускается по соглашенію съ администраціею журнала.*

Подписка принимается исключительно въ администраціи журнала, въ г. Тифлисѣ, близь Головинскаго пр., по Безъименному пер. въ домѣ Тамамшева.

*Издатель* **А. С. Френкель.**

*Редакторъ* **А. В. Степановъ**

(3—1)

ი 383
1881

## ხელის-მოწერა «დროება-ივერიაზედ» მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალავინის პროსპექტზედ, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოდ).

ქუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონიასთან (სილაზედ, მირიან ჭყონიას სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ჟურნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

**Въ Тифлисъ. Въ Редакцію Дроэба-Иверіи.**

### ფასი:

«ივერია» ექვსის თვით («დროებასთან» ერთად)— 8 მან.
«ივერია» ექვსის თვით ცალკე — — — — — 4 მან.
«ივერია» ერთის წლით— — — — — — — 7 მან.

ხელის-მომწერთ ფული ჟურნალ-გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, უმორჩილესად ვთხოვთ მალე გვაცნობოს რედაქციაში.

---

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.